83

გამოცემა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირისა № 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგის კაკაბაძე.

(47.93) 9
კ.21კ

# კვლევა-ძიებანი

## საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ.

Тбилисский Филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
Библиотека

ქ. ტფილისი
სტამბა „ეკონომია", დიდი ვანქის ქ. № 3.
1920 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. მე-XV საუკუნის პირველ ნახევრის აფხაზ-იმერეთის მეფეთა გენეალოგიურ საკითხთაგან.

II. მე-XIV—XVI საუკუნის მესხეთის თავადების სია.

III. იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკის შესახებ.

IV. მე-XV საუკ. დასაწყისის ერთ დავით მეფის შესახებ.

V. მოსახლეობის რიცხვი საქართველოში მე-XV—XVIII საუკ. სიგრძეზედ.

VI. მე-XVI საუკუნის უცნობი აფხაზეთის კათალიკოზი იოსებ მაჭუტაძე.

VII. მე-XIII—XIV საუკუნის თმოგველების გენეალოგიისათვის.

VIII. აფხაზ-იმერეთის სამეფოს წესწყობილებისათვის მე-XV—XVI საუკ.

K275968
3

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მე-XV საუკუნის პირველ ნახევრის აფხაზ-იმერეთის მეფეთა გენეალოგიურ საკითხავან.

ბ-ნ ვუკოლ ბერიძეს აღმოუჩენია ფრიად საყურადღებო სიგელი მე-XV საუკუნისა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა აქვს ამ საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთა გენეალოგიურ საკითხების გასაშუქებლად. ბ-ნ ვუკ. ბერიძის ნებადართვით ჩვენ გადმოვიწერეთ ეს სიგელი გამოკვლევისათვის გამოსაქვეყნებლად. სიგელი დაწერილია ტყავზე მე-XV საუკუნის პირველ ნახევრის ხელით მხედრულად. თავში დახატულია ძალიან მდარე ხელობით სიგელის მბოძებელი მეფე ბაგრატ. სურათს წარწერა აქვს: მეფეთ მეფე ბაგრატ. თვით სიგელის ტექსტში ზოგ ადგილას იხმარება ზედმეტი ა-ნი, ნიშნად კიდევ ყოველ სიტყვის შემდეგ დასმულია სამი წერტილი.

ვბეჭდავთ სიგელის ტექსტს უცვლელად:

ქ სახელითა ღმრთაისათა მამისა და ძისაჲ და სულისაჲ წმიდისათა იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოანისა ნებითა ღმრთაისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთაჲ მეფისა შანშე შარვა (sic) ყოლისაჲ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა საქართველოსაჲ და ჩრდილოეთისა ორთავე ტახტისა და გვირგვინისა თვით მფლობელ ჩუენ მეფეთა მეფისა დიდისა ბაგრატისაჲ თანა მეცხედრეთა (აქ დაწერილი ყოფილა და შემდეგ ამოშლილადა სჩანს: და ძეთა) ჩუენთა ელენესი და ძეთა ჩუენთა პირმშოთა ვახტანგისი და გიორგისი. მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერდგული ბიძასთვალი გირგლაძე მახარობელი (ეს სიტყვა ჩამატებულია) მუდამი მოსამსახურე მელვინეთა უხუცესი და ძმები მათი მთვლია (ეს სიტყვა ჩამატებულია) ახლბედი მამისთვალი და აბესალომ და ელიშარა და თვალობი და ძმობილი და ძველისა სიგლისა გახლებსა დაგვვაჯნეს. ვისმინეთა აჯა და მოხსენება მათი და ვნახეთა სიგელი ძველი ესე და რცა ამა ძველ სიგელსა გეწერა ძველთაჲ პაპთა ჩუენთაგან ბოძებული, ახლდაცა ისრე დაგიწერეთა და გიბოძეთ სიგელი და ბძანება ესე. თუ მოხდეს ეშმკთა საცრუისგნ კცთა სირეგნისაგნ და თქუენისაჲ გვარისა კცი ვისმე შეაკვდეს ორასი ათასი ძველი თეთრი ყაზნუარი (sic) თავი სისხლი დაგი-

უვროს, საზოდ შესამყრელოდ ექვსი ათასი დაგიუვროს, სანახში-
რედ თხუთმეტი ათასი დაგიუვროს, თუალთა დ (sic) ხელფერხთა და
შევებისთვისა მექვსედი სისხლი დაგიუვროს ამა სიგლითა, დალიანი-
სა გერშისათუის თორმეტი ათასი დაგიუვროს, უდალოს გერშისა-
თუის ექვსი ათასი დაგიუვროს. ვინც გრძნეულობა გითხარას, ნახე-
ვარი სისხლი დაგიუვროს ამა სიგლითა, ვინცა ცოლი მოგიტყნას
ანუ წგილოს ნახევარი სისხლი დაგიუვროს, ვინც ქალი დაგიგდოს
ნახევარი სისხლი დაგიუვროს ამა სიგლითა. ვინც სახლდა (sic) და-
გესხას ანუ ყნასა ჩმოგიხდეს, თხუთმეტი ათასი დაგიუვროს. ვინც
სასფლო გაგიუპტიოს და მკვდარი გაგიუპატოს, ნახევარი სისხლი
დაგიუვროს. ვინც გზას გილლტოს ნახევარი სისხლი დაგიუვროს,
თუ ლლტითა მოკლას, ორი სისხლი დაგიუვროს. ვინცა საჯინი-
ბოს ანუ სხვდაგესა დაგესხს, მნც თხუთმეტი ათასი დაგიუვროს.
ვინც უომარი მეჯინიბე გიცეს ანუ მწყემსი / ნახვარი სისხლი და-
გიუვროს. ჩუვენ მეფეთა მეფემან დიდმნ ბაგრატა დ (sic) დედო-
ფლთა დედოფლმნ პატრონმნ ელენე და ძეთა ჩუენთა პირმშოთა ვახტნგ
და გიორგი შეგიწყლეთ და გაგიხლეთა პაპთაჲ ჩუენთაგნ ბოძე-
ბული სიგელი ძველი ესე ახლდავე გაგიახლეთ და გაგიჩხეთ ს-
სისხლო სიგელი და სისხლი თქუენ გირგალაძესა ბიძსთვალსა მახ-
რობელსა (ეს სიტყვა ჩამატებულია) და თქუენთა ძმათა ახლბედსა,
შენს შვილსა თვალიასა, მამისთავალსა და აბესალმს და ელაშა-
რას და თვლობსა ძმობილსა შვილთა და მომვალთა და საჴლის
შვილთა ყოველთვე გერგოს სიგელი და ბძნება ესე ჩუვენ მეფეთა
მეფისგნ დიდისა ბაგრატისგნ და თანამეცხედრეთა (sic) ჩუვენთა
ელენესგნ და ძეთა ჩუენთა პირმშოთა ვახტანგისგნ და გიორგისგნ გახ-
ლებული შეგიწყლეთა და გაგიახეთა დახლდვე (sic) გაგიჩნეთა სიგელი
და ბძნება ესე. თუ მოხდეს ეშმკთა სიცრუისაგნ და კცთა სირეგვნისგნ და
თქვენის გუვარისა (sic) კცი ვინმე მოკლას ორასი ათასი ძველი
თეთრი ყაზანური თავი სისხლი დაგეურვებოდეს, სზოდ შესამყრე-
ლოდ ექვსი ათასი დაგიუროს, სნახშირედა თხუთმეტი ათასი დაგი-
უვროს, თუალთა და ხელფერხთა დაშევებისათუის მეექუსედი სისხლი
დაგიუვროს ამა სიგლითა, დალიანის გერშისათუის თორმეტი ათასი
დაგიუვროს, უდალოსთუის ექვსი ათასი დაგიუვროს. ვინც გრძნე-
ულობა გითხრას ნახევარი სისხლი დაგიუვროს. ვინც ცოლი
მოგიტყნას, ქალი დაგიგდოს, ნახევარი სისხლი დაგიუვროს ამა
სიგლთა. აწ ვინც ნახოჳა მეფეთა მომვლთა ჩუვენთა უჯვრეობითა
დაუმტკიცეთ კარითა ჩუენითა წარვრენილთა (sic) ყოველთავე
დაუმტკიცეთ, აზნაურთა, დიდებულთა, ვაზირთა, ციხისვა (sic),

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის უხუცესსთა, ერისთავთა, სვანთა ერისთავთა, ამისპასალართა, მანდატურთა, ბოქულ იასეულთა, მესტუმრეთა, ფარეშთა, მეჯინიბეთა, მზარეულთა, მოლარე მერიქიფეთა, მეღვინეთ მეაბჯრეთა, კრის მეჯიბეთა (sic) ახოსალართა, მეულყე მეჯოგეთა, მენადირე მეფშტვირეთა, ბაზიარ მეძაღლთა, მეკულხე მეტკილეთა (sic), ხაზაზთა, მეგოდრე მეპურეთა, მეზურეთა, მეჩხირეთა, მესაკლვეთა, ზროხა საკლვთა მკრებლთა. ყოვლთა მეხელეთა უხუცესთა ყოველთავე დუმტკიცეთა. თქუენ წმიდანო საქართველოსა და აფხზეთისა ქათალიკოზნო და მღრდელთა მოძღვარნი, უჯვრეობითა დაუმტკიცეთ სიგელი და ბძ̃ება ესე. დაიწერა სიგელი და ბძნება ესე აგვისტოს ათსა ინდიკიონსა (sic) მეფობის ჩუენისას დიწერა (sic) ხელითა აბრამ კნდელკისათა

სიგელს ამტკიცებს ხვეულად მეფე ამ სახით: ვამტკიცებ ბაგრატ.

სიგელი ბოძებულია იმერეთში და დასავლეთ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენლის მიერ. ამას ადასტურებს თვით სიგელის მბოძებელის ვინაობა და გარდა ამისა იმერული ფორმების ხმარება თვით ტექსტში, მაგ., ხვადაგე, მეფშტვირე, მეჩხირე. თვით ბაგრატ მეფის ვინაობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს მისი ოჯახის შემადგენლობის მოხსენებას. სიგელის მბოძებელს ბაგრატს ცოლად ჰყოლია ელენე დედოფალი, ხოლო მისი შვილები ყოფილან ვახტანგ და გიორგი. ეხლა უკვე ცნობილია მე-XV საუკუნეში ერთი მეფე ვახტანგ, რომლის ძმა იყო მეფე გიორგი (ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, ტფილ. 1912 წ.). ცნობილია ამ ვახტანგ მეფის მიერ ბოძებული გელათის სამწირველოს სიგელი და გარდა ამისა კიდევ ტექსტი მის მიერვე მიცემულ ორი სიგელის, 1432 და 1437 წლისა. ზემოთ მოხსენებულ ნაშრომში შემოკრებული საბუთების ანალიზის შემდეგ ჩვენ მივედით დასკვნამდის, რომ ვახტანგ მეფე, გორგასალად წოდებული, ტახტზე მჯდარა, მის მიერ ბოძებულ სიგელების მიხედვით, 1432 და 1437 წლებში, ხოლო გარდაცვლილა 1445 წ. და მის მაგივრად გამეფებულა ძმა მისი გიორგი. ეს გიორგი მეფე ცოცხალი ყოფილა 1464 წ., როდესაც მას მისი მეფობის 19 ინდიკტიონში მიუცია შეწირულობის წიგნი გელათისათვის (იქვე, 17—18).

ვ. ბერიძის მიერ ნაპოვნი სიგელი იმით არის საყურადღებო, რომ არა თუ ადასტურებს ამ დასკვნას, არამედ საშუალებას გვაძლევს შევავსოთ გენეალოგიური ცნობები დასავლეთ საქართველოს მეფეთა შესახებ. მართლაც, ის გარემოება, რომ ბ-ნ ბერიძის სიგელში ვახტანგ და გიორგი იხსენიებიან ერთი დედმამის შვილებათ, ცხადი მაჩვენებელია, რომ სიგელში მოხსენებული ბაგრატ მეფე წინაუსწრებდა იმერეთის სამეფო ტახტზე ზემოთ მოხსენებულს.

მეფე ვახტანგს, გორგასლად წოდებულს: გამოდის, რომ ვახტანგ და გიორგი მეფეების მამა ყოფილა მეფე ბაგრატ, რომლის ცოლს ერქვა ელენე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად საჭიროდ ვრაცხ აქვე მოვიტანო შემდეგი საბუთიც, რომელშიც შეიძლება მართლაც ადასტურებდეს ბაგრატის მეფობას დასავლეთ საქართველოში მე-XV საუკ. პირველ ნახევარში. სახელდობრ, ნიკორწმინდის მე-XI საუკ. დიდ სიგელს, რომელიც დაბეჭდილია თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტ. გვ. 44—49, აქვს საკმაოდ ვრცელი შემდეგ დროინდელი მინაწერი, რომელიც ახლა უკვე დაბეჭდილია (ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ. 1912 წ. გვ. 4—6). ამ მინაწერში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

ქ ღვთით გვრგვნოსანმან მეფემან ბა[გრატ გა]ნაახლა და აღაშენა ეკლესია [წმიდ]ის მღვდელთ მძღვრის ნ~კზის მისდა [სადღ]ეგრძელოთ და გასამარჯვებლად [და] საუკუნოთ საცხრებლად რ~ მრვალნი ძალნი და სასწაულნი იხი[ლნა]---გნ (?) ძალსა შინა და ცხადად---ჴმელთა და წყალთა ძლე[ვით]---მეწევნა და წარმატება---[იგ]ულსმოდგინა თჳთ მპყრობელმან [მეფემა]ნ და უძლეველმან კელმწიფე[მან] მონასტერი ესე ეკლესიად და დამ[ადგი]ნა მე გნმგედ და ეპისკოპოსად უ[ღი]რსი და ცოდვილი მღვდელ მთვრი მანოელ და განუჩინეს რაჭის შე[სავალი] და სასჯელო და საკურთხი ადგილნი დაბან[ი] მათის სამართლიანის მზღვრი[თა]...... დაიწერა ქ~კ რვ: ჴელითა ფრიად ცოდვილისა მ--წისა დეკანოზისა მღვდელ მონაზვნ[ისა] მარკოზისათა სადღეგრძელოდ ღთის მერისა ამის ყლთა კიდეთა ქუნისათა პყრობლისა მეფ[ის]ა ჩნისა კრაპლატისა და მღდელთ მთვრ ეპისკოპოზისა ჩნისა მანოელ ნიკოზწმინდელისათა---

მინაწერი საზოგადოდ სანახევროდ გადასულია, ბევრი სტრიქონი, როგორც ნაწვენები იყო თავისს დროზე, სრულებით არ ჩანს, მაგრამ ქორონიკონი რვ, ასომთავრულად დაწერილი, იკითხება თავისუფლად და თუ მიუხედავად ამისა მინაწერის დაბეჭდვის დროს ქორონიკონის მაჩვენებელი ასოები საეჭვოდ იქმნა გამოცხადებული (ს. კაკაბ. სჯულმდ.-ბაგ. კურაპ., 5), ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნიკორწმინდელად მანოელის დადგინება მოხსენებულია იმერეთის მეფის ბაგრატის 1544 წლის სიგელშიც (იქვე, 6--8) და ამიტომაც ნიკორწმინდის დიდ სიგელის მინაწერიც მე ჩავთვალე მე-XVI საუკუნისად. 1544 წლის ამ სიგელში სახელდობრ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „....ჩვენ მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ჴელ ვჰყავით აღშენებასა დაკნინებულის: მონასტრისა ნიკოწმიდისა და შევქმენ საყდრადა და საეპისკოპოზოდა და დავადგინე და წმიდა და ღმერთ შემოსილი ანგელოზთა მობაძავი მღვდელთმთავარ ეპისკოპოზი წმიდა და მეუფე მანოელ....“ მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობა უდგება თავისი შინაარსით ნიკორწმინდის სიგელის ზემოხსენებულ მი-

ნაწერს, მაინც ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ ყურადღება მივაქციოთ მანოუელ ნიკორ-წმინდელის და ბაგრატ მეფის, კურაპალატად წოდებულის, მოხსენებას ქრონიკონს (ანუ 1418 წ.). საბოლოოდ გარდაწყვეტა ამ საკითხისა მომავალის საქმეა, მაგრამ 1418 წლის ბაგრატ მეფის, ზედ-სახელით კურაპალატის, მოხსენება ეთანხმება ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომლის მიხედვით ვახტანგ და გიორგი მეფეების მამა ბაგრატი მეფობდა მე-XV საუკუნის პირველ ნახევარში. მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ სქემას: ბაგრატ კურაპალატად წოდებული 1418 წ., შემდეგ ძე მისი ვახტანგ, გორგასლად წოდებული, რომელიც იხსენიება 1432 და 1437 წლებში, ხოლო მიიცვალა 1445 წელს და ამის შემდეგ ძმა ვახტანგისა გიორგი მეფე.

აქ ჩნდება საკითხი, წარმოადგენდნენ ეს პირნი იმერეთის მფლობელთა მთავარ შტოს, თუ არა. დასახელებულ ჩემს შრომაში ვახტანგ მეფის ვინაობის შესახებ ის აზრი იყო გამოთქმული, თითქოს ეს პირნი ეკუთვნოდნენ სამეფო დინასტიის მეორე ხარისხოვან, ანუ ვთქვათ, რაჭა-არგვეთის მეპატრონეთა შტოს. მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება თითქოს ეწინააღმდეგება ამ დებულებას. 1432 წლის სიგელის მიხედვით ვახტანგ მეფე სამართალს აწარმოებს ქუთაისში ქართლის ერისთავის და სხვა საკმაოდ მრავალრიცხოვან წარჩინებულთა თანდასწრებით. ყურადღებას იპყრობს კიდევ ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფის 1445 წლის გარდაცვალების ქორონიკონი ვახუშტისაც აქვს მოხსენებული და, როგორც საგულისხმებელია, მას ეს ცნობა ამოღებული უნდა ჰქონდეს ერთ თავისი ძირითად და იმავე დროს უძველეს წყაროდან, რომელიც მას ჰქონდა ქრონიკის შედგენის დროს, სახელდობრ იმერულ ძველი გარიგების წიგნის ქრონიკიდან. ხოლო უფრო დასაჯერებელია ამ ქრონიკაში იმერეთის მთავარ შტოს მეფეების შეტანა და მოხსენება, ვიდრე მეორეხარისხოვან შტოების წარმომადგენლებისა. თუ ნიკორწმინდის დიდ სიგელის მინაწერში მოხსენებული ბაგრატ კურაპალატი (1418 წ.) მართლაც ვახტანგის მამაა, მაშინ აქაც ყურადღებას იპყრობს მეფის მოხსენება, როგორც „ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მპყრობელისა“, რაც უფრო შეეფერება მთელ დასავლეთ საქართველოს მეფეს. ამ მოსაზრებებისა გამო ჩვენ ამ ჟამათ გვგონია, რომ ბაგრატ და ძენი მისნი ვახტანგ და გიორგი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზ-იმერეთის სამეფოს მფლობელნი და დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის მეთაურნი.

აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ 1455 წლიდან იმერეთში მეფობს ბაგრატ მეფე, რომლის მამას ერქვა გიორგი (ს. კაკაბაძე, გენალოგია ბაგრატ VI, აფხაზთა და ქართველთა მეფისა). ეს გიორგი გარდაცვალებულადაც იხსენიება 1465 წლის სიგელში, რომლითაც მეფე ბაგრატ დიდომში გლეხებს სწირავს მცხეთის საყდარს „სააღაპედ და სამლოცველოდ პატრონისა მამისა ჩუენისა გიორგისა სულისათუის“ (თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 288). არის

ეს ის გიორგი, რომელიც, როგორც მეფე, აძლევს გელათის საყდარს 1464 წ. თავისი მეფობის მე-19 ინდიქტიონს შეწირულობის სიგელს (თ. ჟორდ. ქრონ. II, 283; კაკაბ. — ვახტ. უცნობი მეფე, 17—18), თუ სხვა პირი, რაჭა-არგვეთის მფლობელთაგან, როგორც ჩვენ ამას ვფიქრობდით წინად? შესაძლებელია, რომ ბაგრატ მეფის მამა გიორგი და 1464 წლის გელათის სიგელის მბოძებელი ერთი და იგივე პირი იყოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ასეთს სქემას აფხაზ-იმერეთის მეფეებისას მე-XV საუკუნეში: ბაგრატ კურაპალატად წოდებული*) (იხსენიება 1418 წ.), ამის შემდეგ ძე მისი ვახტანგ, გორგასალად წოდებული, 1445 წლიდან კიდევ ძმა ვახტანგისა გიორგი მეფე. გიორგი მეფე გარდაიცვალა 1465 ან 1466 წელს. მისი შვილი ბაგრატი მეფედ იწოდებოდა 1455 წლიდან.

მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთა გენეალოგიურ ცნობათა შესავსებლად საჭიროა მოხსენებულ იქმნას, რომ 134 ქორონიკონს (1446 წელს) მეფობის მეორე ინდიქტიონს ცნობილია ბაგრატ მეფე, „გორგასლისაგანი,“ რომელიც სასისხლო სიგელს აძლევს თულასძეთ (ს. კაკაბაძე, ბაგრატ მეფე — მე XV საუკ. რაჭა-არგვეთის მფლობელი). როგორც უკვე ნაჩვენები იყო დასახელებულ შრომაში, ბაგრატი უნდა ყოფილიყო ძე და მემკვიდრე ვახტანგ გორგასლად წოდებულისა. ხოლო რადგანაც ვახტანგი მთავარი მტოს წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს, ამიტომ ეს ბაგრატიც შეიძლება აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი იყო. ამ შემთხვევაში ვახტანგ გორგასალსა და 1465—6 წელს გარდაცვალებულ გიორგი მეფეს შორის ჩვენ მივიღებდით კიდევ ბაგრატ მეფეს.

---

*) ბაგრატ კურაპალატის კანონების დასაწყისი, რომელიც თან მისდევს ბექასა და აღბუღას კანონებს, როგორც ცნობილია, იწყება ამ ნაირად: „სახელითა ღმრთისათა დაიწყების საღმრთოსა გაჩენილი გასაჩენელი პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატ და აღმაშენებელთა მეფეთმეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ქკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისათა“. თუ აქ მოხსენებული ბაგრატ მე-XV საუკუნის პირია, მაშინ აღმაშენებელ მეფეთ მეფედ აქ უნდა იგულისხმებოდეს დიდი ალექსანდრე მეფე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მე-XIV—XVI საუკუნის მესხეთის თავადების სია.

საეკლესიო მუზეუმის სიგელ-გუჯრებში იპოვება ფრიად საყურადღებო ნუსხა მესხეთის თავადებისა, რომლის გამოქვეყნება მრავალ მხრივ შეიძლება ჩვენი ისტორიის შესწავლის დროს. ეს საბუთი, პირის მიხედვით, დაბეჭდა ჯერ კიდევ დ. ბაქრაძემ (Археол. путеш. по Гуріи и Аджаріи 79—80), მაგრამ ტექსტის დალაგებაში ფრიად თვალსაჩინო შეცდომები შეპარულა, რის გამოც ამ საინტერესო დოკუმენტის გამოქვეყნებაც, დ. ბაქრაძის გამოცემის მიხედვით, ძნელდება. საეკლესიო მუზეუმში დაცული საბუთი (№ 91) კი წარმოადგენს თვით დედანს, დაწერილს კარგ ქაღალდზე მე-XVI საუკუნის პირველ ნახევრის ლამაზი ხელით. თავი საბუთისა ცოტაოდნად დაზიანებულია. უცვლელად ეს ტექსტი იკითხვის შემდეგ ნაირად.

ქ.: წ̃ დისა:" და: ცათა: მობაძავისა: კათოლიკე: სამოციქულოსა: საპატრიაქ[ოსა]--ეკლესიისა: ძუელითგან: საქონებელნი: და: სამწყსონი: სამცხეს: თავადნი: და [სო]ფელ[ნი:] კავკასისძე მისითა: მამულითა:) პარხალი: მისითა: შესავლითა: და: აზნაურის: შვილებითა: საყმოდ:). სამწყსოდ: სამძივარი: მისითა: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკ[ლე]სიითა: გოგიბასშვილსა: აქუს:) ზუმბულისძენი: მათითა: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა:: ავალის: შვილთა: და სლესართა: აქუს:) ლონგოსძენი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა: ლასურისძეთა: აქუს:) კერკემელისძე: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: თაქთარისძესა: აქუს:) ჩორჩანელი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა: ერისთავთა: ერისთავი: ხურსისძესა: აქუს:) ლოზიერნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა: დიასამისძეთა: აქუს:) აბუსერისძენი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა:) ბოცოსძენი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: ოლადასშვილთა: აქუს:) ოსიარი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: შალიკასშვილთა: აქუს:) ხერთვისარნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: ქამქამისძისა: ეულზედა: არიან: აბატაკიანთა: აქუს:) თმოგუელნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: შალიკას: შვილთა: ელისბაალს და: იოთამს: აქუს:) ბულადარას: შვილნი:

სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა: რჩეულაანთა:) და ფრიდიანთა: აქუს:) ასპანისძენი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: სფირიდონს: აქუს:) კალმახელი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა: უზნასძეთა: აქუს:) დუკისძენი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა:) ფანასკერტელნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და კარის: ეკლესიითა:) სპასალარნი: სამით: სასაფლაოთა: მონასტრებითა: და: კარის: ეკლესიითა:) ხახულარნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა:) ანძაველნი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა:) კოპასძენი: სასაფლაოთა: მონასტრითა: და: კარის: ეკლესიითა:) მონასტერი: ოშკი: მისითა: შესავლითა:) დიდი: და: პატიოსანი: ვარძიის: მონასტერი: მისითა: შესავლითა: და: ეკლესიის: შვილებითა: უნაკლულოდ:).

ბოლოს არის მოკლე ხვეული ხელის მოწერა, ძველად გახარჩევი და თან დასმულია პატარა რგვალი ბეჭედი მხედრული წარწერით, რომელიც არ გაირჩევა. მეორე ბეჭედი აქვე დასმული, არის საკათალიკოზო, მოგრძო ოთხკუთხიანი, შუაში ჯვარით, ხოლო ირგვლივ ასო მთავრული წარწერით: რჲნი გნცსნით ქქს ზა კსნლ იყოს ცთა შ~ა.

ამ საბუთისა, გარდა მისი პალეოგრაფიულ ხასიათისა, უფრო დანამდვილებით დათარიღება შეიძლება შემდეგი მოსაზრების მიხედვით. იმ გვარივე სახის საკათალიკოზო ბეჭედი, რომელიც დასმულია ამ საბუთის ბოლოს, არსებულ და უკვე ცნობილ მასალებში პირველად გვხვდება 1540 წ., სახელდობრ მეფის კონსტანტინეს ძის გიორგის მიერ მელქისედეკ კათალიკოზის დროს ბოძებულ მცხეთის სიგელში (ს. კაკაბაძე, ისტორ. საბ. II, 37—40). მაშასადამე, ამ მოსაზრების გამოც ჩვენი დოკუმენტის შედგენა უნდა მიეკუთვნებოდეს მე-XVI საუკ. პირველ ნახევარს.

საბუთის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს კიდევ მასში ელისბარ და ითამ შალიკაშვილების მოხსენებას. ეს პირნი ცნობილნი არიან საეკლესიო მუზეუმის № 647 ხელნაწერის ტიპიკონის მინაწერით. „დაიწერა წ~ჲ ესე და ს~ლთა გნმნლბელნი წიგნი ტჳპიკონი ბრძანებითა მეფეთ მეფისა პატრონის გ~ის ასულის პატრონის ქეთაონ ყოფილის ქრისტინესითა მრჭელმცა არიან წელნი სუფევისა მისისნი აქსა მს მსხემობსა მზე გრძლბით და მს საუნოსა ს~სფველსა მოკსენებითა და ძეთა მისთა ელისბრ და იოათამისნი უ~კი უ~ვე ან. დაიწერა ქრნიკონსა ასოთხმოცდაცხრამეტსა მნსტერსა ძელსა პ~ტიხსა ბანსა“. სხვა მინაწერებიდან კიდევ ცხადათ სჩანს, რომ ეს ხელნაწერი ტიპიკონი შალიკაშვილთა სახლის კუთვნილება ყოფილა. „ვიქიდე ესე წიგნი,—გვითხულობთ

ამავე ხელნაწერის სხვა მინაწერში უკვე მხედრული და მე-XVII საუკუნის ხე-ლით —, შალიკაშვილისა ქალმა თამარმა. დისწულსა ჩემსა ნიკოლოზ[illegible] მშვიდობაში აკმაროს ამინ“.

ნიკოლოზს კიდევ თავისს მხრით ხელნაწერი დავით-გარესჯისათვის შეუწირავს, რასაც ის იხსენიებს სხვა აგრეთვე მე-XVII საუკუნის ხელის მინაწერში. „ქ. დავით გარეშჯის ნათლისმცემლის უდაბნოსათვის შემიწირავს მე ნიკოლოზ როჭიკაშვილს და ვინც გამოსწიროს, ისიმც რისხავს მეუფის წინაშე“. ხოლო როჭიკაშვილნი კი, ცნობილია, იგივე შალიკაშვილი იყვნენ. „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ“, ამბობს ვახუშტი თავისს შრომაში „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ (საქართ. გეოგ. ვახუშტისა, მ. ჯანაშვილის რედაქციით, ტფილ. 1904 წ., გვ. 24).

ამისდამიხედვით საეკლ. მუზ. № 647 ტიპიკონის თავ მინაწერში მოხსენებული ელისბარ და ოთამ უნდა იყვნენ შალიკაშვილთა სახლის წევრნი და მაშასადამე იგივე პირნი, რომელნიც მოხსენებულია კათალიკოზის სამწყსოს საბუთში. მინაწერის მიხედვით ელისბარ და ოთამ შალიკაშვილნი ცოცხალნი ყოფილან 1511 წ., რაც ცხად ჰყოფს, რომ თვით კათოლიკოზის სამწყსოს საბუთი შედგენილი უნდა იყოს მე-XVI საუკ. დასაწყისში, ყოველს შემთხვევაში არა უგვიანეს მე-XVI საუკუნის ნახევრისა. გიორგი მეფე, ძე დიდის ალექსანდრე მეფისა, დაიბადა, როგორც მისი მამის მიერ ბოძებულ სიგელების შესწავლიდან სჩანს (ეს სიგელები, სხვათა შორის, დაბეჭდილია თ. ჟორდ. „ქრონიკ.“ ტ. II, ს. კაკაბაძე ისტორ. საბ. წ. II, III), 1414—1417 წლებში. გიორგის ასული ყოფილა ელისბარ და ოთამ შალიკაშვილების დედა. ამის და მიხედვით ელისბარის და ოთამის ცხოვრების დრო მე-XVI საუკ. ნახევარს ვერ გადასცილდებოდა.

მაგრამ გარდა მე-XVI საუკუნის პირველ ნახევრის სამცხის თავადთა გვარეულობების სიისა ეს საბუთი უნდა შეიცავდეს უფრო ძველს ცნობებს, ყოველს შემთხვევაში ის უფრო ძველსა და ანალოგიურ ხასიათის სიაზე უნდა იყოს დამყარებული. ეს სჩანს იმ გარემოებიდან, რომ თითქმის ყოველს თავადის გვარეულობასთან ერთად დასახელებულია მისი წინამორბედ გვარეულობის ვინაობა და ისიც წინადადების იმ გვარი კონსტრუქციით, რომელიც ცხად ჰყოფს, რომ შემდგენელს ხელთ ჰქონდა სხვა უფრო ძველი სია და ცდილობდა მისი განმარტებას თავისი დროინდელ ცნობებით. მაგ., ბუმბულისძენი სიით ავალისშვილთა და სლესართა აქუს, ლონგოსძენი - დასურისძეთა აქუს,... ოთარი—შალიკაშვილთა აქეს, ხერთვისარნი—ქამქამისძისა ყულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს და სხ. უკანასკნელი ცნობა ფრიად საყურადღებოა. ის ცხად ჰყოფს, რომ შემდგენელს მართლაც ჰქონდა ხელთ სხვა უფრო ძველი სია, სადაც ეს ადგილი მოხსენებული უნდა ყოფილიყო ამ გვარად: „ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითა და კარის ეკლესიითა ქამქამისძისა ეულზედ არიან“, ხოლო შემდეგ თვით ავტორს ჩვენი საბუთისას მიუმატებია: „ამატაკიანთა აქუს“ (ე. ი. მე-XVI საუ-კუნის პირველ ნახევარში). ამ მოსაზრებისა გამო ჩვენ გვგონია, [illegible] თალიკოსო სამწყსოს არსებულ სიას სამცხის შესახებ საფუძვლათ უდევს სხვა უფრო ძველი ნუსხა სამცხის თავადთა გვარეულობათა, სადაც ჩამოთვლილი ყოფილა შემდეგი გვარეულობანი: კავკასიძე, სამძივარი, ბუმბულისძე, ლონგოსძე, ჰერჰემელისძე, ჩორჩანელი ერისთავთ ერისთავი, დობიერი, აბუსერისძე, ბოცოსძე, ოთარი, ხერთვისარი, თმოგველი, ბუდლ:დარასშვილი, ასპანისძე, კალმახელი, დუკისძე, ფანასკერტელი, სპასალარი, ხახულარი, ანძაველი, კოპასძე. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი უკანასკნელ გვარეულობათაგანი, რომელთა წინა-მორბედი გვარი მოხსენებული არ არის, მე-XVI საუკუნისთვის ახლად ამაღლე-ბულა და ძველს სიაში ამიტომ მოხსენებულიც არ იქნებოდა. მაგრამ ეს არსე-ბითად არ სცვლის საკითხს თვით ძველი სიის არსებობის შესახებ.

ეხლა საინტერესოა გამორკვეულ იქმნას, თუ როდის უნდა ყოფილიყო ეს ძველი სია მესხეთის თავადების გვარეულობათა შედგენილი. სიაში, სხვათა შო-რის, მოხსენებულია დობიეროთ გვარი, რომელთა ადგილი შემდეგ დიასამიძეს დაუჭირავს. დიასამიძეთა გვარეულობა ცნობილია მე-XV საუკუნეში. 1443 წ. ერთ სიგელში მოხსენებულია ვარამ დიასამიძე შვილებითურთ: „ქ....ესე წიგ-ნი... გაადრე... (მცხეთას) და... ქაზს შიოს... ჩვენ დიასამიძემან ვარამ და და ჩემთა შვილთა ავთანდილ და დიასამ... საპატიოდ ყუიბის ერთი გლეხი მო-გახსენე მისითა მამულითა ქ̃კსა რლა ნოემბერს დ... (თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 255). ყვიბისი ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულია აწყურის ახლოს (გეოგრ. გვ. 207), დობიეთი კიდევ, რომლის მფლობელნი, ყოფილან დობიერნი, იმყო-ფება მტკვრის მარცხენა ნაპირს ახალციხიდან აღმოსავლეთით 13 ვერსზედ. ვინაიდან დობიეთი და ყვიბისი, თუმცა რამოდენადმე დაშორებით ერთი მეო-რისაგან, მაგრამ მაინც ერთს რაიონში (სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში) იმყო-ფება, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1443 წლისთვის დიასამიძეს უკვე ეჭირა დობიერთა სამფლობელო. ამ წელიწადზე უფრო გვიან, მაშასადამე, არ უნდა იყოს შედგენილი ზემოდ ნაგულისხმევი ძველი სია სამცხე-საათაბაგოს თავადებისა.

ტექსტში კიდევ მოხსენებულია, სხვათა შორის, ხერთვისართა გვარი, რომ-ლის შესახებ ნათქვამია: „ხერთვისარნი სასავლათოთა, მონასტრითა, და კარი-ეკლესიითა ქამქამისძისა ეულზედ არიან, ამატაკიანთა აქუს“. როგორც ნაჩვენებ-ბი იყო, ეს ადგილი, გარდა უკანასკნელ ორი სიტყვისა, პირდაპირ ამოღებულ-უნდა იყოს ძველი ნუსხიდან. ხერთვისარნი იქნებოდნენ ხერთვისის მფლობელ-ნი, ხოლო ხერთვისის კოშკზე ყოფილა ასომთავრული ძნელად წასა-კითხი წარწერა, რომელიც ეხლა უკვე არ არსებობს. ეს წარწერა საბოლოო

შესწორებით იკითხება შემდეგ ნაირად: „სახელითა ღმრთისათა, ოხითა და შეწევნითა წმიდისა მშობლისა ღმრთისათა, მინდობითა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისათა ვიწყე მეფეთ მეფისა მოლარეთ უხუცესმა ზაქარია ძემან ქამქამისშვილისამან ოფელმან კოშკი და გალავანი ესე ქ̃კსა მბ და გავათავეთ მდ ღმერთო--- გვილხინე ამინ“. (Матер. по Археол. Кавк. XII, 22. აღწერილობა ე. თაყაიშვილისა, შეად. Voy. arch. Brosset, II, 152.)

ამ წარწერიდან ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ 1356 წ. ქამქამისძის გვარეულობა ჯერ კიდევ არსებობდა და ხერთვისსაც ფლობდა. მაშასადამე ხერთვისართა გვარეულობის წარმოჩენაც უფრო გვიან დროს უნდა ეკუთვნოდეს.

ამ მოსაზრების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ძველი სია სამცხისა და მესხეთის თავადებისა, რომელიც საფუძვლად უდევს საკათალიკოზო სამწყსო თავადების მე-XVI საუკუნის ნუსხას, შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს 1356 წლისა და არა უგვიანეს 1443 წლისა.

საყურადღებოა ამ ძველ ნუსხაში მოხსენებულ ზოგიერთ გვარეულობათა სახელის წარმოშობის ვითარება. ლობიერნი, როგორც ვნახეთ, წარმოიშვნენ ალბად სოფ. ლობიეთის სახელისაგან. ოთარნი ალბათ ფლობდნენ ოთას სამცხესვე. ოთას იხსენიებს ვახუშტი. „ამავ (ასპინძის) ჰევზედ ოთას არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად“ (გეოგრ. 213). ოთა იმყოფება ახალციხიდან პირდაპირ ხაზით აღმოსავლეთისაკენ 24 ვერსის მანძილზე ჯავახეთის მიჯნასთან ახლოს. აგრეთვე თავადთა სამფლობელო ადგილების სახელიდან არის წარმოებული უფრო ძველი თუ შემდეგ დროინდელი გვარეულობათა წოდებულებანი. მაგ., ხერთვისარი—ხერთვისიდან, სლესარი—სლესიდან (აწყურის ჩრდილოეთით 6 ვერსზე), ჩორჩანელი—ჩორჩანიდან (ახალციხის დასავლეთით პირდაპირ ხაზით 20 ვერსზე), ხახულარი—ხახულიდან და სხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკის შესახებ.

საქართველოს მე-XIV—XV საუკუნის ისტორიის გარკვევისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ძირითად წყაროების განცხრილვას, რომლითაც სარგებლობდა ვახუშტი ამ საუკუნეების ისტორიის შედგენის დროს. ამის შესახებ ვახუშტს საინტერესო ცნობა აქვს დაცული მის მიერ შედგენილ ქრონიკულ ცნობების წინ, სადაც ის ჩამოთვლის მის ხელში მყოფ ძირითად მასალებს, რომელსაც წარმოადგენდა „ქორონიკონები, ჩვენ მიერ პოვნილი წიგნებთა შინა და სახელი წიგნების არიან ესენი: იმერული ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური ხუთ წიგნათ განყოფილი, იმერული ძილის-პირი ეტრატისა, ტლაშაძის აღმოწერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათა, ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთა და სხვათა ჟამნ-კანონთაგან, სახარებათა და საეკლესიო წიგნებთაგან და სპარსულთა ქორონიკონებთაგან აღმოწერილთა არიან ესენი“ (ქ. ც-ბა II, 237).

უკვე ამ ცნობის დაკვირვებამ უნდა გვიჩვენოს, რომ ერთ უძველეს მთავარ წყაროთ ვახუშტის თავისი ქრონიკების შედგენის დროს უნდა ჰქონოდა იმერული ძველი გარიგების წიგნი. მაგრამ ამ საკითხის გადასაწყვეტათ ჩვენ უნდა მოუყაროთ თავი იმ ცნობებს, რომელიც არის შენარჩუნებული ვახუშტის მიერ დაწერილ „შესავალში“ მისს ხელში მყოფ ქრონიკების შინაგან შემადგენლობის შესახებ. პირველი საკითხი, რომელიც აქ დაისმის, არის ის, თუ რომელ დროდან იწყებოდა ქრონკული ცნობები ვახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკებში. „უმეტეს განმარტილებელი სხვათა პოვნილი ქორონიკონებთა გარდა და მოწამე აქა წერილთა ესე არს,—სწერს ვახუშტი თავისი შესავლის ერთს შენიშვნაში,—რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარიდან სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველს გარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა, რამეთუ ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე ძისა ალექსანდრესა სწერს. „ეს მეფე მოკვდა, ეს მეფე მოკლეს“ და შემდგომად გიორგისა ქართლის მეფე, იმერთა მეფე, კახთ მეფე მოკუდა. აქ ქვეყნით სახელ დებს, ვითარცა ქართველ მეფეს გურიელმან სძლო მოხისს, კახთ მეფე ლევან მოკუდა, ხოლო იქ ქვეყნოდ—მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა, ალექსანდრე მიიცვალა. ამით მუნ აჩენს ერთ მეფობასა და აქ გაყრასა. გონიერმან თვით განიხილოს, ვინადგან იმერეთს არს აღწერილი და არა ქვეყნობით ახსენებს, მაშ კვალად ერთმეფობა ეთვილა და შემდგომად განყოფა“ (ქ. ც-ბა, II, 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ცნობიდან ცხადად სჩანს, რომ 1) ვახუშტს, თუ ამასთან [illegible] მხედველობაში მის მიერვე მოხსენებას თამარის სიკვდილის ქრონიკო[illegible]ჳოვნის შესახებ (ქ. ც-ბა, I, 12), ამთუდიას თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი იმერულ ძველ გარიგების წიგნიდან და 2) ქრონიკები ამ გარიგების წიგნში იწყებოდა გიორგი ბრწყინვალის დროიდან, ხოლო თავდებოდა სვიმონის ძის გიორგის დროით ანუ მე-XVII საუკ. პირველ წლებზედ. რომ გარიგების წიგნის ქრონიკა იწყებოდა გიორგი ბრწყინვალის ეპოქიდან, ამას ვახუშტი იხსენიებს თავისი შესავლის „უწყებ. მკითხველთათვის“ მეორე ადგილას. „გამეფდა ბრწყინვალე გიორგი ქრისტესით 1318, ქორონიკონს 6, და ამათს ქვეითსა ვიუწყებთ გუჯართა, სიგელთა და ძველთა ქორონიკონებთაგან 1323, ქორონიკონისა 11-საგან ვიდრე ჩვენდამდე“ (ქ. ც.-ბა II, 4). 1323 წ. ვახუშტის ქრონიკაში ნაჩვენებია გიორგი დადიანის სიკვდილი და ამ ცნობით იწყებოდა, როგორც ეტყობა, იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკა. ამ დრომდის და მაშასადამე მე-XIII საუკუნის შესახებ ვახუშტს ქრონიკული ცნობები არ ჰქონდა და ამიტომ ის, როგორც მისი პირველ შესავლიდან სჩანს, იძულებული იყო ხელოვნური გამოანგარიშებით აღედგინა ისტორიულ ფაქტთა სქემა.

ეხლა საინტერესოა გამოირკვეს, თუ რომელ ქრონოლოგიურ ცნობებს შეიცავდა როგორც თავისს უძველეს ნაწილსა (მე-XIV საუკ.), ისე საერთოდ ეს იმერული გარიგების წიგნის ქრონიკა. მასში, როგორც სჩანს, მოთავსებული ყოფილა ცნობა გიორგი მეფის სიკვდილის შესახებ 34 ქორონიკონს (1346 წ.), რომელიც ვახუშტს გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალების თარიღათ მიუღია. „ჩვენ ვპოვეთ, ამბობს ვახუშტი, თავის პირველ შესავალში, ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისისა ბაგრატის ქორონიკონი ძველთა ქორონიკონებთა შინა და ამით გულდებულ ვიქმენით ლანგთემურისა და კონსტანტინესთაგან და რიცხვეულ ვყავით ვახტანგისა და დავითისა; ვახტანგისა და გიორგის დავითის ძის მეფობანი“. (ქ. ც-ბა, I, 12). სხვა ქრონიკული ცნობები კიდევ შეიძლება აღდგენილ იქმნას ვახუშტის მიერ მის მეორე შესავალში—„უწყებ. მკითხ.“—შენახულ ციტატებით. „ხოლო იმერთა მეფეთათვის, რამეთუ ნარინ დავით მეფის ძენი კონსტანტინე და მიქელ ცხადად წერილ არს ცხოვრებასა შინა ჩვენსა და ძისა მიქელ მეფისასა იტყვის ქორონიკონი — მიქელ მეფის ძემ და არა მეფემან ბაგრატ ყვარყვარეს ახული შეირთო ცოლად ქრისტესით 1358, ქორონიკონს 46“. (ქ. ც-ბა, II, 9). მაშასადამე, იმერულ გარიგების წიგნის ქრონიკაში მოხსენებული ყოფილა მიქელ მეფის ძის ბაგრატის მიერ ყვარყვარეს ასულის შერთვა 46 ქორონიკონს.

აქ ყურადღებას იპყრობს ქრონიკის ნამდვილ ტექსტის აღდგენის დროს შემდეგი გარემოება. თავისს ქორონიკონებში ერთი ადგილი დასახელებულ ტექსტისა ვახუშტს მოხსენებული აქვს ციტატადენი, მაგრამ არსებითად ფრიად თვალსაჩინო განსხვავებით. სახელდობრ—„ქ~ნსა მვ (1358 წ.) მეფის მიქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ძემ ბაგრატ ყვარყვარე ათაბაგის ქალი შეირთო“. აქ ამ გვარად მიმატებულია სიტყვა ათაბაგი. ნამდვილად კი აქ გულისხმებული ყვარყვარე [illegible] ათაბაგის ხარისხის მატარებელი არ ყოფილა, არამედ ის იყო მხოლოდ ამირსპასალარად. ამას ამტკიცებს წარწერა ანჩის თმოგვრისა, რომელიც ესლა დაცული ციაშის ტაძარში, სადაც მოხსენებულია ყვარყვარეს ქალიც. „ქ. საშინელო ხატო ანჩისაო შეიწირე მცირე ესე თმოგვრი დედოფალთ დედოფლის ნათელისი ძისა დიდისა სულგრძელისა ამირსპასალარისა და სამცხის სპასალარისა ყვარყვარესი, აქა და საუკუნესა, ამინ, ანჩელისა თეოდოსისთვს შეკერული (ე. თაყაიშვილის არქ. მოგზ. სამეგრ. „ძვ. საქართ.“ III, 183; თ. ჟორდ. „ქრონ.“ II, 186) აქ ყვარყვარე მოხსენებულია გარდაცვალებულად და ამირსპასალარის ხარისხში. ცხადია, რომ ყვარყვარე არც ვახუშტის ნაქონ ქრონიკაში იქმნებოდა მოხსენებული ათაბაგად, როგორც ეს ზემოდ მოხსენებულ და მისი ისტორიის შესავალში დაცულ ციტატიდანაც ჩანს.

ეს ფაქტი ნათელ ჰყოფს, რომ ვახუშტს ხშირად ცვლილება და განსხვავოვრება შეჰქონდა მის მიერ ჰოვნილ ქრონიკათა ტექსტში და ეს გარემოება სახეში უნდა იქმნეს მიღებული ქრონიკების ტექსტის აღდგენის დროს.

იმავე „უწყებ. მკითხველთათვის“ მეორე ადგილას ვკითხულობთ: „იგივე ქორონიკონი (1355 წ. დავით მეფის მოხსენების შესახებ ერთ სიგელში) აქ წერილს ქორონიკონს მისწვდების დიდის ბაგრატისაგან სვანთ მოწყვეტასა და თურქთაგან სამცხის მორბევასა“. (ქ. ც-ბა, II, 3). ხოლო ვახუშტის ქრონიკებში კი ამის შესახებ ვკითხულობთ: „ქორონიკონს 49 (1361 წ.) მზე დაბნელდა და სვანთა ქუთაისი დაწვეს. დიდმან ბაგრატ მეფემან მოსწყვიტნა და დაიპყრნა და თურქთ სამცხე მოარბიეს“... (ქ. ც-ბა II, 238). ამას ქორონიკონების ტექსტში მიმატებული აქვს: „...დიდმან ბაგრატ მეფემან მოსწყვიტნა. კვალად მოკუდა ათაბაგი ყვარყვარე, ბაგრატ მეფემან დასვა ძე მისი ბექა“. პირველი ნაწილი ამ წინადადებისა უნდა იყოს ჩამატებული ბაგრატ მეფის მიერ სვანთა მოწყვეტის შესახები ცნობის ანალოგიით, ხოლო მეორე ნაწილის წყარო კი, თუ ეს ყვარყვარეს სიკვდილის თარიღი თვით ვახუშტის მიერ არ არის მიგნებით ნაჩვენები მის მიერ შედგენილ გენეალოგიურ სქემის მიხედვით, ჯერ კიდევ საძიებელია.

ეჭვს არ იწვევს აგრეთვე თავისი სინამდვილის მხრივ ქრონიკული ცნობა 1366 წლისა: „ქორონიკონს ნდ დიდი სიკუდილი იყო და მოკუდა დედოფალი ელენე, ცოლი ბაგრატ მეფისა“.

სხვა ცნობები, რომელთაც თვით ვახუშტი იხსენიებს, როგორც პირველ წყაროდან ნასესხებს, არის კიდევ შემდეგი: „კვალად მოკუდა მეფე ალექსანდრე ქრისტესით 1389, ქორონიკონს 77; კვალად მოკლეს მეფე გი-

ორგი მეგრელთა ქრისტესით 1392, ქრნს 80 და კვალად მოკლეს მეფე [illegible]
სტანტინე ჩალადანს ქსით 1401, ქრნს 89 და კვალად დიდი ომი [illegible]
ლეს მეფე გიორგი თურქთა და ძმა მისი კოსტანტინე მეფედ იქმნა ქსით 1407, ქრნს 95 („უწყებ. მკითხვ." ქ. ც-ბა II, 5). როგორც ამ ქრონიკულ ცნობების შინაარსიდან სჩანს, ყველა ისინი ეხება დასავლეთ საქართველოს მეფეებს ანდა შიგ მოხსენებულ ფაქტებს დასავლეთ საქართველოს ცხოვრებასთან აქვს კავშირი. ეს ითქმის კერძოდ ბაგრატ მეფის შესახებ ცნობის გამო, რადგანაც ამ მეფის წარმომავლობა აღმ. თუ დასავლ. საქართველოს დინასტიიდან ჯერ საბოლოოდ გამორკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ისიც უნდა ითქვას, რომ გარიგების წიგნის ქრონიკაში ყოფილა ცნობა ბაგრატ მეფის სიკვდილის შესახებ ამ რედაქციით: „მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა" („უწყებ. მკით." 8, შენიშვნა). თავის ქრონიკულ ნუსხაში კი ვახუშტს ეს თარიღი მოყავს ამ გვარად: ქორონიკონს 83 (1395) დიდი ბაგრატ მეფე გარდახდა" (ქ. ც-ბა II, 239). ამავე სიტყვებით ბაგრატის სიკვდილი ყოფილა მოხსენებული ერთს ქრონიკაშიც, რომელიც ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების" მედგეს შემდგენელს („ქართლ. ცხ.", მარ. დედოფ. ვარიანტი, გვ. 887) და ამიტომ საფიქრებელია, რომ ბაგრატის სიკვდილი, ამ გვარი რედაქციით, ვახუშტს თავისი ძირითად წყაროდან — იმერული ძველი გარიგების წიგნიდან — არ უნდა ჰქონდეს ამოღებული. რადგანაც „ქართ. ცხოვ." მედეგში შეტანილია ქრონიკული ცნობა გიორგი მეფის მეგრელთა მიერ მოკვლის შესახებ, ამიტომ ეს ცნობაც უნდა ყოფილიყო მოთავსებული, გარდა გარიგების წიგნის ქრონიკისა, ამავე, მედეგის ავტორის ხელთ მყოფ წყაროში.

ზემოდ მოყვანილ ქრონიკაში მოხსენებული მეფე ალექსანდრე და მეფე გიორგი არიან, როგორც ამას ვახუშტიც სამართლიანად ფიქრობდა, დასავლ. საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელნი. რაც შეეხება მეფე კოსტანტინეს, რომელიც მოკლულ იქმნა ქრონიკის ცნობით 1401 წ. ჩალადანს, აქ უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს მეფე კოსტანტინე, რომელიც მართლაც მოკლულ იქმნა ბრძოლაში 1412 წ.. ავშალის კოშკში ჩოვნალ მე-XV საუკ. ერთს დოკუმენტში, რომელიც შეეხება ზევდგინიძეთა გვარეულობას, ვკითხულობთ (ჩვენ ვსარგებლობთ პ. კარბელაშვილის მიერ. გადმოწერილ პირით): ბიძა ჩემსა თაყას — სწერს ზევდგინიძეთა გვარის ერთი წარმომადგენელი თაყა ზევდგინიძის შესახებ - ბარათა ზრდიდა, გაუწყრა მეფე კოსტანტინე--- შვილსა მეფესა ალექსანდრეს. ალექსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთან წავიდა -- ბიძა ჩემი თან წაყვა ლარიბობას, ხუთსა წელიწადსა ლარიბობას იახლა--- კოსტანტინე მეფემან ჩალადანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მას ტახტზედა დაჯდა". აქ ლაპარაკია საქართველოს მეფეს ალექსანდრეს (1412—1442 წ.) და მისი მამას კოსტანტინეს შესახებ. ძნელი დასაჯერებელია, რომ მე-XV საუკუნის დასაწყისში ორი სხვა-და სხვა კოსტან-

ტინე მეფე ყოფილიყო და ორივე ჩალადანს გადაშქრებისას დაღუპულიყო. უფრო საფიქრებელია, რომ 1401 წლის თარიღის ქვეშ მოხსენებული კონსტანტინე უნდა იყოს საქართველოს მეფე, ნამდვილად 1412 წელს დაღუპული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კოსტანტინე მეფის მოკვლა ჟ ქორონიკონს (1402 წ.) მოხსენებულია სხვა ქრონიკებშიაც („ქრონიკ." II, 206), მაგრამ აქ როგორც ეტყობა, ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს პირვანდელ და ყველა ქრონიკების საერთო წყაროში შეპარულ შეცდომასთან.

ყოველ შემთხვევაში, ეს ქრონიკული ცნობა სხვა ქრონიკებშიც მოიპოვება და ეს გარემოება იმისი მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ვახუშტს ის ამოღებული არა აქვს იმერული გარიგების წიგნიდან. როგორც 1401 წლის, ისე 1407 წლის ზემოდ მოხსენებული ცნობა კონსტანტინე მეფის შესახებ ეხება ამ გვარად სამეფო დინასტიის მთავარ შტოს წარმომადგენელს. საზოგადოდ, როგორც ეტყობა, მე-XV საუკუნიდან ვახუშტს უკვე ხვდებოდა ქრონიკული ცნობები კერძოდ აღმოს. საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებულ ფაქტების შესახებ, მაგ., ლორის ციხის აღება ალექსანდრე მეფის მიერ 1432 წ., ალექსანდრეს მისვლის შესახებ ამბერდს 1431 წელს და ყარაბახს 1437 წელს და სხ.

მე-XV და XVI საუკუნის შესახებ ვახუშტის, გარდა იმერული გარიგების წიგნის ქრონიკისა, ჰქონდა ხელთ უკვე სხვა მასალებიც. ეს ცხადად სჩანს, როგორც მისი წინასიტყვაობის ზოგიერთ მსჯელობიდან, ისე აგრეთვე იმ გარემოებიდან, რომ ბევრი ცნობა, განსაკუთრებით მე-XVI საუკუნისა, წარმოადგენს პარალელს ამჟამად უკვე ცნობილ სხვა ქრონიკების ცნობებთან როგორც ქრონოლოგიური, ისე სტილისტიური თვალსაზრისით. მეXVI საუკუნისა და კერძოდ სამცხე-საათაბაგოს ცხოვრების შესახებ ვახუშტისთვის ფრიად დიდ-მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა მესხური დავითნი, ხუთ წიგნათ გაყოფილი, რომლის ქრონიკის ნაწილი უკვე ცნობილი და დაბეჭდილია (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორ. ქრონიკა), ხოლო დანარჩენის აღდგენა კიდევ, ვახუშტის ქრონიკის მიხედვით, რამოდენადმე მაინც შესაძლებელია.

ყველა ამ ქრონიკულ ცნობების გამოკლებით ჩვენ მივიღებთ დასხლოვებით გარიგების წიგნის ქრონიკას.

ყურადსაღებია კიდევ ის გარემოება, რომ ვახუშტი ხშირად სცვლის ანავრცელებს ქრონიკის ტექსტს მის მიერ შედგენილ ისტორიულ მოვლენათა საქმის მიხედვით. ასე, მაგალითად, უფრო ხშირად თვით ვახუშტის მიერ შიმატებული უნდა იყოს ცნობები ამა თუ იმ მეფის ან მთავრის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრის გაბატონების შესახებ, რადგან ჩვეულებრივ ქრონიკული ცნობები წარმოადგენენ მხოლოდ მარტივ აღნუსხვას ამა თუ იმ ფაქტისას (მაგ., მეფის ან მთავრის სიკვდილისას მემკვიდრის სახელის მოუხსენებლად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კი ჩვენ ყველა ამ გარემოებას მივიღებთ სახეში, მაშინ იმ[illegible]გების წიგნის ქრონიკა, რომელიც იწყებოდა თამარ მეფიდან და მო[illegible] იყო სვიმონის ძის გიორგი მეფის (ანუ მე-XVII საუკ. დასაწყისის) დრომდის, დასახლოვებით წარმოგვიდგება შემდეგ ნაირად:

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

ქორონიკონს უკა (1201) აქა თამარ მეფე მიიცვალა.
,, ია (1323)—მოკუდა გიორგი დადიანი.
,, კბ (1334)—მოკუდა ათაბაგი სარგის.
,, ლგ (1345)—მოკუდა დადიანი მამია.
,, ლდ (1346)—გიორგი მეფე გარდაიცვალა
,, მე (1357)—მზე დაბნელდა.
,, მვ (1358)—მეფის მიქელის ძემ ბაგრატ ყვარყვარეს ქალი შეირთო.
,, მთ (1361)—მზე დაბნელდა და სვანთა ქუთათისი დასწვეს. დიდმან ბაგრატ მეფემან მოსწყვიტნა და დაიპყრნა და თურქთ სამცხე მოარბიეს.
,, ნდ (1366) დიდი სიკუდილი იყო და მოკუდა დედოფალი ელენე, ცოლი ბაგრატ მეფისა.
,, ობ (1384)—მოკუდა გიორგი დადიანი.
,, ოე (1387)—ლანგთემურ სამარყანელმან ტფილისი ალილო წარტყუევნა, მეფე ბაგრატ და დედოფალი ანა გამოიყუანა ციხიდან და ტყუე ჰყუნა.
,, ოზ (1389)—მოკუდა ალექსანდრე მეფე.
,, ოჱ (1390)—აფხაზთა კათალიკოზად დასუეს არსენ.
,, ოთ (1391)—მოკუდა ათაბაგი ბექა.
,, პ (1392)—მოკლეს მეფე გიორგი მეგრელთა.
,, პგ (1395)—მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა.
,, პთ (1401) მეფე კოსტანტინე მოკლეს ჩალაღანს.
,, ჟე (1407)—დიდი ომი იყო, მოკლეს მეფე გიორგი თურქთა და ძმა მისი კოსტანტინე მეფედ იქმნა.
,, რბ (1414)—დადიანი მამია მოკლეს აბხაზთა.
,, რლ (1442)—მეფე ალექსანდრე მიიცვალა. (იხ. „უწყებ. მკითხ." 8, შენ.).
,, რლგ (1445)—ვახტანგ მეფე მიიცვალა.
,, რლე (1447)—ალბულა და ყუარყუარე შეიბნეს, ყუარყარეს გაემარჯვა.
,, რმ (1452)—მეფის ალექსანდრეს ძე დიმიტრი [illegible] მოჰკლა,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორონიკონს რნ (1462)—მეფე გიორგი და ბაგრატ შეებნენ ჩი-
ხორს, ბაგრატს გაემარჯვა („უწყებ. მ[illegible]

,, რნა (1463)—გიორგი მეფე თავრიჟ გილაქმან და თე-
მურ მოაოხრეს (იქვე).

,, რნგ (1465) ყუარყუარე ათაბაგმან გიორგი მეფე შე-
იპყრა ფანავარსა ზედა (იქვე).

,, რნდ (1466)—ბაგრატ მეფემან ქართლი დაიპყრა (იქვე).

,, რნზ (1469)— გიორგი მეფე მოკუდა (იქვე).

,, რჲვ (1478)—ბაგრატ მეფე მოკუდა (იქვე).

,, რჲზ (1479)—ქართლი დაიპყრა კოსტანტინე მეფემან
(იქვე, გვ. 7).

,, რჲთ (1481)—კოსტანტინე მეფე ჯავახეთს მიუხდა და
დადიანი თანა ახლდა (იქვე).

,, რობ (1484)—გამეფდა ალექსანდრე, ქუთათისი აღიღო
(იქვე).

,, როე (1487)--კოსტანტინე მეფემან ქუთათისი აღიღო
(იქვე).

,, როზ (1489)—ქუთათისი დაიპყრა ალექსანდრე მეფე-
მან (იქვე).

,, რჟგ (1505)—კოსტანტინე მეფე მოკუდა (იქვე).

,, რჟზ (1509)—ალექსანდრე მეფემან, ძმან ბაგრატ მე-
ფისამან გორი დაიპყრა (იქვე).

,, რჟჱ (1510)—მოკუდა მეფე ალექსანდრე და ძე მისი
ბაგრატ გამეფდა (იქვე).

,, სზ (1519)—გელათი საეპისკოპოზოდ ჰყუეს, საყვარე-
ლიძე მელქისედეკ დასვეს.

,, სჱ (1520)—ქართველთ მეფეს გურიელმან სძლო მო-
ხისს (,,უწყებ.'' 8, შენიშვნა).

,, სკ (1532)—მამია დადიანი და მამია გურიელი ჯი-
ქეთს ჩაუხდენ. დადიანი მოკლეს, გურიელი დაი-
ჭირეს.

,, სკბ (1534)—მოკუდა გურიელი მამია.

,, სლდ (1546)—დადიანი ლევან შეიპყრა ბაგრატ მეფემ,
გელათს ტყვე ჰყო.

,, სლვ (1548)—მოკუდა მეფე ბაგრატ.

,, სნა (1563)—გიორგი მეფემ მოიყუანა ჩერქეზის ბატო-
ნის ქალი რუსუდან ცოლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორონიკონს სნე (1568)—გიორგი მეფეს უღალატა ვახტანგის ძმის-ძემ ხოსრომ, იანეთს დაესხნენ, ჭილაძე ვარაზა, ლიპარტიანი და დადიანი ოდიშარით თან ახლდნენ, ვერა რა ავნეს.

,, სჲა (1573) - მეფის გიორგის ძემ ბაგრატ ქორწილი ქმნა ლევან დადიანის ქალზე.

,, სჲბ (1574)—მოკუდა ლევან კახთ მეფე (უწყ., 8, შენ.)

,, სჲე (1577)—დაიბადა გიორგი დადიანის ძე ლევან.

,, სჲვ (1578) მოკუდა კათალიკოზი აფხაზთა ევდემოზ და დედოფალი რუსუდან და ძე მისი ბაგრატ.

,, სჲთ (1581)--ჩაუხდა მეფე გიორგი ქართლს, დადიან-გურიელი თან ახლდნენ, გალმა-გამოლმართი ხრულ დასწუეს.

,, სო (1582)—მოკუდა გიორგი დადიანი.

,, სოა (1583)—გურიას დასვეს ვახტანგ გურიელად [გიორგი განაძეს], და გიორგი მეფემ დაიჭირა ძმა თვისი კოსტანტინე შვილით და პატიმარ ჰყო.

,, სოგ (1585)--მოკუდა მეფე გიორგი, დაჯდა ძე მისი ლევან მეფეთ და კოსტანტინემ მისმა ბიძამ არგვეთი დაიჭირა.

,, სოდ (1586)--ლევან მეფემ მოიყვანა ცოლი, ლევან დადიანის ასული მარეხ, ქმნა ქორწილი.

,, სოე (1587)—ლევან მეფემ გაილაშქრა აღდგომას უკან, რიონს გაღმართი კოსტანტინეს ბიძასა მისსა აქუნდა სკანდის ციხით, სულ წაართუა, მას საჵფლისწულო მისცა. მოკუდა გურიელი ვახტანგ.

,, სოჱ (1590)—ლევან მეფე და დადიანი მამია ქუთათს შეიბნენ და დადიანმან მეფე დაიჭირა, შხეთის ციხეში დააბა და მუნ მოკუდა. მეფეთ დასუეს როსტომ კოსტანტინეს ძე. მოკუდა დადიანი მამია, დაჯდა მანუჩარ (....) გიორგი გურიელმან ქუთათისი აღიღო, მოიყუანა თეიმურაზის ძე ბაგრატ, ქუთათისი მისცა, თვისი ძმა მამია მოუყენა. კუალად მოიყუანა ურუმნი, ჩიჯავაძეს ციხე წაართვა, სხვა ჩიჯავაძე დასვა. მოვიდა სვიმონ მეფე, ქუთათისი აღიღო, ბაგრატ ქართლს წარიყვანა. კუალად მოვიდა სვიმონ მეფე, ოფიშკვითს დაუმარცხდა და გამეფდა როსტომ.

ქორონიკონს სოთ (1591) – აფხაზნი მოუხდნენ გურიას, გურიელის ძემ მამიამ მოსწყვიტნა. უშვა მანუჩარ დადიანს კახ-ბატონის ასულმან ძე ლევან და მშობიარე მოკუდა ქალი იგი.

,, სპ (1592) — მანუჩარ დადიანმა იქორწინა ვახტანგ გურიელის ქვრივზედ.

,, სპე (1597) — როსტომ მეფემ მოიყვანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფლად და იქორწინა.

,, სპჱ (1600) – სვიმონ მეფე შეიპყრეს ოსმალთა და წარიყუანეს.

ასეთი უნდა ყოფილიყო დასახლოებით შემადგენლობა ამ ფრიად საყურადღებო ქრონიკისა. მისი შინაარსის განხილვის დროს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქრონიკა ხშირად რამდენიმე წლით შეცდომას უშვებს ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტის დათარიღების დროს. ეს შეიძლება ითქვას იმ ქრონიკულ ცნობათა შესახებ, რომელთა შეჯერება სხვა არსებულ მასალებთან ამ ჟამად შესაძლებელია. მაგალითად, თამარ მეფის სიკვდილის ქორონიკონი ნაჩვენებია 421, მაშინ როდესაც ქრონიკული ცნობები უჩვენებენ ჩვეულებრივ 427 ქორონიკონს (,,ქრონიკ.'' თ. ჟორდ. I, 294, იქვე 426 ქორონიკონია ნაჩვენები, გვ. 297; შედ. კიდევ ,,ძვ. საქ.'' II, 64—65, — ფრიად საყურადღებო ნუსხა, სადაც, ალბად შემდეგდროინდელ გადამწერის შეცდომით, ქორონიკონი უკზ გიორგი ლაშის სიკვდილის თარიღად არის მოხსენებული; კიდევ რუსუდან მეფის დროინდელი მემატიანე, რომელიც აგრეთვე 427 ქორონიკონს უჩვენებს, იხ. ივ. ჯავახიშვილის ,,ქართ. ერის ისტ.'' II, 618). შეცდომით უნდა იყოს აგრეთვე მოხსენებული კოსტანტინე მეფის მოკვლა ჩალაღანს 89 ქორონიკონს, ნაცვლად 101 ქორონიკონისა, რომელსაც უჩვენებენ ალექსანდრე მეფის გამეფების წლად ამ უკანასკნელის სიგელები. გიორგი მეფის სიკვდილი 157 ქორონიკონს სხვა ქრონიკით ნაჩვენებია 162 ქორონიკონს (ქრონიკ. II, 291). გელათის საეპისკოპოზოს აღდგენა მოხდა სხვა და უფრო სანდო (გელათურ) ქრონიკით არა 207, არამედ 217 ქორონიკონს (ქართ. ცხოვ. მარ. დედ. ვარ. 913 — 914, ჯარიზის ქრონიკა 5 — 6), ჯიქეთს გალაშქრება მამია დადიანისა და გურიელისა მოხდა ერთი წლით უფრო გვიან, ვიდრე ეს ვახუშტის ხელში მყოფ ქრონიკის მიერ ყოფილა ნაჩვენები, ლევან დადიანის დაჭერაც ბაგრატ III-ს მიერ მოხდა ორი წლით უფრო გვიან (შედ. ,,ქრონიკ.'' II, 389). გიორგი დადიანი მოკვდა არა 1582 წელს, არამედ 1585 წ., რასაც ამტკიცებს გელათის გულანის ქრონიკა, აქამდის მოყვანილი ამ დროინდელ ტექსტის ხელით (შედ. ,,ქრონიკ.'' II, 423). ლევან იმერეთის მეფე ქრონიკით გამეფებულად სჩანს 1585 წ., ნამდვილად კი ის მეფედ ითვლებოდა 1583 წელ-

სა, როდესაც მას მიცემული აქვს მეფის ხარისხით სიგელიც. ყველა ამ ფაქტებიდან სჩანს, რომ ქრონიკა, ისე როგორც ის ამოკითხული აქვს ვახუშტის, ხშირად ცდება თარიღებში თვით ქრონიკის შემადგენელის მომსწრე დროის შესახებ (ე. ი. მე-XVI საუკ. დასასრულს). ასეთივე შეცდომას წარმოადგენს ცნობა მანუჩარ დადიანის ძის ლევანის დაბადების შესახებ 1591 წ., რადგან ცნობილია, რომ ლევანი მთავრად დაჯდა 1611 წ., მამის სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ 14 წლისა, როგორც ამას გადმოგვცემს არქ. ლამბერტი. მაშასადამე ლევანის დაბადების დროც **უწევს** 1597 წელს, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს ამ წლისა, რადგან ლევანი გამთავრებისას ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო.

ყველა ამ მაგალითებიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ იმერული გარიგების წიგნის ქრონიკა, შემცველი ფრიად საყურადღებო ცნობებისა, თარიღების მხრივ მაინც საჭიროებს ფრთხილად მოპყრობას. მიზეზი ასეთ, ხშირად საკმაოდ მსხვილ შეცდომისა, უნდა იყოს ის, რომ ქრონიკა გადმოწერილი უთუოდ კინკლოსიდან დაუდევრად და შეიძლება თვით კინკლოსშიდაც ცნობები მიწერილი იყო იმ გვარად, რომ შესაძლებლად ხდიდა თარიღის სხვადასხვა ნაირად წაკითხვას. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი შეცდომა წაკითხვაში მოსვლოდეს თვით ვახუშტს. უფრო საგულისხმებელია, რომ ქრონიკის გადაწერა კინკლოსიდან მოხდა უფრო ადრე—XVII საუკუნის სიგრძეზე. ამ შემთხვევაში გარიგების წიგნში ის მოთავსებული იქნებოდა, როგორც გაბმული ტექსტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მე-XV საუკ. დასაწყისის ერთ დავით მეფის შესახებ.

მცხეთის გუჯრებში იპოვება ერთი ფრიად საინტერესო საბუთი, რომელიც უკვე ცნობილია ლიტერატურაში (თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 250, „ვეფხ. ტყ." ს. კაკაბაძის გამ. 1914 წ., წერილი, გვ. 46—47) და რომელსაც თავისი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მეფეთა გენეალოგიურ საკითხთა გარკვევის დროს. ეს სიგელი საჭიროებს სრულად გამოცემას. მისს ასლს ჩვენამდის არ მოუღწევია, არის მხოლოდ პირი, აღნუსხული მე-20 ნომრით, გადაწერილი კახთ მეფის ალექსანდრე II-ს დროს მე XVI საუკ. მეორე ნახევარში მის დროინდელ კარის მწიგნობრის წინამძღვარ იოსებ ვაჩნაძის ხელით. ეს პირი არის წარმოდგენილი კარგს თეთრს ქაღალდზე ზომით 126×24 სანტიმ. მის ბოლოში დაკრულია ორი ბეჭედი, რომელთაგან ერთის წარწერა არ გაირჩევა, მეორე კი გვირგვინით და წარწერით—„მონა ღ̃თისა ალექსანდრე"—გვაუწყებს მეფე ალექსანდრე II-ს. მეორე გვერდზე მოიპოვება მინაწერი: „გამოიწერა გუჯარი ესე განსახლებლად ქ̃ეს რიგ დაწერილი"; „ქ ლორეს ამუჭის სოფლისა". სიგელის ტექსტი უცვლელად იკითხვის შემდეგ ნაირად:

ქ: რომელი: არს: და: რომლისა: მიერ: ძლით: იქმნეს: ყოველნი: აღნაგნი: არსისა: არსთა: უცვალებელისა: უსაზღროსა: ძალგანუზომელისა: გარე: შემოუწერელისა: ხოლო: მიუწდომელობით: ცნობილისა: რომელმან: ძალნი: უკორცოთანი: თვინიერ: გარეშე: მიხსა: სახიერებით: ვერ მისწუდებიან: ცნობად: და: თვალთშედგმად: რომელსა ცანი: ვერ: დაიტევენ: და: წესნი: ანგელოზთანი: უძრწიან: ესე: ვითარ: კსნისათუის: ჩუენ: ცოდვილთასა: საშოსა: შენსა: უთესლოდ: და: უხრწნელად: შეურევნელად: და: შეუგინებელად: დაიტია: დაუტევნელი: ცათა: და: ქუეყანისა: და: თბითა: კაცობრივითა: შემოსილ იქმნა: რომელმან: წამისყოფითა: დაბადნა: ყოველნი: აღნაგნი: ვითარ: მონათა: თანა: შერაცხილად: შევ: ვიტყუი: ღ̃თაებასა: და: კაცებასა: ორითა: ბუნებითა: სრულითა: რომლისა: შობასა: ანგელოზნი: ვითარცა: ღმერთსა: მოგუნი: ვითარცა: მეუფესა: ვარსკულავნი: ვითარცა: დამბადებელსა:. ერნი: ვითარცა: მაცხოვარსა: და: მწყემსნი: ვითარცა: მონასა: მსახურებდეს: რომელსა: ევნებოდა: ვითარცა: კაცსა: და თავს იდვა: ჩუენ:

ცოდვილთათუის: შიმშილი: წყურვილი: ნავლლის სმა: ყურიმლ[illegible]
მა: და: სამსჭვალთა: მიერ: გვერდისა: მოწყულა: ეჰა: რ[illegible]
მიერ: აიკოცა: ყოველივე: მომყუირტოვნება: და: უსჯულოვება:
ცხედარო: სოლომონისო: ასულო: დავითისო: რომელი: შეყუარე-
ბულ იქმნა: ძისაგან: შენისა: რომელი: ეგე: ადამს: ემამე: და: დე-
და: ექმენ: ევას: დედაო: ქალწულად: მშობელო: ემმანოელისო:
რომელი: ეგე: სამ წლისა: მიყუანებულ: იქმენ: ტაძრად: ტაძარო:
სულისა: წმიდისაო: მახარებელო: ევას: ნაშობთა: ბრალეულთაო:
ბნელისაგან: წყუდიადისა: ნათლად: მომყუანებელო: არა: მუცლით:
არა: მუცლით: (sic) ქალწულო: გარნა: მიერ: სულისა: წმიდისა: ნათ-
ლად: მოცემისა: და: ჩუენად: ზლუდედ: გამორჩეულო: წარმმარ-
თებელო: მეფობისა: ჩუენისაო: დიდებაო: და: სიმტკიცეო: სკი-
პტრა: პორფირისაო: და: გუირგუინისა: ჩუენისაო: შენ: ცათა:
მობაძაო: კათოლიკე: ეკლესიაო: სვეტო: ცხოველო: და: მას: ში-
ნა: მყოფო: კუართო: საუფლოო: და: მირონო: წმიდაო: ჩუენ:
ცვა: ფარვათა: თქუენთა: მონდობილმან: მეფემან: იესიან: დავითი-
ან: ხოლომონიანობით: ალმკულმან: ჩუენ: პატრონმან: მეფეთ: მე-
ფემან: დავით: ძემან: ჩუენმან: ვახტანგ: და: დიმიტრიმ: რაოდე:
ქება: და: მადლობა: შევსწიროთ: თქუენდა: რომლისა: შეწევნითა:
და: წინამძღრობითა: ძელისა: ცხოვრებისათა: მტერნი: წინა: აღ-
მგონნი: (sic) ჩუენნი: სამარადისოდ: ლტოლვილ: და უკუნქცეულ არიან:
და: რადმცა: უკუილაგმა: გონება: ჩუენი: სამსახურებელად: სვე-
ტისა: ღ̃თივ: აღმართებულისა: კუართისა: საუფლოსა: და: მირო-
ნისა: ღმრთმყოფელისა: და: ვითა: სამართლად: პატრონთა: სულ-
კურთხეულთა: პაპათა: და: მამათა: ჩუენთაგან: განჩენილისა: დამ-
ტკიცება: ეგრეთ: ჯერვიჩინეთ: გულს: მოდგინებით: შემოგწირეთ:
თქუენ: დიდსა: და: ცათა: მობაძავსა: სვეტს: ცხოველსა: კუართ-
სა: საუფლოსა: და: მირონსა: წმიდასა: და: საჭეთ: მპყრობელსა:
თქუენსა: ჩუენის: სულისა: მეოხსა: და: მოძლვარსა: კ̃ზს: თეო-
დორეს: მოგახსენეთ: ლორეს: სოფელი: ამუქი: ეკლესიითა: სასა-
ხლითა: გლეხებითა: ყანითა: ვენაკითა: წყლითა: წისქუილითა:
ქალითა: სათიბითა: ტყითა: სანადიროთა: სათევზოთა: რუთა: მზღუ-
რითა: მთითა: და ბარითა: საკმარითა: და: უკმარითა: საძებრითა:
და: უძებრითა: ყოვლის: შისის: სამართლიანის: მზღურითა: ყოვ-
ლითურთ: უნაკლულოდ: მოგუიხსენებია: თქუენ: დიდისა: და: ცა-
თა: მობაძავისა: დედა: ქალაქისა: მცხეთას: სვეტის: ცხოვლისათუ-
ის: ეგრეთვე სოფელი: დირსიელი: სასახლოთა: (sic) გლეხებითა: ყანი-
თა: ვენაკითა: წყლითა: წისქუილითა: ქალითა: სათიბითა: ტყითა:

სანადიროთა: სათევზოთა: როჳთა: მთითა: და: ბარითა: საკმარითა: და უკმარითა: საძებრითა: და: უძებრითა: მისითა: მიდგმითა: [illegible] ლიად: და ყ ღვე უკლებად: შემოგუიწირავს: და: მოგუისხურებს: არას ყმის: გამოსრულობისა: და გამოცულილობისათვის: არ: მოგეშალოს: მტკიცედ: და: შეუცვალებელად: და: ყოვლისა სათხოვრისა: და: გამოსაღებისაგან: და: სამუშაოსაგან: თარხნად: და: შეუვალად: შემოგუიწირავს: ესრეთ: არ: ეთხოებოდეს: ულუფა: არ: გუთნისთავი: არ: ყანის: სამუშაო: არ: სამეჯინიბო: და: არ: სახორსორილო: (sic) არც: დიდი: და: არც: მცირე: სათხოვარი: და: ჩუენი: ყმა: და: მოსამსახურე ვერას: საქმისა: და: სათხოვრისათუის: მათსა: კარსა: ვერ: მივიდეს: აწე: ვინცა: და: რამანც: კაცმ: ადამის: მონათესავემა: დიდმა: გინა: მცირემა: მეფემან: გინა: მთავარმან: სჯულიანმან: გინა: სჯულის: გარდამავალმან: ესე: ჩუენგან: გულსმოდგინებით: შეწირულობა: სვეტის: ცხოველს: მოუშალოს: მასმცა: რისხავს: თავად: დაუსაბამო: დაუსრულებელი: ღ̃თი: და: ყოველნი: მისნი: წმიდანი: ზეცისანი: და: ქუეყანისანი: კორციელნი: და უკორცონი: უკეთუ: მოჰამადინთაგანმან: ვინმე: მოშალოს: მასმცა: რისხავს: მოჰამად: უსაინ: ყოველნი: მათნი: იმამნი: და: ფეკამბარნი: და: ყოველნი: მათნი: სალოცავნი: ეგრეთვე: ამავე: წესით: პირველად: მამა: პაპათაგან: შეწირული: ყოფილიყო: სვეტის: ცხოვლისათუის: მარმაშენის თავს: სოფელი: წყარო: მრავალი: და: ვარდისუბანი: და: ფარვანასპირს: სოფელი: ასფარვანი: და: ფოკა: მათითა: ყოვლის: სამართლიანის: მზღურითა: მთითა: ბარითა: საცილოთა: და: უცილოთა: აწე: ჩუენცა: განვაახლეთ: გუჯრითა: ამით: და: შევსწირეთ: ჩუენსა: სასოებასა: სვეტს: ცხოველსა: ამავე: წესითა: არავის: არ: მოეშალოს: არა: ჩუენგან: და: არა: შემდგომთა: სხვათა: მეპატრონეთაგან: აწე: ვინცა: ნახოთ: ბ̃ზა: და: სიგელი: ესე: ჩუენი: შემდგომად: ჩუენსა: მომავალთა: მეფეთა: და: დედოფალთა: ერისთავთა: და: კარისა: ჩუენისა: ვაზირთა: და: მოურავთა: მეჯინიბეთა: მერემეთა: მპარავთ: მძებართა: მეულუფეთა: პურისა: და: საკლავის: მკრებელთა: და: ყოველთავე: კარით: ჩუენით: წარვლენილთა: გაგზავნილ: მოსამსახურეთა: დაუმტკიცეთ: და: ნურვინ: მოუშლით: მტკიცებ: ბრძანებულსა: ამას: და: ნურცა ვინრას: დააკლებთ: ნურც: დიდსა: და: ნურც: მცირესა: თუინიერ: თანა: დგომისა: და: შემატებისაგან: კიდე: და: არავინ: გუიბძანებია: შმლელი: და: მაქცეველი: მტკიცედ: ბრძანებულისა: ამის: ჩუენისა: და: არცა: მეუნებლი: მავნებელი: და: დამამტკიცებელი: და: ნუმცა: ვისგან: იკადრების:

ამა: ჩუენგან: სამკუიდროდ: მოჴსენებულისა: დიდისა: და: გინდა: მცირისა: რასმე დაკლებად: თვინიერ: თანადგომისა: და: შეცოდებისაგან: კიდე: დაიწერა: ბ~ბა: და: სიგელი: ესე: ჩუენი: ქ~კს: რ~იგ: ინდიკტიონსა: მეფობისა: ჩუენისასა კ~ა: ჴელითა: მესტუმრისა: და: კარის: მწიგნობრისა ჩუენისა: კლიმი: კაკლაჩასძისათა:

ხვეულად: მეფე დავით ვამტკიცებ ნებითა ღ~თისათა:

ა~ნ: ა~ნ: ა~ნ:

სიგელი ამ გვარად ბოძებულია დავით მეფის მიერ 113 ქორონიკონს მისი მეფობის 21 ინდიქტიონს. ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დავით მეფის გამეფების თარიღი. აქ მხოლოდ სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ წლის დასაწყისი 1 იანვრიდან თუ 1 სექტემბრიდან ჩვენში ამ დროისთვის საბოლოოდ გამორკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მე-XV საუკუნის დასაწყისს, როგორც საგულისხმებელია, ოფიციალურ ქაღალდებში უფრო კიდევ 1 სექტემბრის ანგარიში სჭარბობდა (ს. კაკაბ.—დიდის ალექს. მეფის გამეფების თარიღი). წლის დასაწყისის 1 სექტემბრის ანგარიშით დავითის გამეფება უწევს 1403 წ. 2 სექტ.—1405 წ. 31 აგვისტომდის, ხოლო 1 იანვრის ანგარიშით 1404 წ. 1 იანვრიდან—1406 წ. 1 იანვრამდის. ამასთანავე ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როგორც უკვე ნაჩვენები იყო (ს. კაკაბ.—გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა), რომ ამ დროის სივრცეზე მართლაც მოხდა ცვლილება საქართველოს სამეფო ტახტზე, სახელდობრ ომში მოკლულ იქმნა 1405 წ. 5 ივნ. და 1406 წ. 3 ივნისს შუა გიორგი მეფე და მის მაგივრად გამეფდა ძმა მისი კონსტანტინე. ამისდა მიხედვით მართლაც შეიძლება დავითის გამეფება დაუკავშირდეს გიორგის მეფის მოკვლის ფაქტს და ამ შემთხვევაში უფრო მჭიდროდ დათარიღება ამ ფაქტისა შეიძლებოდა 1405 წ. 5 ივნისიდან 1406 წ. 1 იანვრამდის, ანუ 1405 წ. მეორე ნახევრით.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სიგელი თავისი შინაარსით ბადებს ბევრს სხვა-და-სხვა საკითხებს. ამ საკითხებს შორის მთავარი მნიშვნელობა აქვს დავით მეფის მიერ სოფლების შეწირვას ლორეს და სომხითს. ამუჯი და წყართმრავალი ითვლებოდა ლორეს (ტაშირს), ხოლო ვარდისუბანი, ასტალის ხევზე მდებარე, ასფარგანი და ფოკა სომხითს (შეად. სია საკათალიკოზო სოფლებისა, თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 196). აღსანიშნავია კიდევ, რომ სოფ. ამუჯი ხელმეორედ იქმნა შეწირული ალექსანდრე მეფის მიერ 1434 წ. ლორის ციხის აღების დროს კათალიკოზ თეოდორეს მიერ სიტყვით ჯარის გამხნევების სამუქფოდ: „მიტაცებულნი აგარიანთაგან ჩუენი---ლორე და მისი შესავალნი ერთობილნი ჩვენ ვიშოვნეთ და დავიჭირენით და როგორაცა ვის ქართველთა დარბაზის ერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა---ჰქონებოდა ანუ სიშანი ვისმეღა დარჩომოდა და ანუ ჩამომავლობით პაპათა და მამათაგან არა თუ მაკსოვრობით მათ(თ)ა

მომავალთაგან სმენით სმენოდა და დაიჯეს, მათი მამული უბოძეთ.... [illegible] კათალიკოზმან ოქროდორე ამუჩი სოფელი და მისნი შესავალნი ია[illegible] გონეთ, რომე ამა დორის ციხის შოვნასა მიგან და მისთა შესავალთა შოვნასა მიგან დიდად და უსაზომოდ მოიჭირვეს ჭირველად ველრებითა ღ̃თისათა და კუალად და კუალად ლაშქართა მიმცნებითა ესრეთ, ვითარმედ ამა ესჯულთა აგარის ნ თესავთა ანდრონიკესშვილი ალასტანელი გ̃ გი მოეკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღესრულებიან და დატყვევებიან და ტახტი მეფეთა განურეუნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან" და სხ. (ს. კაკაბ.—წყრ. შტუდ. 13). 1431 წლამდის დორე ეჭირათ თურქებს, უეთ თურქების იმ ტომს, რომელიც შემოესია 1373 წ. სხვათა შორის ჯავახეთს და სამინლად აათხრა ის ალასტანითურთ. ამ თურქებთან ომში დაიღუპა მეფე გიორგი ალასტანელი, ანდრონიკეს შვილი (იქვე, 16—23). ამისდა მიხედვით დავით მეფის მიერ 1425 წ. ამუჩის სოფლის დამტკიცებას საკათალიკოზო ტახტისთვის უნდა ჰქონოდა მხოლოდ იურიდიულ აქტის მნიშვნელობა, ხოლო რეალურად საკათალიკოზო ტახტს არ შეეძლო ჯერ კიდევ ამ დროს, ალექსანდრე მეფის სიგელის მიხედვით, მისს მფლობელობაში შესვლა. დანარჩენი სოფლები, სიგელში მოხსენებული, კი შეიძლება ყოფილიყო ამ დროს თურქთა მძლავრების ფარგლებს გარეშე. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ დავით მეფის უფლება ვრცელდებოდა სომხითსა და მისს მიმდგამ მხარეებზე, მისთვისვე ყოფილა მიკუთვნებული ლორეც.

საინტერესოა, რასაკვირველია, ამ დავით მეფის ვინაობის გამორკვევა. უკვე გამოთქმულ აზრის მიხედვით („ვეფხ. ტყ." ს. კაკაბ. გამ., წერილი, გვ. 47—48) დავით უნდა ყოფილიყო ძე გიორგი მეფისა, რომელიც 1405 წ. იქმნა მოკლული. მაგრამ ის გარემოება, რომ გიორგი მეფის შემდეგ, ვახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკის მიხედვით (ზემოთ, გვ. 15 და 17), გამეფდა ძმა მისი კონსტანტინე, რამოდენადმე საეჭვოდ ხდის ამ მოსაზრებას. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ კიდევ, როგორც ზემოდ მოხსენებულ უტყუარ ცნობიდან სჩანს (გვ. 15), საქართველოს ტახტზე ჯდება ძე მისი ალექსანდრე. გიორგი მეფეს რომ შვილი ყოლოდა, მაშინ საქართველოს ტახტი არ გადავიდოდა ჯერ ძმაზე და შემდეგ ამ უკანასკნელის მემკვიდრეზე. ამისდა მიხედვით დავით, 1425 წ. სიგელის მიმცემი, გიორგი მეფის ძე არ უნდა იყოს. ჩემის აზრით, ის შეიძლება იყოს ძე დიდის ბაგრატ მეფისა და მამასადამე ძმა გიორგი და კონსტანტინე მეფეებისა. ეს დავითი თავისი დედა ანა დედოფალთან და მამა ბაგრატ მეფესთან ერთად, მიხ. ფანარეტის ქრონიკით, ტყვეთ იქმნა შეპყრობილი 1385 წ. ლანგთემურის მიერ ტფილისის აღების დროს. ამ დავითის ბედი შემდეგ არ სჩანს. მაგრამ 1425 წლის სიგელი უნდა გვიჩვენებდეს, რომ უფროსი ძმის გიორგის სიკვდილის შემდეგ მას მიუღია საპატრონოდ სომხითი და მისი მიმდგამი ქვეყნები მეფის ხარისხით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოსახლეობის რიცხვი საქართველოში მე-XV—XVIII საუკ. სიგრძეზედ.

მოსახლეობის რიცხვის გამოანგარიშებას საქართველოში სხვა-და-სხვა დროს, თავის თავად იგულისხმება, აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა, როგორც საერთოდ ისტორიულ პროცესის შესაცნობად, ისე კერძოდ ქვეყნის ეკონომიურ კითხვების გასარკვევად. არსებული მასალები ჯერ კიდევ კრიტიკულად საკმაოდ განხილული არ არის, ბევრი ცნობა, კერძოდ მე-XVIII საუკუნის შესახებ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია, ეს ითქმის კერძოდ ხალხის აღწერის დავთრების შესახებ, რომელთა აღმოჩენაში და მოგროვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფესორებს ექ. თაყაიშვილს და ივ. ჯავახიშვილს. მაგრამ მაინც არსებულ მასალების მიხედვითაც შესაძლებელია ზოგიერთ საინტერესო დასკვნებამდის მისვლა. რასაკვირველია, ამ საკითხს კვლავ დასწორდება გადასინჯვა მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ეპოქის შესახებ ცნობებს მეტად პრობლემატიური ხასიათი აქვს, მაგრამ ცდა ამ ცნობების გარკვევისა, თუნდაც ეხლანდელ პირობებში, მაინც ზედმეტად არ უნდა ჩაითვალოს.

თვით საკითხის გასარკვევად ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიწყოთ საქართველოს სამეფოების არსებობის უკანასკნელ დროიდან და კერძოდ ჯერ შევეხოთ ქართლ-კახეთის მოსახლეობას ერეკლე II-ის დროს, ხოლო იმერეთისას სოლომონ II-ს მეფობის უკანასკნელ ხანში.

**მცხოვრებთა რიცხვი ქართლ-კახეთში 1770 წ. ახლოს.**

მცხოვრებთა რიცხვის ანგარიშს მე-XVIII საუკუნეში შეიძლება საფუძვლად დაედოს 1770 წ. 5 აპრილს ოფიციალურად, როგორც ჩანს, ერეკლე მეფის განკარგულებით შედგენილი რუსეთის მთავრობისთვის წარსადგენად ნუსხა, რომელიც დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მოსკოვს. ეს დოკუმენტი დაბეჭდა ალ. ხახანაშვილმა ჟურ. „კვალში“ 1898 წ. № 11. აი ტექსტი ამ დოკუმენტისა:

ქრისტეს აქეთ ჩყო, აპრილის ე.

არს ქალაქი ტფილისი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი, ფრანგნი და თათარნი კომლი ოთხი ათასი.

არს ქალაქი გორი და მას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, ფრანგნი და სომეხნი კომლი ხუთასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს ქალაქი წილკანი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი ხიზნით 700 კომლი.

არს ქალაქი სურამი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი 200 კომლი.

კახეთს არს ქალაქი თელავი და მასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი ხიზნით და თელავის ბოლოს სოფლით 740 კომლი.

ქიზიყს არს ქალაქი სიღნაღი და მასა შინა მკვიდრობენ სომეხნი 100 კომლი.

არაგვზე არს მცირე ქალაქი ანანური და მასა შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი 100 კომლი,

ქსანზე მცირე მცირე ქალაქი ახალგორი და მასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი 140 კომლი.

არაგვის ოსი ზახას, თრუსოს, ჯვრივს, ხადას და ღუდეს 1200 კომლი.

არაგვის ქრისტიანენი მართლმადიდებელნი მთას და ბარს კომლი 2000.

ქსნის ოსი კომლი 2000, ქსნის საერისთაოს ქრისტიანე მართლმადიდებელნი კომლი 1600, მაჩაბლის ოსი 860, ურია არის 40 კომლი.

არს ქართლს მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ქართველი ხიზანს გარდა სახასო, ეკლესიების ყმა და აზნაურშვილებისა 4000 [კომლი]. ქართლში სომეხი არს კომლი 500.

არს თათარი დემურჩი ასანლუ ერთი რასულით და ამისი ოიმალები კომლი 1000. ამისი მრავალი დაფანტულა, სხვა ქვეყანაში მისულან და ხიზნათ დგანან. არს მეაიდარი ერთი რასულთან მრავალი დაფანტული სხვა ქვეყნებში და ახლა რომ არის კომლი ორასი.

არს ბორჩალო და ფამბაკის ხეობა ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი დაფანტულა სხვის თემში და ახლა არის 2560 სომხით.

არს ყაზახი ერთი მთელი სახანო და მრავალი ამისი კაცი სხვის ქვეყნებში არის დაფანტული და დღეს არის თათარი 3000 და სომეხიც არის ყაზახის 1200.

არის შამშადილუ ერთი მთელი სახანო. ამაში მკვიდრობს თათარი 2200, სომეხიც არის 1200. ესენი ზოგჯერ განჯისთვისაც დაგვინებებია, რადგანაც იმაზე ახლოს არის, მაგრამ იმის ყმა არ ყოფილა.

არს ხევსურეთი კერძო ქრისტიანენი, ჩვენის მოუვლელობით და ჟამთ ვითარებით სჯულზედ წამხდარნი, კომლი 1200.

არს ფშავი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი კომლი 1000.

არს თუშეთი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი კომლი 1400.

არს დიდოეთი ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში 4000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთი ქრისტიანე მართლმადიდებელნი ხიზნით 7000 კომლი, კახეთის სომეხი 450 კომლი, კახეთის თათარი კომლი 3000.

არს კახეთს მამული ხარაბებს გარდა რომელნიც ჩვენს ჟამში კიდევ ხარჯს გვაძლევდენ და ამ მცირეს ჟამში ველარ დავინებეთ (?), ენისელი ივარს და სხვანი, რომელნიც ესენი ერთი საპროვინციო იქნება, ქრისტეს მართლმადიდებელნი სომეხნი და თათარი კომლი 10000.

არს აოხრებული დაუმკვიდრო ქმნილი თრიალეთი, ადგილი ვრცელი და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელი მრავალი. არს აოხრებული ყაიყული უმკვიდრო ქვეყანა ფრიად კეთილი და მრავალი სოფელი არს. აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი და ამისი აურიელი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ერთმანეთში არიან ხიზნათ.

არს საბარათასშვილო აოხრებული ქვეყანა დიდი, ასისგან ერთი დარჩენილა, ხიზნათ არიან. ეს სომხითი და საბარათიანო არის ქვემო-ქართლი.

აოხრებული ქვეყანა ივრისპირი, ადგილი დიდი, თათარი ელნი 12000, აბრეშუმის, ბამბის და ბრინჯისა მუშაკნი მრავლისა.

დღეს შემოსავალი მეფე ერეკლესი წელიწადში 10000 თუმანი, თუ ჟამი კეთილი იქნება 12000 შესრულდება. შემოსავალს მკვიდრობა არა აქვს.

თათრის გამოყვანა შეიძლება ჯარში ე ათასი, ქართველი და სომეხი იჱ ათასი, ერთათ კგ ათასი.

გარდა ამ საბუთისა, ჩვენ გვაქვს სხვა ცნობებიც მე-XVIII საუკ. მოსახლეობის გამოსარკვევად ქართლ-კახეთში, თუმცა დანარჩენ მასალას აქვს უფრო შემთხვევითი ხასიათი და ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს ძალიან სანდო წყაროდ. ამ მხრივ რამდენადმე გამონაკლისს წარმოადგენს გულდენშტეტის მიერ თავისს მოგზაურობაში 1772 წ. შენარჩუნებული ცნობები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გულდენშტეტის ცნობები, აგრეთვე ოფიციალურ წყაროებიდან ამოღებული, ხშირად არ უდგება 1770 წლის ზემოდ მოყვანილ ოფიციალურ დოკუმენტს. ყაზახში, მაგ., გულდენშტეტის სიტყვით, 6 ათასი კომლი ირიცხებოდა, რომელთაგან $^2/_3$ მოდიოდა თათრებზე და $^1/_3$ სომხებზე (Reisen dusch Russland, პეტერბურგი, 1787, I, 362). კახეთში კიდევ, მისივე სიტყვით ირიცხებოდა 13 ათასი მეომარი (იქვე, გვ. 376), რაც აგრეთვე არ უნდა უდგებოდეს 1770 წლის ცნობას, რომლის მიხედვით კახეთში სულ 8450 კომლია. აღსანიშნავია კიდევ, რომ კახეთის თათრების რიცხვს გულდენშტეტი ანგარიშობს 250 კომლს (იქვე), ხოლო 1770 წლის ცნობით კი ისინი იყვნენ 1000 კომლი. თუმცა გულდენშტეტის ცნობები, რასაკვირველია ფრიად საინტერესოა, მაგრამ უპირატესობა ამ შემთხვევაში მაინც უნდა მიეცეს

საქართველოს მთავრობის განკარგულებით შედგენილ ოფიციალურ ნუს[illegible] ლოდ მკვიდრ მოსახლეობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში [illegible], რომ ამ ნუსხაში შეტანილია ორიოდე, ასე ვთქვათ ფიქტიური ცნობა. მაგ., ენისელსა და ფადარს შესახებ—(„რომელიც ესენი ერთი საპროვინციო იქნება ქრისტეს მართლმადიდებელნი, სომეხნი და თათარნი კომლი 10000“)—უნდა ითქვას, რომ ეს მხარე ამ დროს და დაწყებული მე-XVIII საუკ. დასაწყისიდან უკვე არ შედიოდა სამეფოს ფარგლებში. შემდეგ, ივრისპირზე ნუსხაში ნათქვამია: „აოხრებული ქვეყანა ივრისპირი, ადგილი დიდი, თათარი ელნი 12000. აბრეშუმის ბანბის და ბრინჯისა მუშაკნი მრავლისა“. ეს ივრისპირი ამ დროს უკვე დაცლილი იყო. თათრის ელები ჯავანშირისა, რიცხვით 15 ათასი კომლი, როგორც გადმოგვცემს სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში, მოყვანილ იქმნენ 1659 წლის ახლო ხანში აზერბეიჯანიდან და დასახლებულ ივრისპირსა (Brosset, Hist. de la Gé. II p., I liv., 504—505). ეს ელი აყარა ნადირმა 1735 წელს. „თვესა ნოემბერსა, გადმოგვცემს სეხნია ჩხეიძე, აყარა განჯა, ყარაბაღი, ელი ქართლისა და კახეთისა, ერევანი, ყარსი, ყაიყული, ფანბაკი“.... (ქ. ც-ბა, II, 340). გულდენშტეტი ივრისპირს მობინადრე თათრის ელის შესახებ გადმოგვცემს, რომ ისინი (დემურჩი ასანლუ) 10 ათასი კომლი იყვნენ, შაჰ-ნადირმა განაბნია ისინი და ეხლა მხოლოდ 500 კომლი არიანო. (ნაჩვენ. წიგნი, 364—365). ნუსხა კი დემურჩი ასანლუს უჩვენებს 1000 კომლს და ეს ციფრი უნდა იყოს მაჩვენებელი 1770 წ. ივრისპირს ნამდვილად მობინადრე თათრების რიცხვისა.

სხვა ცნობებს შორის, რომელიც მოეპოვება გულდენშტეტს, 1770 წლის ნუსხის ცნობათა შესაჯერებლად აღსანიშნავია, რომ გულდენშტეტი ბორჩალოში სთვლის 2 ათას კომლს (გვ. 363), ტფილისში კიდევ 20 ათას სულს და ამასთანავე უმატებს, რომ 1770 წ. ჟამმა ტფილისში 4 ათასი სული იმსხვერპლაო. ტფილისის მცხოვრებთაგან ნახევარზე მეტი იყო სომხობა, ხოლო მეორე ნახევარი—უმეტესობა ქართველობა და ამათთან ერთად თათრობა (გვ. 269).

ეხლა თუ კი ჩვენ ყველა ამ ცნობებს თავს მოუყრით, მივიღებთ შემდეგ სურათს ქართლ-კახეთის მოსახლეობისას 1770 წ.

შიდა ქართლში: ქალაქებში 4940 კომლი, ოსი 4060 კომლი, სომხები სოფლად 500 კ., დანარჩენი მოსახლეობა 7640 კომლი, სულ 17140 კომლი. კახეთში: ქალაქებსა 1540 კ., თუშ-ფშავ-ხევსურეთს 3600 კ., დანარჩენ კახეთს ქიზიყითურთ 8450 კ. და სულ 13590 კომლი. ქვემო-ქართლს—თრიალეთს, საბარათაშვილოსა, ბორჩალო. სომხითსა და აგრეთვე ბამბაკ-ყაიყულსა მთელი მოსახლეობა არაა ნაჩვენები. ბორჩალო-ბამბაკს ყოფილა 2560 კომლი, მათ შორის გულდენშტეტით (გვ. 362) 1/3 სომხობაზე მოდიოდა და 2/3 თათრებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენი პროვინციები უმკვიდროთ არის ნაჩვენები და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უნდა აყრილი ყოფილიყო. აღსანიშნავია მაინც, რომ 1721 წ. [illegible] სადროშოში (საბარათიანოსა და სომხითში) იყო სულ 6560 კომლი მცხოვრები (კრებული პეტრ. უნივ. ქართულ სამეცნ. წრისა, ტფილ. 1915 წ. გვ. 74), ხოლო 1781 წ. რეინეგსი სომხითსა და ბამბაკში უჩვენებს 6000 კომლს, ხოლო ტფილისსა და მისს ახლო-მახლო 20 ათას კომლს და ქართლში კი 4 ათასს. (მისი თხზულების თარგმ., „ივერია" 1879 წ. № 4). აქ ცნობა ცოტა არეულია, მაგრამ ცხადია, რომ რეინეგსის მიერ ნაჩვენები 24 ათასი კომლი ტფილისისა, მისი რაიონისა და ქართლისათვის დაახლოვებით უდგება 1770 წლის ოფიციალურ ნუსხის ცნობას, თუ 17140 ქართლის კომლთა რიცხვს მიუმატებთ საბარათიანოსა და შესაძლებელია ბორჩალო-თრიალეთის მოსახლეობას. ბორჩალოს ელი ბამბაკის მოსახლეობასთან ერთად 1770 წლის ნუსხით უდრის 2560 კომლს, რეინეგსით კი სომხითსა და ბამბაკში არის 6 ათასი კომლი, მაშასადამე სომხითზე მოდის თითქმის $3^1/_2$ ათასი კომლი. 1770 წ. კი ეს ციფრი უფრო ნაკლები იქნებოდა.

1770 წ. შიდა-ქართლში იყო 17140 კომლი. თუ ამას მიუმატებთ დემურჩი-ასანლუს ელს 1000 კომლს (ივრისპირს), მივიღებთ 18140 კომლს. ეს ციფრი რომ გამოაკლდეს რეინეგსის მიერ ტფილისისა, მისი რაიონისა და ქართლისათვის ნაჩვენებს 24 ათას კომლს, მივიღებთ თითქმის 6 ათას კომლს საბარათიანოს და თრიალეთისათვის. 1770—1780 წლებში ქვეყანაში თვალსაჩინოთ მოღონიერება იყო, ასე რომ 1770 წლისათვის ეს ციფრი, თუნდაც ის სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაინც ნაკლები იქნებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ რეინეგსის მიერ ნაჩვენები ცნობები შემთხვევითი ხასიათისა უნდა იყვნენ და ამიტომ მათზე დაყრდნობა, როდესაც ჩვენ გვაქვს ოფიციალური ნუსხა საქართველოს მთავრობისა, ძნელია. ყოველს შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს ნუსხის ცნობას საბარათიანოსა და თრიალეთის თითქმის მთლად უმკვიდრეობის შესახებ. მოსახლეობა ხიზნად ყოფილა წასული და თუმცა ქართლში ხიზნათა რიცხვი მოხსენებული არაა, მაგრამ კახეთში კი ხიზნები შეტანილი არიან საერთო ჯამში.

ამისდამიხედვით, მე შესაძლებლად მიმაჩნია მოსახლეობის საერთო ჯამის გამოანგარიშების დროს თრიალეთი და საბარათიანო, ნუსხის თანახმად, მხედველობაში არ იქმნეს მიღებული, ხოლო სომხითისათვის მიღებულ იქმნას დაახლოვებით 3 ათასი კომლი, რომელთაგან გულდენშტეტის თანახმად (გვ. 362) ერთს წილს შეადგენდა სომხობა და ორს თათრობა. ამიტომაც სომხითს, ბორჩალოს და ბამბაკს უნდა ყოფილიყო 1770 წ. დაახლოვებით 2560+3000 კომლი—სულ 5560 კომლი.

ამის შემდეგ სულ ქართლ-კახეთის მოსახლეობას ჩვენ მივიღებთ შემდეგ: ქართლს ტფილისითურთ 17140 კ., კახეთს თუშ-ფშავ-ხევსურეთითურთ 11800 კ., სომხით-ბორჩალო-ბამბაკს 5560 კ., დემურჩი-ასანლუ ივრის პირს 1000 კ., ყაზახ-შამშადილო 7400 კომლი. ეროვნულ-სარწმუნოებრივის თვალსაზრისით მოსახლეობა განიყოფებოდა შემდეგ ნაირად. გიულდენშტედტის ცნობების მიხედვით ტფილისში ქართველობა შეადგენდა დაახლოვებით 1 ათას კომლს, სომხობა 2200 კომლს და თათრობა 800 კომლს. დანარჩენ ქალაქებშიდაც, თუ მივიღებთ მხედველობაში როგორც მე-XVIII საუკ. ჩვენი საქალაქო ცხოვრების ვითარებას, ისე ამასთანავე მე-XIX საუკ. პირველ ნახევრის ცნობებს, სომხობა შეადგენდა მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. ამისდა მიხედვით მივიღებთ სომხობის რიცხვს ქართლის ქალაქებში დაახლოვებით 3 ათ. კომლს და კახეთის ქალაქებში 1400 კომლს, დანარჩენი სომხობა კიდევ შეადგენდა 5210 კომლს, ხოლო სულ 9610 კომლს. თათრობა იყო სულ 11700 კომლი, ოსობა 4060 კომლი და ქართველობა 19520 კომლი (უკანასკნელ რიცხვში შედის მცირე რიცხვი ისრაელებისაც) ხოლო მთლად სამეფოში ირიცხებოდა 44890 კომლი. მათ შორის ყაზახ-შამშადილოსა, რომელიც შემოერთებული იყო სამეფოსთან 1749 წლიდან, 7600 კომლი (5200 კ. თათარი და 2400 კ. სომეხი).

**მცხოვრებთა რიცხვი ქართლ-კახეთში მე-XV—XVIII საუკუნეში.** 1770 წლის ზემოდ მოხსენებული ცნობები ჩვენ შეგვიძლია სახეში ვიქონიოთ, როგორც გამოსავალი საფუძველი, რომლის შემდეგ შეიძლება გადასვლა სხვა დროის შესახებ არსებულ ცნობების და მასალების განხილვაზედ. ამ ცნობებს შორის აღსანიშნავია, რომ გიორგი ერეკლე II-ს მეფობის დროს 1781 წ. რეინეგსი ქართლ-კახეთში სთვლიდა 61 ათას კომლს, სახელდობრ ტფილისსა და მის ახლო-მახლო 20 ათ. კომლს, მთიულეთში და ხევსურეთში 4 ათ. კ., შამშადილში 4 ათ. კ., ქართლში 4 ათ. კ., კახეთში 12 ათ. კ., ქიზიყში 6 ათ. კ., ყარაიასში 2 ათ. კ., სომხეთსა და ბამბაკში 6 ათ. კ., ყაზახში 3 ათ. კომლი. („ივერია“, 1879 წ. № 4). ზემოდ მოხსენებულ 1770 წლის ოფიციალურ ნუსხასთან შედარებით ცხადია, რომ რეინეგსის სტატისტიკა ზოგ შემთხვევაში გაუგებრობაზეა დამყარებული. მართალია, არსებული მასალები ერთხმად მოწმობენ, რომ მე-XVIII საუკ. 70-იან წლების მიწურულში და 80-იან წლების დასაწყისში ქართლ-კახეთმა თვალსაჩინოდ მოღონიერება იწყო კერძოდ სოფლების მოშენებით და მოსახლეობის მომატებით, მაგრამ თვალსაჩინო ზრდა მცხოვრებთა რიცხვისა ასეთ მოკლე ხანში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მართლაც, საიდან, მაგალითად, უნდა ჰქონდეს აღებული რეინეგსს ცნობა ტფილისსა და მისს მიდამოებში 20 ათ. კომლის ყოფნის შესახებ, მაშინ როდესაც ტფილისს ახლო პროვინციები გარდა თრიალეთ-საბარათიანოსი მას ყველა ნამოთვლილი აქვს, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიალეთი და საბარათიანო კი 1770 წლის ნუსხით თითქმის მთლად გავერანებული იყო. ცხადია, ამ 20 ათასი კომლიდან სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს 4 ათ. კომლი ტფილისს და კიდევ მცირეოდენი რიცხვი თრიალეთ-საბარათიანოს მკვიდრთა.

რეინეგსის ცნობის შესაჯერებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ერეკლე II-სთან რუსეთის წარმომადგენლად დანიშნულის პოლკ. ბურნაშოვის ცნობას 1783 წ. (მისი „Картина Грузіи, 1). ამ ცნობის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფოში ამ დროს განჯისა და ერევნის სახანოებითურთ ირიცხებოდა სულ 42 ათასი კომლი მკვიდრი. ეს ციფრი უდგება დაახლოვებით 1770 წლის ნუსხის მიხედვით გამოანგარიშებულს რიცხვს და ეს გარემოება უნდა გვიჩვენებდეს, რომ ბურნაშოვის მიერ ნაჩვენები 42 ათასი კომლი უნდა შეეხებოდეს საკუთრივ ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობას სახანოებს გარეშე. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანში მოსახლეობის რიცხვი უფრო ცოტათი ნაკლები არის ნაჩვენები. სახელდობრ, რუსეთის მართველობის დამკვიდრებისას სამეფოს ხელმძღვანელ პირთა ჩვენებით ქართლ-კახეთში ირიცხებოდა 40 ათასი კომლი (Акты кавк. арх. ком. I, 18), ხოლო ბუტკოვის სიტყვით აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ იყო მხოლოდ 35 ათასი კომლი (მისი Мат. по ист. Кавк. II, 340). ცნობილია, რომ აღა-მაჰმად-ხანის ჯარმა წაასხა საქართველოდან მრავალი ტყვე, ზოგიერთი ცნობით 10 ათასი სული, ამდენივე გატაცებულ იქმნა ცალკე ხანების მიერ და ამაზედ არა ნაკლები გაიფანტა ახალციხეს, ყარსსა და ერევნისაკენ (იქვე). სულ მაშასადამე დაიკარგა დაახლოვებით 30 ათასი სული, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა უკან დაბრუნება. 1797 წ. კიდევ ქართლ-კახეთში იყო ჟამი. ამისდა მიხედვით სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში მცხოვრებლების შემცირება ადვილი გასაგებია და 1800 წლისათვის ზემოდ მოხსენებული ციფრი (40 ათასი კომლი ან ცოტა უფრო ნაკლები, შეიძლება 35 ათასი) სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

მე-XVIII საუკუნის სიგრძეზედ მცხოვრებთა რიცხვის აწევ-დაწევის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ტურნეფორის მიერ მისს მოგზაურობაში შენარჩუნებულ ცნობას, რომლის მიხედვით საგულისხმებელია, რომ 1702 წელს მთლად ქართლ-კახეთის სამეფოში იყო 60 ათასი კომლი. (Tournefort, Voyage.... ამსტერ., 1718, 131). ამ რიცხვში შედის ამ დროს ივრის პირს მობინადრე თათრები, რომელთა რიცხვი, როგორც ზემოდ დავინახეთ, თავდაპირველად 15 ათასი კომლი იყო. ხოლო ნადირ-შაჰის მიერ მათი წასხმის წინ 12 ათას კომლს უდრიდა. ამ თათრების გამოკლებით, ჩვენ მივიღებთ ქართლ-კახეთის მცხოვრებთა რიცხვს 1702 წ. დაახლოვებით 45—48 ათას კომლს. ამას უნდა გამოაკლდეს კიდევ, მე-XVIII საუკუნის მო-

სახლეობის სწორ ვითარების წარმოსადგენად, ელისენის მცხოვრებთა რიცხვი, რადგან ელისენი 1703 წლიდან ლეკებს ეჭირათ. 1770 წლის ნუსხაში, როგორც ვნახეთ, ელისენსა, ჭარს და მომდგომ ქვეყნების შესახებ სწერია: „ესენი ერთი საპროვინციო იქნება, ქრისტეს მართლმადიდებელნი სომეხნი და თათარნი კომლი 10000“. თუ ამ ციფრს გამოვაკლებთ ზემოდმოხსენებულს 45—48 ათას კომლს, მაშინ მივიღებთ 1702 წელს მოსახლეობას ქართლ-კახეთში, გარდა ელისენისა და ივრის-პირის თათრებისა, 35—38 ათას კომლს.

ამ ციფრთან მე-XVIII საუკ. მეორე ნახევრის ციფრებთან შესადარებლად, 1770 წლის ნუსხის ცნობას უნდა გამოაკლდეს ყაზახ-შამშადილის მოსახლეობა, რადგან ყაზახი თეიმურაზ II-ს 1749 წელს მიეცა. 1770 წ. ყაზახ-შამშადილში ირიცხებოდა 7600 კომლი. ამიტომ 1770 წელს, ზემოდ მოყვანილ ანგარიშის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში, ყაზახ-შამშადილის გამოკლებით, უნდა ყოფილიყო 37290 კომლი, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ 1796—1800 წლებში ამაზე ცოტათი უფრო ნაკლებიც.

ყველა ამ ანგარიშიდან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ მე-XVIII საუკუნის სიგრძეზედ ქართლ-კახეთში მოსახლეობა დაახლოვებით ერთს დონეზე იმყოფებოდა. კერძოდ მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალთა ბატონობის და შემდეგ ნადირ-შაჰის მძლავრების დროს მოსახლეობა ამ დონეზე უფრო დაბლა უნდა დაწეულიყო, მაგრამ 1770 წლისათვის ქართლ-კახეთში იმდენივე მკვიდრი იყო, რამდენიც მე-XVIII საუკ. პირველ წლებში. აგრეთვე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და მის მიერ გამოწვეულ არევ-დარევამ ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში იქონია მოსახლეობის ვითარებაზე თავისი უარყოფითი გავლენა.

მე-XVII საუკუნის მცხოვრებთა რიცხვის შესახებ ქართლ-კახეთში ჩვენ მოგვეპოვება ფრიად მცირე, მაგრამ მაინც საყურადღებო ცნობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობის საერთო ვითარების შესახებ წარმოდგენა ვიქონიოთ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა 1642 წ. რუსეთის ელჩის მიშეცკის ცნობა. მიშეცკი, რომელიც ელჩად იყო გამოგზავნილი კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან, ამბობს, რომ ქართლი და ტფილისი როსტომს უჭირავსო, ხოლო თეიმურაზს არ შეუძლია ამ ადგილების დაბრუნება ჯარის სიმცირისა გამო, რომ სოფლები ცოტაა, დამუშავებული მიწებიც ბევრი არ არის და მთელს საქართველოს სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი 30 ათას კომლს არ აღემატებაო (Переп. росс. госуд. съ груз. царями გვ. LIV). ქართლი და განსაკუთრებით კახეთი ამ დროს მართლაც ძალიან აოხრებული იყო, ქართლი—მე-XVI საუკუნის სიგრძეზე და მე-XVII საუკ. დასაწყისში გამოვლილ აოხრებათა შემდეგ, ხოლო კახეთი შაჰ-აბაზის შემოსევათა გამო. მიშეცკის ცნობას უდგება სუხანოვის ცნო-

ბა, რომელიც 1653 წელს ეკუთვნის. სუხანოვის სიტყვით მთლად ქართლ-კახეთში 44 ათასი კომლია, მათ შორის ქართლში 24 ათასი და კახეთში [illegible] ათასი კომლი (Klaproth, Reise in d. Kauk. u. nach Georg., I, 339). თუ ჩვენ ამ ციფრს მივიღებთ, მაშინ მიშეცკი თავისს ცნობაში, როგორც ეს კონტექსტიდანაც საფიქრებელია, უნდა გულისხმობდეს მარტო კახეთის მოსახლეობას. ძნელი მისაღებია მთლად ქართლ-კახეთისთვის (ე. ი. მაშინდელ რუსულ ტერმინოლოგიით საქართველოსთვის) მიშეცკის ციფრი, კიდეც რომ დავუშვათ, რომ 30 ათას კომლის რიცხვში იგულისხმება მარტო სოფლის მოსახლეობა და მაშასადამე მასში შეტანილი არ უნდა იყოს ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი. მარტო ტფილისში 1597 წელს ოსმალოთა ბატონობის დროს ირიცხებოდა 2 ათასი კომლი. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ იმ დროს კახეთს მოსულ რუსეთის ელჩების ცნობიდან (С. Бѣлокуровъ, Снош. Россіи съ Кавк., 311).*) 1702 წელს კიდევ, როგორც ეს ტურნეფორის ცნობიდან საგულისხმებელია, (მისი მოგზაურობა, ნაწ. ადგ., სადაც ნათქვამია, რომ კომლზე, როგორც საგულისხმებელია ტფილისში, იკრიბებოდა სპარსეთის ხაზინის სასარგებლოდ 6 აბაზი წლიურად, ხოლო სულ კი 300 თუმანი), ტფილისში 2500 კომლი ირიცხებოდა. ამისდა მიხედვით და სხვა ქალაქების შესახებ მე-XVII—XVIII საუკუნეში არსებულ ცნობების მიხედვით, შეიძლება 1642 წლის ახლოს ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი აღმ. საქართველოში 4 ათ. კომლით დაიდვას. ამ ციფრის მიმატებითაც მიშეცკის ცნობა მაინც არ უდგება იმ რიცხვს, რომელსაც უნდა გადმოგვცემდეს 1653 წ. სუხანოვი, თუ ეს ციფრი ზემოდ მოხსენებულ ციტატაში სწორედ არის გადმოცემული. ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ მიშეცკი 30 ათას კომლს უნდა უჩვენებდეს თეიმურაზ I-ის სამფლობელოსთვის, მხოლოდ ეს ციფრი შეიძლება გარდამეტებული იყოს მისი ინფორმატორების მიერ. სუხანოვის ცნობა მაშინ მით უფრო უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს. მხოლოდ აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ კახეთის სამეფოს ამ დროს ეკუთვნოდა ელისენი და კაკიც. რაც შეეხება ჯარს, თუმცა ის უკვე გარდაქცეული იყო ლეკთა ბუდედ, მაგრამ კახეთის სამეფოს მესვეურთ შეეძლოთ ეს ნაწილიც მცხოვრებთა საერთო რიცხვის აღნიშვნის დროს სამეფოს დანარჩენ ნაწილებთან ერთად ეგულისხმებინათ.

---

*) რუსის ელჩების ანგარიშში ვკითხულობთ:

„В большомъ в турскомъ городѣ в Царѣгородѣ, сказываютъ, толко по 2000 человѣкъ живетъ, а в иных и менши“, ამ ძვირფას ცნობაში, ცხადია, ტფილისი იგულისხმება, ხოლო რადგანაც საქართველოში კომლეული ანგარიში იყო მიღებული, ამიტომ 2 ათასი სულის მაგივრად აქ უნდა 2 ათასი კომლი იქმნას ანგარიშში ჩაგდებული.

1770 წ., როგორც ვნახეთ, შიდა-ქართლში ტფილისითურთ იყო 17140 კომლი, ხოლო სომხით-ბორჩალო-ბამბაკს 5560 კ. აქ მხედველობაში [illegible] ის გარემოება, რომ ტაშირი და სომხითი და განსაკუთრებით თრიალ[illegible] თიანი, ძლიან აოხრებულად არის ნაჩვენები. მართლაც, საზოგადოდ მეწინავე სადროშოში 1770 წელზე უფრო ადრე დროში უფრო მეტი მოსახლეობა ყოფილა. 1721 წ., მაგალითად, მეწინავე სადროშოს მოსახლეობა, როგორც უკვე მოხსენებული იყო, უდრიდა 6560 კომლს. ამასთანავე ამ რიცხვში არ შედის ბამბაკის მოსახლეობა. ეს ციფრი დაახლოვებით უდრიდა მე-XVII საუკუნის მოსახლეობასაც ამ პროვინციებში. ეს ჩანს იმ გარემოებიდან, რომ 1620 წლის ახლოს ორბელიშვილის გვარეულობას ყოლია 533 კომლი საკუთარი გლეხი, როგორც ეს საგულისხმებელია ორბელიშვილთა შემოსავლის ერთ ნუსხიდან (თ. ჟორდ. ქრონიკები II, 442—443). 1721 წელს კი საორბელიშვილო (საყაფლანიშვილო) შეიცავს თავადების საკუთრივ კუთვნილ გლეხის 575 კომლს. ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლის სამეფოს სამხრეთ პროვინციებში მე-XVII საუკუნეში ცოტათი მეტი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს 1770 წლის ნუსხითაა ნაჩვენები. ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე 1770 წ. იყო 22700 კომლი. თუ ამ რიცხვს მიემატება სამხრეთ პროვინციების ზედმეტი მოსახლეობა მე-XVII საუკუნეში, მაშინ მივიღებთ, რომ სუხანოვის ცნობა 1653 წ., ქართლში 24 ათასი კომლის მკვიდრობის შესახებ ცხადი მაჩვენებელია ამ დროის შიდა-ქართლის მოსახლეობის იმავე დონეზე მყოფობისა, რომელზედაც ის 1770 წელს იყო. ამ გვარად, 1770 წელთან შედარებით 1653 წ. შიდა-ქართლს იგივე რაოდენობის მოსახლეობა იყო, ხოლო სამხრეთ პროვინციებში ცოტა მეტიც.

კახეთში 1770 წელს 13590 კომლი ირიცხებოდა, ხოლო სუხანოვი კი 1653 წ. 20 ათას კომლს უჩვენებს. როგორც ვნახეთ, ამ უკანასკნელ ციფრში უნდა შედიოდეს კაკ-ელისენის და ჭარის მოსახლეობაც. ამასთან კი 1770 წელს კახეთს ითვლებოდა $23\frac{1}{2}$ ათასი კომლი. მე-XVII და მე-XVIII საუკუნეში თანდათან კაკ-ელისენი იცვლიდა ეთნოგრაფიულ სახეს თათრებისა და ლეკების ჩამოსახლებით, თუ ადგილობრივ ქართველების გადაგვარებით. მე-XVII—XVIII საუკუნეში კაკ-ელისენის მოსახლეობის ცვალებადობისთვის ანგარიშის გაწევა ამ ჟამად შეუძლებელია, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც ცხადია, რომ კახეთის მოსახლეობასაც ამ ხნის განმავლობაში დიდი წინსვლა არ უნახავს.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ მე-XVII საუკუნეზე ადრინდელ დროს შესახებ მოსახლეობის განხილვაზედ.

მცხოვრებთა რიცხვის გამოსაანგარიშებლად მე-XV—XVI საუკუნეში ჩვენ ძლიერ მცირე მასალა მოგვეპოვება, მაგრამ მაინც შეიძლება ამ საკითხის

შესახებ ორიოდე მოსაზრება გამოთქმულ იქმნას. პირველად ჩვენ შე[illegible] შევეხოთ კახეთის მოსახლეობას. ცნობილია, რომ მე-XVII საუ[illegible] წყისში შაჰ-აბაზ I-ის შემოსევათა დროს კახეთმა საშინელი აოხრება გამოიარა, ხოლო 1653 წ., როგორც ვნახეთ, კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე 20 ათასი კომლი ირიცხებოდა ანუ, თუ კომლზე მე-XIX საუკუნის სტატისტიკურ ცნობების მიხედვით დაახლოვებით 8 სულს მივიღებდით, 160 ათასი სული ორივე სქესისა. შაჰ-აბაზ I-ის შემოსევამდის კი კახეთი ბევრად უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული. ალექსანდრე II-ის დროს, გადმოგვცემს ვახუშტი, „ესრეთ შენ იყო კახეთი, ვითარ ძნიად სადამე იპოვებოდა სანადიროni და ალექსანდრე ფრიად მოყვარე იყო ნადირობისა, რამეთუ იტყოდაცა: ან ნეტარძი ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლადი, რომელი ექმნა ძის ძესა მისსა თეიმურაზს, არამედ ვერცაღა თუ იგი მოცალეობდა ნადირობად“ (ქ. ცხ-ბა, II, 110). შაჰ-აბაზის შემოსევათა დროს დაკარგულთა რიცხვი ისკანდერ მუნშის ასე აქვს მოხსენებული: პირველ შემოსევის დროს 1615 წ. სპარსელებმა კახეთიდან წაიყვანეს 30 ათასი ტყვე. მეორე შემოსევის დროს 1616 წ. დახოცილთა რიცხვი უდრიდა 60—70 ათასს, დატყვევებულნი ქალნი, ქალიშვილნი, ყმაწვილები და ბავშვები ნუსხით 100 ათასზე მეტი იყო, 30 ათასზე მეტი კიდევ არ ყოფილა აღნუსხული (Brosset, Hist. de la Gé, II p., I liv. 475, 486). ამ გვარად ამ ცნობის მიხედვით კახეთმა დაკარგა 230 ათას სულზე მეტი. ნამდვილად დაკარგულთა რიცხვი მეტი იქნებოდა, რადგან ტყვეთა ანგარიშში არ შედიან მამაკაცნი და გარდა ამისა გადარჩენილთაგან ბევრი კიდევ გახდებოდა ტყე-ღრეში ავადმყოფობისა და სიმშილის მსხვერპლი. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ საერთო ზარალს კახეთის მოსახლეობისას 1615—1616 წ. 300 ათას სულს ვიანგარიშებთ. ამასთანავე სახეში მისაღებია ნორმალური ბუნებრივი მიმატება მოსახლეობისა 1616 წ-დან 1654 წ-დის, რომელსაც ადგილი მაინც ექნებოდა მიუხედავად საერთო უნუგეშო ვითარებისა. ამისდა მიხედვით შეგვიძლია, დაახლოვებით რასაკვირველია, ვიგარაუდოთ, რომ კახეთის სამეფოს მოსახლეობა მე-XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბაზის შემოსევამდის 400 ათას სულამდის იქნებოდა, ანუ 50 ათას კომლამდის. მოსახლეობა მართლაც მჭიდრო ყოფილა. 1770 წ. ამავე ტერიტორიაზე (საკუთრივ კახეთის სამეფო და კაკ-ელისენი) $23^{1}/_{2}$ ათასი კომლი იყო.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოვებით გამოანგარიშებაზე მე-XV საუკუნეში. საფუძვლად ამ ანგარიშს, სხვა ცნობების უქონლობისა გამო, უნდა დაედვას 1459 წელს საქართველოს მეფის გიორგი ალექსანდრეს ძის წერილში რომის პაპისადმი მოყვანილი ცნობები ოსმალებთან საძო),ლველად გამოსაყვან ჯარის შესახებ. „ამ კავშირის გამო (ოსმალების წინააღმდეგ სწერს გიორგი მეფე რომის პაპს, ეხლა ჩვენთაგანმა ჯარი მო-

ამზადა. მე თითონ პირადად 40 ათასი კაცით უნდა წავიდე; დავით ტრაპიზუნტის იმპერატორი შეგვპირდა და მზად აქვს 30 ხომალდი 20 ათასი კაცით; სამეგრელოს მეფე ბენდია მზად არის მთელის თავისი ჯარით, ყვარყვარე საქართველოს მთავარი თვით მოდის 20 ათასი ცხენოსნით; ანაკოფიის მთავარი რაბა (ივაბია) შემოგვპირდა წამოსვლას თავისი ძმებით, თავადებით და მთელი თავისი მხედრობით; მცირე სომხეთის ბატონი ბერდებეკ ჩვენის ლაშქრობისთვის შემოგვპირდა 20 ათას კაცს". (მ. თამარაშვილი—ისტ. კათოლ. ქართვ. შორის, 59—60). ამ ცნობების გასარკვევად საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოდ დასახელებულ მოკავშირეთა ელჩები 1460 წ. წარუდგნენ პაპს პიო II-ს და მოახსენეს, რომ „როდესაც თქვენ უბრძანებთ, 120 ათასი მეომარი მზადაა ეომოს მაჰმედ იმპერატორსო" (იქვე, 62). თუ ამ უკანასკნელ ციფრიდან (120 ათასი კაცი) გამოვაკლებთ ზემოდ მოხსენებულ ციფრებს გიორგი მეფის, ყვარყვარეს, ტრაპეზუნტის იმპერატორის და მცირე სომხეთის პატრონის ჯარის შესახებ—სულ 100 ათას კაცს, მივიღებთ 20 ათას კაცს, რომელიც ამ ცნობის მიხედვით უნდა გამოეყვანა ოდიშის მთავარს და ანაკოფიის მფლობელს. მაშასადამე, საქართველოს მეფე-მთავარნი 1459 წ. გამოყავდათ ოსმალთ წინააღმდეგ საბრძოლველად: გიორგი მეფეს 40 ათასი კაცი, ყვარყვარეს 20 ათასი და ოდიშ-აფხაზეთს აგრეთვე 20 ათასი კაცი. აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ გიორგი მეფის უზენაესი უფლება ამ დროს ვრცელდებოდა იმერეთზედაც, დადიანის გავლენის ქვეშ კი საგულისხმებელია გურიაც. 1463 წ. დადიანად იჯდა ლიპარიტ, ხოლო გურიელად კი იყო ძე მისი მამია (საქ. სიძველ. III, 436). შამადავლე, რომელიც მთავრობდა 1470—1474 წლებში, ცნობილია როგორც დადიან-გურიელი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა უფრო ადრე, 22 აპრ. 1459 წ. ტრაპეზუნტის იმპერატორი დავითი ამავე ლაშქრობის შესახებ იწერებოდა, რომ მზად არის წამოსასვლელად 30 კატარღით და 20 ათასი კაცით, რომ გიორგი მეფეს შეუძლია გამოიყვანოს 60 ათასი კაცი, ყვარყვარეს 20 ათასი ცხენოსანი, სამეგრელოს მფლობელს ბენდიანს (?) და მისს შვილს 60 ათასი კაცი, რაც მისთვის ადვილი არისო, აფხაზეთის მფლობელს რაბიას თავისი ძმით და თავადებითურთ 30 ათასი კაცი. ჯიქნი და ალანნი მზად არიან გიორგი მეფის დროშის ქვეშ იბრძოლონო. ბერდებეგს (თუ ბერდებეთს), მცირე სომხეთის ბატონს, შეუძლია 10 ათასი კაცი გამოიყვანოსო (Brosset, Addit.et éclairciss.à l'Hist. de Gé. 408—409). ეს ცნობები თვალსაჩინოდ განსხვავდება იმ ციფრებისაგან, რომელიც მოყვანილია გიორგი მეფის წერილში. უპირატესობა, რასაკვირველია, უნდა მიეცეს საქართველოს მეფის წერილში მოხსენებულ ცნობებს და მაშინ ჩვენ მივიღებთ საკუთარივ გიორგი მეფის სამფლობელოსთვის (ე. ი. ქართლ-კახეთ-იმერეთისათვის) 1459 წ. 40 ათას მეომარს, მესხეთისთვის 20 ათასს და ამდენივეს გურია-ოდიშ-აფხაზეთისთვის ჯიქ.-ალანებითურთ. რომ დადიანის მიერ აღთქმულ ჯარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში საგურიელოს ლაშქარიც შედიოდა, ეს ჩანს ტრაპეზუნტის იმპერატორის წერილიდანაც, სადაც ნათქვამია სამეგრელოს მფლობელს ბედიანს და მის... 60 ათასი კაცის გამოყვანა შეუძლიათო. ამ დროს ახლოს კი, როგორც ზემოდ ვნახეთ, გურიელად იჯდა ლიპარიტ დადიანის ძე მამია. ხოლო საზოგადოდ საქართველოს ჯარში ჯიქ-ალანნიც რომ უნდა შესულიყვნენ, ესეც ცხადად ჩანს ტრაპეზუნტის იმპერატორის იმავე წერილიდან.

ამ ციფრების გამოსაყენებლად მოსახლეობის დაახლოვებით გამოანგარიშების მიზნით საჭიროა დავუბრუნდეთ უფრო ძველს დროს და მხედველობაში ვიქონიოთ 1254 წელს მონგოლების მიერ საქართველოში მოწყობილ აღწერის ცნობები. 1254 წლის აღწერის მიხედვით მონგოლთ საქართველოდან მიუყვდათ თავიანთ ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად 90 ათასი კაცი. ამ ციფრისა და ისტორიულ წყაროებში შენარჩუნებულ სხვა ცნობების მიხედვით, რომელთა საშუალებით შეიძლება საკმაოდ სწორი ანგარიშის წარმოება, საქართველოს სამეფოში, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო 1254 წელს $2^1/_2$ მილიონი მცხოვრები ორისავე სქესისა, მათ შორის ქართლს 360 ათასი, ჰერ-კახეთს ამდენივე, 720 ათასი ლიხთ-იმერეთს და მესხეთს 360 ათასი (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართ. ისტორიიდან, 21—31). თითო პროვინციას 360 ათასი სულ მცხოვრებით გამოჰყავდა 12,8 ათასი მეომარი მონგოლებისთვის, ხოლო იმერ-ამერეთს მესხეთიანურთ, გარდა სომხითისა და საზოგადოდ მხარგრძელების საბატონოსი, უნდა გამოეყვანა 64 ათასი მეომარი. თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეეძლო საქართველოს მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ამის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს შენახული მემატიანეს. სახელდობრ მონგოლების პირველად მოსვლის დროს, ამბობს ისტორიკოსი, „შეუყმან (გიორგი ლაშამ) მოუწოდა სპათა თჳისთა, იმერთა და ამერთა და შეკრიბა ოთხმეოცდაათი ათასი მჴედარნი და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოსა მდგომთა, იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული [მისი] ზაქარიას ძე ამირსპასალარისა შანშე და ვარამ გაგელი მსახურთუხუცესი მოერთნეს დიდითა ლაშქრითა და წარემართნეს“ (ქ. ცხ-ბა, I, 346). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გიორგი ლაშამ 90 ათასი კაცი შეკრიბა მარტო იმერ-ამერეთიდან, მაშინ გამოდის, რომ 1221 წ., როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, საქართველოს მეტი ჯარის გამოყვანა შეეძლო, ვიდრე 1254 წ.. ამ წლებს შორის საქართველომ რამოდენიმე დიდი ათხრება გამოიარა და ამიტომ მოსახლეობასაც, რასაკვირველია, უნდა დაეკლო. მონგოლების ბატონობის დასაწყისში საქართველო გამოსაყვან ჯარის რიცხვის მიხედვით გაყოფილი იყო 7 თუმნად, მათ შორის ორი მოდიოდა სომხეთზე და საზოგადოდ მხარგრძელების საბატონოზე და 5 კი დანარჩენ პროვინციებზე. ამისდა მიხედვით 1221 წ. ივანე ათაბაგს, შანშეს და ვარამ გაგელს უნდა მოეყვანათ გიორგი მეფესთან (90000 : 5=18000×2=) 36 ათასი მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი. სულ, მაშასადამე, გიორგი ლაშას შეეძლო თავისი სამეფოდან 126 ათასი მეომრის გამოყვანა.

ამ დროინდელ საქართველოს მხედრობის რიცხვის გამოსაანგარიშებლად მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთს ცნობას, რომელიც დაცულია მატიანეში. სახელდობრ, რუსუდან მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფოს სამხრეთ პროვინციებს შემოესივნენ თურქნი და დაიწყეს აოხრება არეზს იქით ქვეყნებისა. მაშინ მანშემ „უბრძანა სპათა თუისთა და ავაგ ათაბაგისთა და შეკრბა მეომარი ოცდაათი ათასი რჩეული მხედარი“ (ქ. ცხ-ბა, I, 374). ამ ნაირად მხარგრძელების საპატრონოდან მანშემ გამოიყვანა 1240-იან წლებში 30 ათ. რჩეული მხედარი, 1254 წ. კი მონღოლებს ამავე სამფლობელოსთვის უნდა შეეწერათ დაახლ. 25,6 ათასი მხედარი. აქედან შეიძლება დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ მონღოლებს 1254 წ. სათვალავში აუღიათ თითქმის მთელი შეიარაღებული ძალა საქართველოს სამეფოსი.

ამ გვარად 1221 წ. საქართველომ გამოიყვანა მონღოლების წინააღმდეგ დაახლოვებით 126 ათასი კაცი, 1254 წ. კიდევ მონღოლთ გააწერეს საქართველოს 90 ათასი კაცი, ამათგან 25,6 ათასი მოდიოდა მხარგრძელების სამფლობელოზე, რომლის უდიდესი ნაწილი მე-XV საუკუნეში საქართველოს ფარგლებს გარეშე იყო. რადგანაც როგორც 1254 წ., ისე აგრეთვე 1459 წ. ლაპარაკი იყო საქართველოს საზღვრებს გარეშე მებრძოლ ჯარის შესახებ, ამიტომ სათანადო ციფრები ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ დროის მოსახლეობის სურათის წარმოსადგენად.

1254 წ. ქართლ-კახეთ-ლიხთიმერეთ-მესხეთს იყო სულ 1800 ათასი სული მცხოვრები. მთლად საქართველოში კი მხარგრძელების სამფლობელოსთან ერთად $2^1/_2$ მილიონი, უკეთ 2520 ათასი სული. ამ მოსახლეობას შეეძლო მონღოლების ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად 90 ათასი კაცის გამოყვანა. 1459 წ. საქართველოს მეფე-მთავრებს აგრეთვე საზღვარგარედ საბრძოლველად გამოუყავდათ 80 ათასი კაცი. თუ ამას მივუმატებთ მცირე სომხეთის მფლობელის ჯარს (20 ათასს), მივიღებთ იმავე ტერიტორიაზე, როგორც 1254 წ., 100 ათას კაცს გამომავალს ოსმალების წინააღმდეგ დასარაზმავად. თუ $2^1/_2$ მილიონს 1254 წ. 90 ათასი კაცის გამოყვანა შეეძლო, 1459 წ. ამავე ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო ცოტა უფრო მეტი — 2800 ათასი მცხოვრები, ამათგან 1120 ათასი ქართლ-კახეთ-იმერეთს, 560 ათასი მესხეთს და ამდენივე საგურიელო-სადადიანოს ჯიქ-ალანებითურთ. 1240-იან წლებში, როგორც მონღოლების მიერ საქართველოს პროვინციების თუმნებათ დაყოფის სისტემიდან სჩანს, ქართლსა და კახეთს თანაბარი მცხოვრებთა რიცხვი იყო. ამდენივე, რამდენიც ქართლს ან კახეთს, უნდა ყოფილიყო იმერეთშიდაც,

რადგან მთლად ლიხთ-იმერეთი შეადგენდა ორს თუმანს, როგორც შეერთებული ქართლ-კახეთიც. ამასთანავე სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ მე-XV საუკუნის ქართლის საბატონოში საგულისხმებელია კიდევ სომხით-ლორე-ბამბაკი. ამ უკანასკნელში ამ ჟამად მოთავსებულია $^2/_5$ უთუოდ ქართლის სამეფოს ტერიტორიის მოსახლეობისა ტფილისის გარდა, ხოლო 1456 წლისათვის შეიძლება ვიგულისხმოთ სომხით-ლორე-ბამბაკს ერთი ორად ნაკლები მოსახლეობა, ვიდრე დანარჩენ ქართლს ტფილისითურთ. მაშინ 1459 წ. ქართლის ტერიტორიისთვის (სომხით-ლორე-ბამბაკითურთ) შეიძლება ანგარიშში ჩაგდებულ იქმნას დაახლოვებით 480 ათასი სული, ხოლო კახეთსა და იმერეთზე სათითაოდ 320 ათასი სული. კომლეულად (კომლზე 8 სულის ანგარიშით) ქართლს დაახლოვ. 60 ათასი კომლი, კახეთს 40 ათასი კომლი, ამდენივე იმერეთს. მესხეთს უნდა ყოფილიყო, გამოსაყვან ჯარის რიცხვის მიხედვით, 560 ათასი სული ან 70 ათასი კომლი, საგურიელოსა და სადადიანოს ერთად ამდენივე. უკანასკნელი ციფრი გურია-ოდიშ-აფხაზეთისთვის რამოდენადმე უნდა შემცირდეს, რადგან, როგორც ვნახეთ ჯარის რიცხვში 1459 წ. შედიოდენ აგრეთვე ჯიქ-ალანნიც.

ამ ანგარიშის მიხედვით ჩვენ მივიღებთ, რომ შედარებით 1254 წელთან 1459 წლისთვის კახეთსა და შეიძლება იმერეთსაც მოსახლეობას ოდნავ დაუკლია (ნაცვლად 360 ათასი სულისა 320 ათასი), ასევე საკუთრივ ქართლს (360 ათასიდან 320 ათასამდის), მესხეთს კი პირიქით უმატნია (360 ათასიდან 560 ათასამდის), ხოლო საგურიელოსა და სადადიანოს თვალსაჩინო ცვლილება არ უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ვნახეთ, 1459 წლის ციფრებში ჯიქ-ალანნიც იხსენიებიან.

ამ გვარად 1459 წლის ახლო ხანში ქართლში (სომხით-ლორე-ბამბაკითურთ) იყო 60 ათასი კომლი. მე-XVII საუკუნის სიგრძეზედ მცხოვრებთა რიცხვს სპარსელებთან და შემდეგ ოსმალებთან მუდმივ ბრძოლის გამო თანდათან დაუკლია, ასე რომ შაჰ-აბაზ I-ის შემოსევათა შემდეგ, მე-XVII საუკ. შუაში, ქართლს ირიცხებოდა 24 ათასი კომლი. საინტერესოა, რომ ამ გვარი სურათი მოსახლეობის ცვალებადობისა ქართლში პოულობს თავისს გამართლებას ერთი, ჩვენამდის მოღწეულ ფაქტიური ცნობის მხრივ. სახელდობრ, ბარათიანთ გუჯარი მე-XVII საუკუნისა, ერთერთი წყაროთაგანი ვახუშტის ქრონიკისთვის, რომელიც მე-XVIII საუკუნეში ბეთანიას ყოფილა, გადმოგვცემს, რომ გიორგისძე მეფე ალექსანდრემ გაჰყო ძმანი ქაჩიბაძენი — აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან წარმოდგნენ აბაშიშვილები, გუგუნასაგან ბარათაშვილები, ხოლო დავითისაგან ორბელიშვილები. სამივე ძმის გლეხი და აზნაური უდრიდა ცხრა ათას კომლს, თითო ძმას ამ გვარად შეხვდა 3 ათასი კომლი გლეხი და აზნაური (ექ. თაყაიშვილის Еще одинъ изъ источн. ист. царевича Вахуш.). ეს საბუთი საჭიროებს ცალკე განხილვას, ეხლა კი შეიძლება ითქვას, რომ ალექსან-

დრე გიორგისძე, იქ მოხსენებული, შეიძლება იყოს გიორგი IX-ის ძე ალექსანდრე, რომელიც 1476 წლიდან კახეთის მეფედ ითვლებოდა და [illegible] გახდა დამაარსებელი კახეთის სამეფო დინასტიისა. ალექსანდრე ჯერ კიდევ მამის სიცოცხლის დროს, მაგალითად 1464 წ. (თ. ჟორდ. ქრონიკ., II, 283), ატარებდა მეფის ტიტულს და ამ დროს ახლო ხანებში, როდესაც ქართლ-კახეთი და იმერეთიც გაერთიანებული იყო გიორგი IX-ის მფლობელობის ქვეშ, მას მართლაც შეეძლო მამის ბრძანებით მოეხდინა გაყრა ქაჩიბაძეებისა. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ ჩვენ მივიღებთ, რომ მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში საორბელიშვილო შეიცავდა 3 ათასს კომლს აზნაურსა და გლეხს. ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რომ 1620 წლის ახლოს საორბელიშვილო შეიცავდა 533 კომლს საკუთრივ თავადების გლეხს, ხოლო 1721 წ. იქვე იყო 575 კომლი ასეთივე გლეხი. ამავე 1721 წ. საორბელიშვილოში იყო, სამეფო დავთრის მიხედვით, 310 აზნაურთა კუთვნილი გლეხი და 85 კომლი აზნაური, ხოლო სულ, მაშასადამე, 970 კომლი ბოგანოთა და აყრილთ გარდა (ჟურნ. უნივერს. სამეცნ. წრის კრებული, 54—64). რამოდენიმე წლის შემდეგ ახალი აღწერით, როგორც სჩანს წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში დაცულ ნუსხიდან (№ 1648), საორბელიშვილოში ყოფილა 93 კომლი აზნაური, 1118 კომლი გლეხი თავადებისა და აზნაურებისა, 263 კომლი ბოგანო, 698 კომლი კიდევ აყრილი. უკანასკნელი ცნობა, შენახული თვით ორბელიშვილთა საბუთებში, უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე მეფის დავთრის ცნობა. ამიტომაც ამისდა მიხედვით 1720—1730 წლისათვის შეიძლება მიღებულ იქნას საორბელიშვილოში 1275 კომლი ბოგანოსა და აყრილს გარდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-XVII საუკუნის დასაწყისში საორბელიშვილოში დაახლოვებით იგივე მოსახლეობა ყოფილა, როგორც 1720—1730 წლებში, მაშინ გამოდის მე-XV საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-XVII საუკ. პირველ ნახევრამდის საორბელიშვილოში მოსახლეობა შემცირებულა დაახლოვებით იმავე პროპორციით (3 ათას კომლიდან დაახლოვებით 1200-მდის), როგორც მთლად ქართლში (60 ათას კომლიდან 24 ათასამდის).

ეხლა თუ ყველა ზემოდ მოხსენებულ ცნობებს თავს მოვუყრით, მაშინ ჩვენ მივიღებთ დაახლოვებით კერძოდ ქართლ-კახეთის შესახებ მოსახლეობის შემდეგ სურათს მე-XV—XVIII საუკუნეში. მე-XV საუკ. ნახევარში ქართლში ირიცხება 60 ათასი კომლი მცხოვრები. მე-XVII საუკუნის ნახევარში (დაახლოვებით 200 წლის შემდეგ) მხოლოდ 24 ათასი. 1770 წელს კი ამავე ტერიტორიაზე ირიცხებოდა 22700 კომლი, ე. ი. წინა ციფრზე ოდნავ ნაკლები, რაც აიხსნება სომხით-ლორეს მიერ გამოვლილ დიდ აოხრებით. დაახლოვებით ამავე დონეზე დარჩა მოსახლეობა ქართლში რუსების შემოსვლამდის. მე-XVII—XVIII საუკუნეში მოსახლეობა ამ გვარად ქართლში თითქმის ერთს დონეზედ იყო. რასაკვირველია შიგადაშიგ ცალკე ეპოქებში იქნებოდა ცვალებადობა ამ

ციფრებში. მოსახლეობა ხან მომრავლებას იწყებდა, ხან კიდევ, გარეშე ამოწურველ ძალის ზედგავლენით, როგორც ეს მაგალითად 1730-იან წლებში [illegible] კლებას განიცდიდა. ვველა ამ ცვალებადობისთვის ანგარიშის გაწევა ჯერ-ჯერობით, საკმაო საბუთების უქონლობის გამო, ძნელია. მაგრამ საერთო სურათი მე-XVII—XVIII საუკ. სიგრძეზე, როგორც ხნანს, დაახლოვებით ერთი და იგივე ყოფილა. მომავალში, იმედია, შესაძლებელი იქნება ამ კითხვის უფრო დაწვრილებით შესწავლა და განხილვა.

კახეთში, როგორც ვნახეთ, 1459 წლის ახლოს უნდა ყოფილიყო 40 ათასი კომლი, მე-XVII საუკ. დასაწყისს 50 ათას კომლამდის, 1653 წლისთვის კი მხოლოდ 20 ათასი კომლი იყო. ხოლო 1770 წ. კახეთის სამეფოში ითვლებოდა 13590 კომლი, ხოლო კაკ-ელისენს და თავარს კიდევ 10 ათასი კომლი, სულ წინანდელს ტერიტორიაზე 23½ ათასი კომლი. თუ ამას გამოვაკლებთ კახეთის თათრების რიცხვს (შიგნით კახეთს და ივრის პირს), 2200 კომლს, მივიღებთ დაახლოვებით იმავე ციფრს, რომელიც 1653 წ. ახასიათებდა კახეთის მოსახლეობას. ამ გვარად საერთოდ კახეთშიდაც მე-XVII—XVIII საუკ. მცხოვრებთა რიცხვი ერთს დონეზე იდგა, თუმცა ცალკე ხანებში აქაც, ისე როგორც ქართლში, უნდა ყოფილიყო ცვალებადობა საერთო დონეს დამახასიათებელ ციფრის როგორც მომატებისა, ისე შემცირების მხრივ.

### მცხოვრებთა რიცხვი იმერეთის სამეფოში სოლომონ II-ს დროს.

მცხოვრებთა რიცხვის შესახებ იმერეთში სოლომონ II-ის დროს საინტერესო ცნობა აქვს დაცული ლიტვინოვს თავისს ,,იმერეთის და სამეგრელოს აღწერაში'', რომელიც შედგენილია 1804 წელს. ლიტვინოვის სიტყვით ნამდვილი რიცხვის შეტყობა შეუძლებელი იყო, რადგან ვითომ ხალხი აღწერილი არ ყოფილა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ნამდვილი ცნობების მიწოდება რუსის მთავრობის წარმომადგენელისათვის საჭიროდ არ უცვნიათ. მაინც ლიტვინოვის აზრით დაახლოვებით იმერეთში 40,000 კომლი უნდა ყოფილიყო, ხოლო ოდიშსა და ლეჩხუმს 15,000 კომლი. თითო კომლში კი ირიცხება მისი სიტყვით 2—4 სული ორისავე სქესისა (Акты кавк. археолог. ком., II, 410). საზოგადოთ რუსის მთავრობის წრეებში დარწმუნებული იყვნენ იმერეთის საბოლოოდ შეერთების დროს 1810 წელს, რომ სამეფო შეიცავდა 40,000 კომლს და 200,000 სულს მარტო მამრობითი სქესისას (Акты, IV, 953., შეად., იქვე IV, 381). როდესაც რუსებმა იმერეთი საბოლოოდ დაიპყრეს, მაშინ იმერეთის მართველს გენ. სიმონოვიჩს საშუალება ჰქონდა უფრო ჩაკვირვებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას. 1812 წ. 7 ივნისს ის ერთს თავის

მოხსენებაში სწერს, რომ იმერეთში დაახლოვებით 20–25 ათასი [illegible] მაგრამ ახლა (ჟამისა და სიმშილობის შემდეგ) ნახევარზე ნაკლები [illegible] ისიც ზემო იმერეთში, რაჭასა და სწერეთლოში.

ეხლა მე ვეცდები დაახლოვებით მაინც გამოვარკვიო იმერეთის სამეფოს მცხოვრებთა რიცხვი სამეფოს არსებობის უკანასკნელს დროებში. 1810 წლისათვის ჩვენ დაწვრილებით ცნობები მოგვეპოვება სამეფო გლეხებისა და აზნაურების შესახებ. მთელს სამეფოში ამათი რიცხვი ყოფილა საკუთრივ მეფის გლეხებისა 1311 კომლი, სამეფო აზნაურები და ამათი გლეხები 5315 კომლი, გარდა ამისა კიდევ სადედოფლო გლეხები 177 კომლი და სადედოფლო აზნაურები თავისი გლეხებით 240 კომლი (Акты IV, 258). 1811 და 1812 წლების ჟამმა და სიმშილობამ მთლად მუსრი გაავლო იმერეთის მცხოვრებთ, ამის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვმა შესამჩნევად დაიკლო და 1817 წლის 21 ივნისის ცნობებით იმერეთში იყო სულ 12,975 კომლი. ამათ შორის ქუთაისში 195 კომლი, ქუთაისის ოლქში 2965 კ., ვაკეს ოლქში 3751 კ., შორაპნის ოლქში 3124 კ. და რაჭაში 2940 კომლი (Акты, VI, 1 ნაწ., 531). ამათ შორის ზემოდ მოყვანილ 1810 წლის ცნობებთან შესადარებლად საინტერესოა, რომ სახაზინო გლეხი ითვლებოდა სულ 999 კომლი. 1810 წელს-კი სამეფო და სადედოფლო გლეხების რიცხვი იყო 1488 კომლი*). რადგან 1817 წელს სულ 12975 კომლი ირიცხებოდა, ამიტომ გამოდის, რომ 1810 წელს უნდა ყოფილიყო სამეფოში დაახლოვებით $19\frac{1}{3}$ ათასი კომლი მცხოვრები. კერძოდ ქუთაისში 1817 წ. ყოფილა 195 კომლი, მათ შორის სახაზინო იმერელნი, კათოლიკე და სომეხნი 62 კომლი და ისრაელნი 34 კომლი. 1810 წ. ქუთაისში ყოფილა მეფის კუთვნილი 110 კომლი და სადედოფლო 68. ამისდა მიხედვით 1810 წელს ქუთაისში იქნებოდა სულ 360 კომლი მცხოვრები. რაჭაში 1817 წ. 2940 კომლი, სახაზინო გლეხი 208. 1810 წ. სამეფო გლეხი რაჭაში იყო 340 კომლი, ამისდა მიხედვით 1810 წ. რაჭაში უნდა ყოფილიყო დაახლოვებით 4800 კომლი. ქვემო იმერეთსა და ზემო იმერეთში, მაშასადამე, იქნებოდა $14\frac{1}{2}$ ათასი კომლი მცხოვრები. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1864 წლის კამერალური აღწერილობით იმერეთში კომლზე მოდიოდა

*) მართალია, სწორი ანგარიშისთვის ამ ციფრს უნდა გამოკლებოდა ჭყვიში 114 კ., საჭილაო 20 კ. და საჯავახო 60 კ. სულ 194 კ., რომელნიც შემდეგ დადიანისა და გურიელის სამფლობელოში გადავიდნენ, მაგრამ ამასთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ რუსთა ბატონობის იმერეთში დამკვიდრების შემდეგ სახაზინო გლეხთა რიცხვს უნდა მიმატებოდა ზოგ მემამულესთვის ჩამორთმეული გლეხნი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სოლომონ II-ის მომხრე გავლენიან თავადებს მამულები შემდეგ უკან დაუბრუნდათ, ამ გვარ საბოლოოდ სახაზინოდ შერაცხილ თავადების და აზნაურების გლეხთა რიცხვი მცირე უნდა ყოფილიყო.

4,17 სული მამაკაცი და 3,7 სული დედაკაცი, ხოლო სულ 7,87 სული. მაშინ გამოდის, რომ 1809—1810 წლებში იმერეთის სამეფოში იყო 152 ათასი სული ორივე სქესისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მცხოვრებთა რიცხვი დასავლ. საქართველოში მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარში.**

იმერეთის მოსახლეობის გამოანგარიშების ცდის შემდეგ სოლომონ II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ მე-XVIII საუკ. მეორე ნახევრის შესახებ არსებულ ცნობების განხილვაზედ. რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი მოურავოვი 1769 წლის 12 ოქტ. სწერდა თავის ოფიციალურ მოხსენებაში, რომ სოლომონ I, იმერეთის მეფეს, ძალუძს 6000 კაცის გამოყვანა შეუძლიაო, რომ მას ჰყავს 3 ეპისკოპოზი და 8 ათასი კომლი გლეხით, ოდიშის მფლობელს დადიანს კი 3 ეპისკოპოზი და 13 ათასი კომლი გლეხი, ხოლო გურიელს 2 ეპისკოპოზი და 5 ათასი კომლი გლეხი. (ა. ცაგარელის, Грамоты и др. ист. док. I, 74). იგივე მოურავოვი სწერს, რომ კერძოდ რაჭაში 3 ათასი კომლი ირიცხებაო (იქვე, 75). ამ ცნობების შესაჯერებლად საჭიროა მოხსენებულ იქმნას, რომ რუსეთის მეორე წარმომადგენლის კაპ. იაზიკოვის ცნობით 1770 წელს სოლომონს მთელი იმერეთიდან (რაჭითურთ) 6 ათასი რჩეული მეომარი შეეძლო გამოეყვანა (იქვე, 196). ხოლო მცხოვრებთა რაოდენობა სამეფოში, მისი სიტყვით, თვით სამეფოს ხელმძღვანელთ არ იციანო, ჩემი მოსაზრებით კი 100 ათას სულზე ნაკლები უნდა იყოსო. იგივე იაზიკოვი სამეგრელოს სამთავროში სთვლის მოსახლეობას აგრეთვე 100 ათას სულზე ნაკლებს. დადიანის ჯარი კი, მისი სიტყვით, 6 ათასი კაცია და მათ შორის საუკეთესო მეომრები ლეჩხუმლები არიან, მაგრამ ესენი არა უმეტეს 2 ათასისა (იქვე, 261). საინტერესოა, რომ თუ იაზიკოვი 1769 წ. რაჭაში 3 ათას კომლს უჩვენებს, იმერეთის მეფის ელჩი კვინიხიძე 1770 წ. ყიზლარის კომენდანტთან ლაპარაკში აცხადებს, რომ რაჭაში 7 ათასი კომლი გლეხიაო. (იქვე, 101) საზოგადოდ ამ დროინდელი ცნობები რუსის მთავრობის წარმომადგენლებისა მოსახლეობის და ჯარის შესახებ დიდათ განსხვავდება იმ ცნობებიდან, რომელსაც იძლევიან იმერეთის ოფიციალური წარმომადგენელნი რუსის მთავრობასთან ურთიერთობის დროს. აი, მაგალითად, რას სწერს სოლომონ I-ის დესპანი ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე 14 მარტს 1769 წ. რუსის მთავრობისთვის მიცემულ თავისს განცხადებაში. „იმერეთში თავადნი და აზნაურნი მტრის პირდაპირ თავისის კაცებით იარაღით და აზუხით გამოვლენ ოცდახუთი ათასი და ან ოცდაათი ათასი კაცი შეიყრება მაშინ, როდესაც მტერი იმერეთში შემოვა. თუთრი რომ არ არის ჯარის მისაცემი, ამიტომ სამძლავრს იქით ვერ მიეგებებიან და ვერ უმტერებენ და თუ ჯარის შესანახავი თეთრი იყოს, მსწრაფათ ორმოცდა ათს ათასს კაცს და მეტსაც შეიძლებენ შეყრას და მტრის სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვარს იქითაც მიეგებებიან და იმერეთშიაც არ შემოუშვებენ (ა. ცაგარლის Грамоты, II, 4).

ასეთი სხვა-და-სხვაობა ცნობებისა ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად რთულია ჩვენი საკითხის გარკვევა ისეთ მასალების მიხედვით, როგორც არის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ შეკრებილი, ხშირად შემთხვევითი ხასიათის, ცნობები. ზემოდ მოხსენებულ ცნობების შესაჯერებლად მნიშვნელობა აქვს გიულდენშტეტის მოგზაურობაში მოყვანილ ციფრებს, რომელიც თითქმის იმავე დროს (1772 წ.) შეეხება. გიულდენშტეტს დაცული აქვს ცალკე ცნობები დასავ. საქართველოს პროვინციების შესახებ, რომელიც ოფიციალურ ან ოფიციოზურ წყაროებიდან უნდა იყოს ნასესხები. მისი სიტყვით რაჭაში ანგარიშობდნენ 5600 მეომარს (Reise .... პეტერბ. 1787 წ., I, 399), გურიაში ითვლებოდა 5 ათასი კომლი (იქვე 410), ოდიშს 10 ათასი კომლი (იქვე, 414), ლეჩხუმს კიდევ 4 ათასი კომლი (იქვე, 416), ხოლო სვანები მისი მოწმობით 5 ათას კომლს არ უნდა აღემატებოდნენო (იქვე, 417). ამ ცნობების გასარკვევად საჭირო იქნება თავი მოვუყაროთ ყველა იმ ცნობებს, რომელიც არსებობს დასავლ. საქართველოს მოსახლეობის შესახებ მე-XVIII საუკ. უკანასკნელ მეოთხედსა და მე-XIX საუკ. დასაწყისში. რეინეგსი, რომლის ციფრები ამ შემთხვევაში სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, გადმოგვცემს 1780 წლების დასაწყისში, რომ იმერეთის სამეფოში 20 ათასი კომლი ირიცხებაო („ივერია", 1879 წ. № 4), სამეგრელოს სამთავროში 12 ათასი კომლი (კლაპროტი, Reise in d. Kaukasus u. nach Georg., II, 28) და გურიაში 6 ათასი კომლიო (იქვე, II, 20). თვით კლაპროტი მე-XIX საუკ. პირველ წლების შესახებ გადმოგვცემს, რომ რაჭაში ამ ჟამად 5 ათასი კომლიაო. (იქვე, II, 41), იმერეთის შესახებ კი ის ამბობს, რომ ეს სამეფო ბევრად უფრო მჭიდროდ დასახლებულია, ვიდრე ქართლ-კახეთი, რადგან უკანასკნელ აღწერის მიხედვით 1805 წ. იმერეთში აღმოჩნდა სამეფო გარდასახადის გადამხდელი 13 ათასი კომლი, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში, რომელსაც ერთი ოთხად მეტი ტერიტორია უჭირავს, ასეთ მეკომურთა რიცხვი, სომხების საზღვარზე თათრებით დასახლებულ პროვინციების გამოკლებით, 25 ათასი არისო (იქვე, II, 35).

საჭიროა მოხსენებულ იქმნას კიდევ ერთი ცნობა, რომელიც შეეხება 1782 წლის მოსახლეობას იმერეთის სამეფოში და რომელიც გაგებული უნდა იყოს, როგორც მაშინ მომხდარ აღწერის შედეგი. სახელდობრ ამ დროს იმერეთში ყოფილა ამ ცნობის მიხედვით 18980 კომლი მკვიდრი (Статист. описаніе Закавк. 1830-იან წ. გამ. ესევე ცნობა განმეორებული აქვს თავისს მოგზაურობაში დიუბუა დე-მონპერეს Voyage... III, 136).

უკანასკნელ, ამ მასალას, კერძოდ სამეგრელო-გურიის სამთავროთა მოსახლეობის შესახებ, ავსებს რუსული ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვით

მე-XIX საუკუნის პირველ ათეულში ირიცხებოდა სამეგრელოში 12 ათასი კომლი, გურიაში 5 ათასი კომლი, ხოლო იმერეთში, როგორც ვნახეთ, [illegible] 19 ათასი კომლი (Акты кавк. арх. ком., IV, 953).

შედარება ამ ცნობებისა ჩვენ საშუალებას მოგვცემს ზოგიერთ დასკვნამდის მისვლისას. სამეგრელოს სამთავროში სულ გულდენშტეტი სთვლის 14 ათას კომლს, მათ შორის ლეჩხუმში 4 ათას კომლს. იაზიკოვის ცნობიდან სჩანს, რომ ლეჩხუმს გამოჰყავდა $1/_3$ მთელი სამთავროს ჯარისა. თუ ოდიშში გულდენშტეტით 10 ათასი კომლი ირიცხებოდა, მაშინ ლეჩხუმს უნდა ჰყოლიყო 5 ათასი კომლი, ხოლო ვინაიდან მოურავოვი იმავე დროს სამეგრელოს სამთავროში ანგარიშობს 13 ათას კომლს გლეხს, მივიღებდით, ამ ციფრისთვის თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების მიმატებით, საშუალო რიცხვს გულდენშტეტისას 14 ათას კომლს. ეს ციფრი უნდა გამოხატავდეს ზემოდ მოხსენებულის მიხედვით სადადიანოს მოსახლეობას 1770—1772 წლებში. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეხლანდელს დროში ლეჩხუმი შეიცავს ოდიშის (სენაკის და ზუგდიდის მაზრების) მოსახლეობის 18%, მაშინ ამავე პროპორციით ოდიშთან შედარებით ლეჩხუმისთვის 1772 წ. მოდის 1800 კომლი, ხოლო სულ სადადიანოსთვის 11800 კომლი. ვინაიდან რეინეგსი 1780-იან წლების დასაწყისში ანგარიშობს სადადიანოში 12 ათას კომლს, ხოლო ამდენივე უჩვენა იქვე 1803—1810 წლებში, მივიღებთ, რომ, თუ მეორეჯერ მოყვანილი ანგარიში სიმართლეს შეეფერება, სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობას ქვეყნის შედარებით დამშვიდებისა გამო 1770-იან წლებში რამოდენადმე უმატნია, ხოლო შემდეგ კი, ვიდრე მე-XIX საუკ. დასაწყისამდის, 12 ათას კომლის დონეზე შეჩერებულა.

იმერეთის სამეფოს შესახებ მოურავოვი ამბობს, რომ სოლომონ I-ს სამი ეპისკოპოზი ჰყავს და 8 ათასი კომლი გლეხით. ამ დროს გენათელი ისებ კათალიკოზად იყო, ამიტომაც ამ სამ ეპისკოპოზს შორის იგულისხმება ქუთათელთან და ხონელთან ერთად ნიკორწმინდელიც. 8 ათასი კომლი გლეხი, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ მთელი იმერეთის სამეფოსთვის. რადგანაც 1782 წ. იმერეთში 18980 კომლი ირიცხება, ამიტომ მოურავოვის ცნობა არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს—ასეთი სწრაფი ზრდა მოსახლეობისა ათიოდე წლის განმავლობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა. რაჭაში იგივე მოურავოვი 3 ათას კომლს ანგარიშობს, იმერეთის მეფის ეჯიბი კვინიხიძე კი 7 ათას კომლს აცხადებს. ასეთ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობებით ძნელია რაიმე გარკვეულ აზრამდის მისვლა. ერთი რამ ცხადია. სამეგრელოს სამთავროში მოსახლეობა 1780—1810 წლებში ერთს დონეზე იდგა და შეიძლება ამავე დონეზე იყო 1770-იან წლებშიც. გურიაში 1770 წ. მოურავოვის სიტყვით 5 ათასი კომლია, ცოტა მეტს (6 ათასს) ანგარიშობს რეინეგსი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ 1803—1810 წლებში ისევ 5 ათასი კომლია ნაჩვენები. [illegible] გურიის მოსახლეობას 1770—1810 წლებში თვალსაჩინო ცვლილებას არ განიცდის. ამისდა მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ იმერეთის სამეფოშიც მცხოვრებთა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში ერთს დონეზე იქნებოდა. 1782 წ. იყო 18980 კომლი, რეინეგსი უჩვენებს რგვალ ციფრს—20 ათასს, 1810 წელს კიდევ უნდა ყოფილიყო $19^1/_3$ ათასი კომლი. შესაძლებელია, რომ 1770-იან წლებში, ტყვეთა ყიდვის აღკვეთის და ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესობის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვმა იმერეთში მატება იწყო, სანამ 1782 წლისთვის მოსახლეობა განსაზღვრულ დონემდის მიაღწევდა, მაგრამ ეს მომატებაც ათიოდე წლის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ მცირეოდენ ციფრში გამოხატულიყო.

აფხაზეთის სამთავროში მოსახლე ტომების შესახებ ამდროინდელი სტატისტიკური ცნობები კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილების შესახებ. 1806 წელს ოსმალეთიდან გამოქცეული მაჰმუდთაიარ-ბეი, ქელეშ-ბეგ შერვაშიძის მიერ შეხიზნული, ატყობინებს რუსის მთავრობის წარმომადგენელს, რომ—რამდენია დაახლოვებით აფხაზეთის ტომების რიცხვი, ეს მან არ იცის. მაგრამ დაახლოვებით 30 ათასი სული მამობრივი სქესისა უნდა იყოსო (Акты Кавк. арх. ком., III, 191). მისივე სიტყვით ქელეშბეგის ჯარის რიცხვი უდრის 6 ათას კაცს (იქვე, 192). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აფხაზეთში 1000 მამაკაცზე მოდის 940 ქალი, მაშინ გამოდის, რომ მე-XIX საუკუნის დასაწყისში შერვაშიძეების სამფლობელოში ყოფილა დაახლოვებით 58,2 ათასი სული მცხოვრები, ანუ (კომლზე 8 სულის ანგარიშით) $7^1/_4$ ათასი კომლი.

რაც შეეხება სვანეთს (ეგრედ წოდებულ თავისუფალსა და სადადეშქელიანოს), ამ მხრის მოსახლეობა ძლიერ გარდამეტებულად სჩანს. გიულდენშტედტი, როგორც ვნახეთ, 5 ათას კომლს ანგარიშობს, 1831 წელს კიდევ რუსების მიერ შეკრებილ ცნობათა მიხედვით სვანეთში თითქოს 4 ათასი კომლი იყო, რომელსაც 3 ათასი ჯარი გამოყავდა (Акты, VII, 404). ეს ცნობა, საფიქრებელია, გულისხმობს როგორც თავისუფალს, ისე სადადეშქელიანო სვანეთს. 1834 წ. კიდევ რუსნი სვანეთში მამობრივი სქესისას ანგარიშობდნენ 12 ათასს (Акты, VIII, 466). 1886 წლის ცნობებით კი სვანეთის დასახელებულ ნაწილებში ირიცხებოდა 1175 კომლი და 9527 სული (Сводъ стат. свѣд. о насел. зак. края., Тиф., 1893 г.) თუ ზემოდ მოხსენებული ცნობები სვანეთის მოსახლეობის შესახებ 1770—1830 წლებში გარდამეტებული არ არის, გამოდის, რომ ეს მხარე მე-XVIII საუკ. მეორე ნახევ. და მე-XIX საუკ. დასაწყისს შემდეგს დროზე მეტს მოსახლეობას შეიცავდა.

ეროვნული

**მცხოვრებთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში მე-XVI—XVII საუკ.**

ამ საუკუნეთა მოსახლეობის გამოანგარიშება დასავლეთ საქართველოში წარმოადგენს თვალსაჩინო სიძნელეს. უცხო მწერალთა თუ ელჩთა ცნობები ხშირად ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1664 წელს და დაჰყო აქ 1½ წელი, ხოლო მეორეჯერ ჩვენს ქვეყანას ესტუმრა რუსეთიდან მომავალი 1669 წელს, ამბობს, რომ სამეგრელოში 80 ათასი კომლია, ამდენივე სათითაოდ იმერეთსა და კახეთში, ხოლო გურიაში კი მოსახლეობა არ არის მრავალრიცხოვანიო (Правосл. Собесѣдникъ, изд. казан. дух. акад., 1905 г., I, 123). იგივე ავტორი გადმოგვცემს ცაგერელ ეპისკოპოზის სიტყვით, რომელთანაც მას უსაუბრია, რომ ამ ეპისკოპოსის ეპარქია—სვანეთი შესდგება 60-ზე მეტ დიდ სოფლიდან, რომელთაგან ყველაზედ უმცირესი შეიცავს 400 კომლზე მეტს, მაგრამ არის ისეთი სოფლებიც, სადაც 600 კომლია და მეტიცო, ცაგერელის ეპარქიას შეუძლია 12 ათასი მხედრის წამოყენებაო. მაკარის სიტყვით სვანეთის ორი ნაწილი ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს, ერთი ნაწილი კი დადიანს. ეკლესიურის მხრივ სვანები შეადგენდნენ ცაგერელის და ცაიშელის სამწყსოს, ცაგერლისას, როგორც ჩანს, იმერეთის მეფის ქვეშევრდომნი და ცაიშელისას—დადიანის მორჩილნი.

მაკარის ცნობის დასაპირდაპირებლად საინტერესოა შარდენის მოწმობა 1672 წ. ოდიშის მოსახლეობის შესახებ. შარდენი ამბობს: „სამეგრელო ამ ჟამად მცირედ დასახლებულია და შეიცავს არა უმეტეს 20 ათასი სულისას. ჯერ კიდევ 30 წლის წინად მისი მოსახლეობა 80 ათასამდის აღწევდა. ეს შემცირება მოხდა მეზობლებთან ომების გამო და კიდევ იმ მიზეზით, რომ თავადაზნაურობამ დაჰყიდა უკანასკნელ წლებში მრავალი სული ორისავე სქესისაო“ (Voyages. . ლონდონ. გამოცემა 1686 წ., 82). ჯარის შესახებ შარდენი გადმოგვცემს, რომ ამ ჟამად სამეგრელოში მხოლოდ 4 ათასი მეომარი მოიპოვება, თითქმის ყველა ცხენოსანი, ქვეითი ჯარი კი 300 კაცზე მეტი არ არისო (იქვე, 83).

შარდენის ცნობებთან შესადარებლად ფრიად საინტერესოა არქ. ლამბერტის მოწმობა სამეგრელოს შესახებ. ლამბერტმა 20 წელს დაჰყო ოდიშში და მისი ცნობა ფრიად საგულისხმოა ოდიშის მოსახლეობის დასახასიათებლად 1640-იან წლებში. „კოლხიდა ისე ცოტად ცნობილია, რომ შეიძლება არც დაიჯეროთ, თუ რა ძლიერი და მრავალ რიცხოვანი ჯარი გამოჰყავს მთავარს საომრად: სულ მცირე ხანში შეჰკრებს 30 ათას მეომარს სულ ცხენოსანს, კარგად გამოცდილს და გავარჯიშებულს. თუმცა ჩვეულებრივ მთავარი თხოულობს, რომ კომლზე ერთი კაცი გამოვიდეს ლაშქრად, მაგრამ თავად-აზნაურობა უფრო თავისი სურვილით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიდრე კანონით, სულ ერთიანად გამოდის“... (Relatione della Colchide, 100, ქართული თარგმანი ა. ჭყონიასი, 95).

სამეგრელოს მოსახლეობის შესახებ მე-XVII საუკუნეში კიდევ შემდეგი ცნობები მოიპოვება. 1658 წ. მოსკოვში იყო მეფე თეიმურაზ I, რომელმაც იქ განაცხადა, რომ დადიანის სამფლობელოში 40 ათასი მცხოვრებიაო (Переписка груз. царей съ росс. госуд., X). 1639 წ. თეიმურაზის ელჩი მიტროპოლიტი ნიკიფორე რუსეთის მთავრობის შეკითხვაზე მოსკოვში ჩვენებას აძლევს, რომ „დადიანის სამფლობელო დიდი არ არის, მამობრივი სქესის მცხოვრებთა რიცხვი 60 ათასი სული იქნებაო (С. Бѣлокуровъ, Мат. для русск. ист., Москва 1888 г., 267).

იმერეთის შესახებ ასეთივე ხასიათის ცნობები ჩვენ უფრო ნაკლებ მოგვეპოვება. აღსანიშნავია მხოლოდ რუსეთის ელჩის ტოლოჩანოვის მოწმობა 1650 წ., რომელიც თავისს ვრცელს და ფრიად საინტერესოდ შედგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, იმერეთის მეფეს შეუძლია გამოიყვანოს 40 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი და მცხოვრებთა რიცხვი 60 ათასს უდრისო. აღსანიშნავია კიდევ ერთი ცნობა ფრანგ მოგზაურის ტავერნიესი, რომელიც ეკუთვნის 1660-იან წლებს, სახელდობრ, იმერეთის მეფეს შეეძლებოდა მოკლე ხანში საომრად გამოეყვანა, სამეგრელო-გურია მის ხელქვეით რომ იყოს, თითქმის 50 ათასი კაცისაო (მისი მოგზაურობა, პარიზული გამოც. 1692 წ., I, 364).

ყველა ამ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ცნობების გარკვევა დიდს სიძნელეს წარმოადგენს.

უპირველესად ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ნიკიფორე მიტროპოლიტის ცნობას 1639 წ., როგორც გარკვეულს და ავტორიტეტიან პირის მიერ გადმოცემულს. ოდიშში ამ დროს ყოფილა 60 ათასი სული მამობრივი სქესისა. საზოგადოდ კი ოდიშში 100 მამაკაცზე მოდის 97.7 სული დედობრივი სქესისა. მაშასადამე 1639 წ., ნიკიფორე მიტროპოლიტის ცნობის მიხედვით, ოდიშში ყოფილა 118,2 ათასი სული ორისავე სქესისა, ანუ (კომლზე 8 სულამდის ანგარიშით) თითქმის 15 ათასი კომლი. ისიც უნდა ითქვას, რომ ნიკიფორე თავისს ზემოდ მოხსენებულ ჩვენებაში მტრულ განწყობილებას იჩენს ოდიშისადმი, რაც აიხსნება თეიმურაზსა და ლევან II დადიანს შორის ამ დროს არსებულ ცუდ ურთიერთობით. ამიტომაც შესაძლებელია, რომ ნიკიფორეს ოდიშის მცხოვრებთა რიცხვი ნამდვილზე ნაკლები ეჩვენებინოს რუსის მთავრობისათვის. შარდენი, როგორც ვნახეთ, ამოწმებს, რომ 1640 წლის ახლოს ოდიშში 80 ათასი სული ირიცხებოდაო. ეს ცნობა მისთვის უნდა გადაეცა ადგილობრივ მყოფ კათოლიკე მისიონის წევრებს. თუ შარდენის ცნობაში მამობრივი სქესი იგულისხმება, მაშინ მივიღებთ 1640 წლის ახლოს ოდიშის მცხოვრებთა რიცხვს

151 ათას სულს, ანუ დაახლოვებით თითქმის 19 ათას კომლს. უკანასკნელი ციფრი უფრო უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, რადგან მას უდ[illegible] ლამბერტის ცნობა ლევან II დადიანის ჯარის რიცხვის შესახებ.

ოდიშის სამთავრო ამ დროს უწევდა ჩრდილოეთ-დასავლეთით მდ. კოდორამდის. 1660-იან წლებში კი, დასავლ. საქართველოში დაწყებული საშინელ ანარქიის დროს, აფხაზებმა დაიწყეს შემოტევა, გადმოვიდნენ მდ. კოდორს და მალე მოედვნენ მთელს მხარეს მდ. ენგურამდის და ენგურის მეორე ნაპირსაც. ამ დროს იწყება მთლად გავერანება ოდიშის ნაწილისა კოდორიდან მდ. ენგურამდის, რის კვალს ჩვენ ვპოულობთ ისტორიულ საბუთებში. ნაყანეულს, მაგალითად, საკათალიკოზო ტახტს ჰყავდა 1621 წ. 58 კომლი, კათალიკოზის დავით ნემსაძის დროს (1673—1696) აქ მეოთ 60 კომლიდან უმრავლესი დაიფანტა აფხაზების შემოსევათა გამო, ასე რომ კათალიკოზმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ 1700—1705 წლის ახლო ხანებში გადაარჩინა ამ სოფლიდან მხოლოდ 6 კომლი კაცი, რომელნიც სხვაგან დაასახლა. (ს. კაკაბ.— დასავ. საქართ. საეკლ. საბ., I, 1706 და 1712 წლების სიგელი გრიგოლ კათალიკოზისა). ოდიშის ამ ჩრდილოეთ ნაწილის აწყვეტა 1672 წელს, შარდენის დროს, უკვე დაწყებული იყო, პოლიტიკურად კი ამ ხანებში ეს მხარე მდ. ენგურამდის ფაქტიურად შერვაშიძეების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ტერიტორია მდ. კოდორიდან ენგურამდის შეიცავს ამ ჟამად დანარჩენ ოდიშის (ზუგდიდის და სენაკის მაზრების) მოსახლეობის $1/4$-ს. ამისდა მიხედვით 1640 წლის ახლოს ოდიშის 19 ათას კომლიდან ტერიტორიაზე მდ. ენგურამდის უნდა ყოფილიყო 3,8 ათასი კომლი, ხოლო დანარჩენ ოდიშს 15,2 ათასი კომლი. 1672 წ. შარდენი სთვლის ოდიშის სამთავროში 20 ათას სულს, როგორც სჩანს მამობრივი სქესისას, სულ მაშასადამე ოდიშს ამ დროს ყოფილა $39\frac{1}{2}$ ათასი სული ორისავე სქესისა ანუ 5 ათასი კომლი მცხოვრები. აქედან სჩანს, რომ ოდიშს 1660—1672 წლებში გამოუვლია მართლაც საშინელი აოხრება, რომლის გამო ამ მხარეს დაუკარგავს მდ. ენგურას ჩრდილოეთით მდებარე მხარე, ხოლო დანარჩენ ნაწილებში მოსახლეობა 120 ათასიდან ჩამოსულა $39\frac{1}{2}$ ათასამდის. შესაძლებელია უკანასკნელი ციფრი ძრიად მცირედ იყოს ნაანგარიშევი, მაგრამ ოდიშის მართლაც გავერანება მე-XVII საუკ. მეორე ნახევარში მაინც ცხადად სჩანს. აღსანიშნავია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ 1772 წელს, როგორც ვნახეთ, ამავე ტერიტორიაზედ იყო უკვე 10 ათასი კომლი მცხოვრები ანუ დაახლოვებით 75—80 ათასი სული.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს მოსახლეობას მე-XVII საუკუნეში, ამის გამოსაანგარიშებლად ამ ჟამად ძრიად მცირე მასალები მოიპოვება. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ რადგანაც 1640-იან წლებში დადიანის სამფლობელოში 19 ათას კომლს გამოუყავდა 30 ათასი მეომარი, ხოლო მ. ტოლოჩანოვი 1650

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ. იმერეთში 40 ათას მეომარს უჩვენებს, ამიტომ შესაძლებელია იმერეთის სამეფოს მცხოვრებთა რიცხვი ამ დროს დაიდვას მაგნებით 23–24 ათასი კომლი. 1782 წ. იმერეთში ირიცხებოდა თითქმის 19 ათასი კომლი. თუ ამას მივუმატებთ ლეჩხუმის მოსახლეობას – 2 ათას კომლს, რადგან ლეჩხუმი 1650 წლის ახლო ხანში კიდევ მეფეს ემორჩილებოდა, მივიღებთ, რომ 1782 წელს 1650 წელთან შედარებით იმერეთის მოსახლეობა თითქმის იმავე დონეზე იდგა და მხოლოდ ოდნავ დაკლებული იყო.

რაც შეეხება მე-XVI საუკუნის მოსახლეობას დასავლ. საქართველოში, ამის შესახებ ჩვენ გარკვეული ცნობები არ გვაქვს. მაგრამ არსებული მასალები მაინც გვაძლევენ საშუალებას ამ ეპოქის შესახებაც საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა საეკლესიო საბუთებში შენახული ცნობები ამა თუ იმ საეპისკოპოსო ტაძრის თუ მონასტრის კუთვნილ გლეხთა შესახებ, რადგანაც საეკლესიო ყმათა შემადგენლობა ყველაზედ უფრო მუდმივი იყო, ეკლესია არ ყიდდა და საზოგადოდ არ ჰლევდა თავისს ყმებს და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აპარატიც თვით საშინელ არევ-დარევის დროს ცდილობდა ეკლესიის ინტერესების დაცვას. ამიტომ სხვა-და-სხვა დროის საეკლესიო გლეხთა რაოდენობის შედარებით შეიძლება შევადგინოთ საერთო სურათი მოსახლეობის ცვალებადობის დასახასიათებლად. ავიღოთ პირველად საკათალიკოზო ყმანი. კათალიკოზის გლეხთა მოკლე ნუსხა ჩამოთვლილია მე-XVI საუკუნის ერთს დიდს საკათალიკოზო გუჯარში, რომელიც მიცემულია ბაგრატ III-ის მიერ და რომელსაც პირველს რიგში ხელს აწერენ კათალიკოზნი მალაქია და ევდემონ (ა. ხახანაშვილი—გუჯრები 124—153). აქ მოხსენებული მალაქია არ შეიძლება იყოს აფხაზეთის კათალიკოზი მალაქია აბაშიძე, რადგან, როგორც ქვემოდ ვნახავთ, ევდემონს წინაუსწრებდა საკათალიკოზო ტახტზე იოსებ მაჭუტაძე, რომლის ხელის მოწერა დასახელებულს გუჯარს არა აქვს. ცხადია ეს მალაქია უნდა იყოს ქართლის კათალიკოზი, რომელიც ევდემონთან ერთად ხელს აწერს აგრეთ წოდებულს კათალიკოზის სამართალს, შედგენილს 1550-ან წლებში (ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო). ამ დროს უნდა იყოს შედგენილი დასახელებული დიდი საკათალიკოზო გუჯარი, რომელიც აგრეთვე საკანონმდებლო მნიშვნელობის აქტს წარმოადგენს. ამ გუჯარში მოხსენებულ ნუსხის მიხედვით აფხაზეთის კათალიკოზს ეძლია საკუთრივ იმერეთის სამეფოში (ბარს, საჩხეურს, წუგნას, გურბულევს, ოფჩას, ნავენახევს; ჭალისთავს, ქუთაისს, ჯიმასტაროს) 112 კომლი ყმა და·გარდა ამისა გელათის წმ. გიორგის 100 კომლი. კერძოდ ბარს (წუგნა-გურბულევით), ჯიმასტაროს და ქუთაისს 1550-იან წლებში საკათალიკოზო ყმა ყოფილა 74 კომლი. 1621 წელს შედგენილი დიდი საკათალიკოზო გუჯარი კი (გამოც. ს. კაკაბაძისა) ამავე ადგილებში უჩვენებს 46 კომლს. ჩვენამდის მოაღწია კიდევ საკათალიკოზო გლეხე-

ბის ერთმა მოკლემ ნუსხამ (აკზ. საკათალ. დიდი დავთარი, 57—58) ... და შედგენილი უნდა იყოს მე-XVII საუკუნეში, მაგრამ არა უგვიანეს ... მაჭუტაძის კათალიკოზობისა, რადგან მასში მოხსენიებული არ არის უკანასკნელის მღვდელმთავრობის დროს გელათის შეწირული გლეხი (შეად. ს. კაკაბაძე, დასავლ. საქართ. საეკლ. საბუთ., I, 59). ეს ნუსხა უნდა იყოს შედგენილი დაახლოვებით 1640—1650 წლებში. ამ ნუსხის მიხედვით ზუსტად დასახელებულ ოთხს ადგილას საკათალიკოზო ყმათა რიცხვი უდრიდა შეემ 57 კომლს.

რომ საზოგადოდ მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობა დასავლ. საქართველოში კლებულობდა, ეს ჩანს კიდევ შემდეგ ფაქტებიდან. 1576 წ. ქუთაისის ტაძარს ჰყავდა 454 კომლი ყმა და გარდა ამისა იყო კიდევ 90-ზე მეტი პარტახტი. (დავთარ. ქუთ. საყდ. გამოსავლ. ბეგრისა, ძველი საქართ., ე. თაყაიშვილის რედაქც., IV). საინტერესოა აღსანიშნავი, რომ დავთარში ყველა პარტახტების პატრონები ჩამოთვლილი არიან. მაშასადამე ამ საკომლოების დაცალიერება 1576 წელზე უწინარეს ახლო ხანში მომხდარა. მართლაც 1568 წ. ქრონიკული ცნობის მიხედვით იმერეთში დიდი ჟამი ყოფილა (თ. ჟორდ., ქრონიკ. II, 411) და ქუთაისის დავთარში მრავალრიცხოვან პარტახტების მოხსენება შეიძლება ამ გარემოებას მიეწეროს. საზოგადოდ ჟამი და სიმშილობა მე-XVI საუკუნეში საკმაოდ ხშირი სტუმარი ყოფილა დასავლ. საქართველოში. 1550-იან წლებში, როგორც კათალიკოზის სამართლის შესავლიდან ჩანს, იმერეთში „დიდი სიუმილი" ყოფილა. ერთი ამდროინდელი საბუთი კიდევ ამბობს — „ისეთი ცხელი ჟამი იყო, კაცი არსად დარჩა მიმშილითა" (ს. კაკაბაძე—სამართ. კათალ., 9). თუმცა ეს საბუთი ბაგრატ III-ის დროინდელი უნდა იყოს, მაგრამ უნდა შეეხებოდეს სხვა დროს და არა 1550-იან წლების შემდეგი მოსაზრებისა გამო. გელათის წმ. გიორგის ტაძარს 1545 წელს, თუ ამ წელს ბაგრატ III-ის მიერ მიცემულ სიგელის ტექსტს შევადარებთ საკათალიკოზო დავთარში ამავე სიგელიდან შეტანილ ცნობებთან (ს. კაკაბ.—აკზ. საკათ. დიდი დავთარი, 4 .8, 1 —11, 61—67), ჰყავდა სულ 93 კომლი ყმა. 1550-იან წლებში კი, უკეთ ამ წლების დასასრულს, გელათის წმ. გიორგის ტაძარს ყოლია ორგვარი ციფრით 100 კომლი (საკათალიკოზო დიდი გუჯარი, ა. ხახანაშ. „გუჯრები", 128). მაშასადამე 1545—1560 წლებში მოსახლეობა იმერეთში კლებას არ განიცდიდა, პირიქით ნორმალურად მატულობდა კიდეც.

მე-XVI საუკ. და მე-XVII საუკუნის დასაწყისის მოსახლეობის ვითარების გასარკვევად საინტერესოა კიდევ შემდეგი ფაქტები. ბაგრატ III-ის ძეს თეიმურაზს შეუწირავს, როგორც საკათალიკოზო დიდი გუჯრის კონტექსტიდან საგულისხმებელია გიორგი II-ის დროს, მაშასადამე 1560-იან ან 1570-იან წლებში ხონს და კუხს 20 კვამლი კაცი (ა. ხახანაშ., გუჯრები, 128). 1621 წელს კი ხონს ამათგან ყოფილა 10 კომლი, 6 კიდევ პარტახტად იხსენიება

გვარების ჩამოთვლით, რაც უნდა ამტკიცებდეს, რომ ამ საკომლოების კატასტროფა XVII საუკუნეში მომხდარა. ქუთაისის სოფის წმინდის ეკლესიას ბაგრატ III-ის დროს ჰყავდა 6 კომლი, 1621 წლის დავთრით კი აქ მხოლოდ 4 კომლია, ხოლო 1640—1650 წლებში შედგენილ ნუსხით ისევ 6 კომლს ვხედავთ (ს. კაკაბ. საკათ. გლეხ. დავთ., 58). 1586 წელს ანნა დედოფალმა შესწირა საკათალიკოზო ტახტს ჩხარში 15 კომლი, (ს. კაკაბ., დასავლ. ქართვ. საეკლ. საბუთ. I, 30) 1621 წლის ნუსხაში კი ვხედავთ მხოლოდ 9 კომლს, დანარჩენი 6 კი იხსენიება ჰარტახტად აგრეთვე გვარების ჩამოთვლით (საკათალ. გლეხ. დავთ., 3—4).

აღსანიშნავია კიდევ შემდეგი გარემოება. გელათის წმ. გიორგის ყმების შემადგენლობა გამოიძია კათალიკოზმა მაქსიმე აბაშიძემ სოლომონ I-ის დროს 1778 წელს. მის მიერ შედგენილ სიაში აღნუსხულია სულ 33 ბეგრის გარდამხდელი ყმა, ამათგან 6 გარდამხდელი დასახელებულია ძმასთან და ერთს შემთხვევაში სახლის კაცთან ერთად, ექვსის შესახებ კიდევ ნათქვამია—ამის და ამის შვილებით, მაგ., ზაქარაშვილებს იბოლაძეს მართებს, თამაზა იბოლაძის შვილებს მართებს.... და სხ. (ს. კაკაბაძე—დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II). ამისდა მიხედვით, თუ უკანასკნელ გამოთქმის ქვეშ სამუალოდ სამს კომლს ჩავაგდებთ, მივიღებთ, რომ გელათის წმ. გიორგის საყდარს 1778 წელს ჰყავდა 51 კომლი ყმა. სულ მცირეოდენი რიცხვი—ორიოდე-სამიოდე—შეიძლება იყოს მე-XVII—XVIII საუკუნეთა სიგრძეზედ შეწირულთაგან წარმომდგარი, დიდი უმეტესობა კი შეადგენენ 1545 წლის სიგელში მოხსენებულ გლეხთა შთამომავლობას. მაშასადამე, გელათის წმ. გიორგის ყმათ 1545 წლიდან 1778 წლამდე დაუკლიათ ერთი ორად. შესაძლებელია ეს ნორმა მივიღოთ მოსახლეობის ცვალებადობის დასახასიათებლად დასახელებულ ეპოქაში იმერეთის ტერიტორიაზე, მით უმეტეს, რომ ეს დასკვნა არ ეწინააღმდეგება სხვა საბუთებიდან გამომდინარე მოსაზრებათ.

ეხლა თუ ჩვენ ყველა ზემოდ მოხსენებულ მასალას თავს მოვუყრით, მივიღებთ შემდეგ სურათს. 1576 წელს, შედარებით 1568 წელზე ადრიანდელ დროსთან, მოსახლეობა ქვემო იმერეთში დაკლებული იყო 16,5%-ით (ქუთაისის საყდ. დავთარი). ესეთი დაკლება განუცდია ამ დროს ხონის საკათალიკოზო გლეხებსაც. 20 კომლიდან 1621 წლის დავთარში იხსენიება 16 ოჯახი, მაშასადამე დანაკლისი გამოიხატება აქ უკვე 20%-ით. მაგრამ ამ 16 ოჯახიდან 1621 წელს მხოლოდ 10 კომლი იყო. ასევე ჩხარს 15 კომლიდან (1586 წ.) დარჩენილიყო ამ დროისთვის მხოლოდ 9 კომლი. მაშასადამე, მე-XVII საუკუნის დასწყისში, დაახლოვებით 1600—1615 წლებში აქ რაღაც სტიქიურ ხასიათის მიზეზისა გამო მცხოვრებთა რიცხვს დაუკლია 38,7%. საერთო დანაკლისი კი 1560-იან წლებიდან 1620-იან წლებამდის უდრის მაშასადამე 55%-ს,

ანუ რეგვალი ანგარიშით მოსახლეობა ამ ხნის განმავლობაში განსხვავდ... უფრო ნათლად მტკიცდება ხონის გლეხების ბედით (20 კომლიდან ... გახდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1650 წლის ახლოს, როგორც ვნახეთ, იმერეთის სამეფოში უნდა ყოფილიყო დასახლოვებით $23^2/_3$—24 ათასი კომლი. 1621 წლიდან 1640—1650 წლამდის მოსახლეობამ იმერეთში, როგორც ვნახეთ, საკათალიკოზო ყმათა რიცხვის მიხედვით, იმატა (ერთს ადგილას 46 კომლიდან 57 კომლამდის). ამიტომაც 1621 წლის ახლოს იმერეთში უნდა ყოფილიყო დასახლოვებით 19 ათასი კომლი, ხოლო 1560 წლის ახლოს, მაშასადამე, იქმნებოდა დასახლოვებით 38—40 ათასი კომლი.

ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რომ 1545 წლიდან 1778 წლამდე გელათის წმ. გიორგის ყმანი განახევრებულან. 1782 წ. კი იმერეთში იყო თითქმის 19 ათასი კომლი. ამას უნდა მივუმატოთ ლეჩხუმის მცხოვრებთა რიცხვი 2 ათასი კომლი და მაშინ მივიღებთ, რომ მე-XVI საუკ. შუაში (1782 წლის ციფრის ერთი ორად გამრავლებით) იმერეთის სამეფოში ყოფილა დასახლოვებით 40—42 ათასი კომლი. ამ უკანასკნელ ციფრის ზემოდ მიღებულ ციფრთან (38—40 ათ.) შედარება ცხადად გვიჩვენებს, რომ მართლაც მე-XVI საუკ. ნახევრისთვის (1550-იან წლებისთვის) შეიძლება დაიდვას იმერეთის სამეფოში დასახლოვებით 40 ათასი კომლი.

ასევე შეიძლება ოდიშის მოსახლეობის ციფრების შეჯერება, ცალკე ეპოქების შესახებ უფრო დასახლოვებითი წარმოდგენის შესადგენად, კერძო დამატებითი ცნობების განხილვით. აქაც ჩვენ იძულებული ვართ ჯერჯერობით დავკმაყოფილდეთ საეკლესიო საბუთებში შენახულ მასალების გამოყენებით. 1805 წ. ხოფის მონასტერს ჰყავდა 60 კომლი ყმა (Акты, II, 520), მე-XVIII საუკ. დასაწყისს ამავე ტაძრის ყმა იყო სანთლის გარდამხდელი 31 კომლი (ს. კაკაბაძე, დასავლ. საქართ. საეკლ. საბუთები, I), ხოლო საერთო ყმათა რიცხვი, რადგან ნუსხაში ერთი გვარეულობა ჟოვლიები ცალკე იხსენიება, დასახლოვებით 35- 36 უნდა ყოფილიყო. მე-XVI საუკ. ნახევარში კიდევ იმავე ხოფის ტაძრის ყმა 47 კომლი იყო (დასახელ. წიგნი). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხოფის ყმების ნუსხებში 1700 წ. და 1550 წლ. ახლო დროისა შეიძლება ყველა ყმები არ იყოს ჩამოთვლილი, რადგანაც პირველი ნუსხა წარმოადგენს სანთლის ბეგრის ანაწერს, ხოლო მეორე, უფრო ძველი,—თეთრის ანაწერს. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ ამ ცნობებიდან გამოსატანი დასკვნები თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა ცნობებიდან. ასე: მაგ., ნაგვაზავოს 1805 წ. ითვლებოდა 5 კომლი საკათალიკოზო ყმა (Акты, II, 529), დიდი საკათალიკოზო დავთრით კი, რომელიც 1621 წ. შედგენილია, იქ 10 კომლი ირიცხება. ხობულას

1805 წ. მხოლოდ 14 კომლი ირიცხება, ხოლო დიდი დავთრის მიხედვით 1621 წ. აქვე 58 კომლი იყო. ხოირში 1805 წ. 30 კომლია, 1621 წ. 39 კომლი, ესე 1805 წ. 14 კომლია და ეს გლეხები წარმოსდგნენ 1707 წ. გიორგი ლიპარტიანის მიერ შეწირულის 11 კომლისაგან და იქვე ჯერ კიდევ 1629 წ. ჭილაძისაგან შეწირულ 3 კომლისაგან (ს. კაკაბ., დასავლ. საქ. საეკლ. საბ., I). ამ ცნობებიდან ყოველს შემთხვევაში შეიძლება ის დასკვნა იქმნას გამოტანილი, რომ ოდიშს მე-XVII საუკუნის დასაწყისში უფრო მჭიდრო მოსახლეობა იყო, ვიდრე მე-XIX საუკუნის დასაწყისში, რაც ეთანხმება ზემოდ მოყვანილ ცნობას მე-XVII საუკუნის მოსახლეობის შესახებ ოდიშს.

რაც შეეხება მე XVI საუკუნის მოსახლეობას ოდიშში, ამის გათვალისწინება ამ ჟამად, მასალების უქონლობის გამო, ძნელია, მაგრამ შეიძლება ნაგულისხმევი იყოს, რომ აქაც მოსახლეობა განიცდიდა იმ გვარივე ხასიათის ცვალებადობას, როგორც იმერეთში, რომლის შესახებ ჩვენ უფრო მეტი ცნობები მოგვეპოვება.

გურიისა და აფხაზეთის მოსახლეობის საკითხი მე-XVI — XVII საუკუნეების შესახებ ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს. ასევე შეუძლებელია რაიმე გადაჭრილ აზრის გამოთქმა სვანეთის მოსახლეობის შესახებ თუნდაც მე-XVII საუკუნეში მარტო იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ზემოდ მოყვანილი იყო ანტიოქიის პატრიარქის მაკარის სიტყვით.

---

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდის, რომ საქართველოს მოსახლეობის ვითარებისათვის ფრიად ცუდი შედეგი ჰქონდა მე-XVI საუკუნეს, როდესაც მოსახლეობა თვალსაჩინო კლებას განიცდიდა და აგრეთვე მე-XVII საუკ. დასაწყისს. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მოსახლეობამ, ღრმა ეკონომიურ მიზეზებისა თუ გარეშე ამაოხრებელ ძალის გამო, ამ დროს ფრიად დაიკლო. ხოლო მე-XVII საუკუნის მეორე მეოთხედიდან და მე-XVIII საუკუნის სიგრძეზედ საქართველოს მოსახლეობა დაახლოვებით ერთს დონეზე იყო, რამოდენადმე დაკლების მიდრეკილებით დასავლეთ საქართველოში.

განუხილველად რჩება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს — მესხეთის მოსახლეობა, მაგრამ მისი გამორკვევა შესაძლებელი იქმნება, ალბად, მას შემდეგ, რაც ცნობაში მოყვანილი იქმნება სათანადო ოსმალური წყაროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე-XVI საუკუნის უცნობი აფხაზეთის კათალიკოზი იოსებ მაჭუტაძე.

მე-XVI საუკუნის აფხაზეთის კათალიკოზთაგან ცნობილია: მალაქია აბაშიძე, რომელიც სჩანს 1529 და 1533 წ.. 1529 წ., გელათურ ქრონიკის მიხედვით, მან გაჰყო ლიხთ-იმერეთის სამეფო სამ საეპისკოპოსოდ და აღადგინა გელათში მღვდელ-მთავრის კათედრა. 1533 წ. კიდევ მან გამოიხსნა ჯიქეთს დატყვევებულნი გურიელი და მისნი წარჩინებულნი (Chr. Géor. 5—7). მეორე კათალიკოზი, რომელიც კარგათ ცნობილია ისტორიულ წყაროებში, არის ევდემონ ჩხეიძე, რომლის თაოსნობით არის შედგენილი 1556—1558 წლებში საკათალიკოზო სამართალი (ს. კაკაბ.—საკათალიკ. სამართ. და მისი შედგენის დრო). ესევე ევდემონ იხსენიება 1568 წ. ბიჭვინტის გელათურს ღვთისმშობლის ხატის წარწერაში, რომელიც კარგათ ცნობილია ლიტერატურაში. კათალიკოზი ევდემონ გარდაიცვალა 1578 წ. (ზემოთ, გვ. 19). ევდემონის მოადგილე დანამდვილებით არა სჩანს, მაგრამ მე-XVII საუკ. დასაწყისში საკათალიკოზო ტახტზე იჯდა ევთიმე საყვარელიძე, რომელიც გარდაიცვალა 1616 წ. მისი გარდაცვალების თარიღს გელათის წმ. გიორგის გულანის ქრონიკა გადმოგვცემს ამ ნაირად: „[ამავე] ქორონიკონსა (იგულისხმება ტდ) აფხაზეთის კ~ზი ევთუმი მიიცვალა და ცმლჯუმათელი გრდის შვილი მალაქია კ~ზად დასუეს". აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ქრონიკა თ. ჟორდანიას „ქრონიკებში (ტ. II, 435) თარიღის მხრივ შეცდომით იყო დაბეჭდილი, ნაცვლად 304 ქორონიკონისა ნაჩვენები იყო 293.

მე-XVI საუკუნის აფხაზეთის კათალიკოზთა ამ, ეჭვს გარეშე, ნაკლულევან სიის შესავსებლად მნიშვნელობა აქვს სინას მთის მონასტრის აღაპებში დაცულ ცნობებს. ჩვენ ვსარგებლობთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ თავის დროზე გადმოწერილი ნუსხით პატივცემულ მეცნიერისავე ნებადართვით. სულთა მატიანის შემცველ ხელნაწერის მე-195 ფურცელზე, მეორე გვერდზე დაცული ყოფილა შემდეგი მინაწერი:

> საულსა: ზარაზმსა წინამოაძღარასა კაურაციძისა: საერაპიონსა: ლამერათამნა: შეაუნდოსა:. მაჭაუტაძესა ქართალიკოვაზა: იოსაებასა: ლამერათამნა: შეაუნადნაესა:. რასათაენი: საქართავაელაოდალამნ: სამალაცვვლო ჩემითა კელითა ამო: მოვიდა: ყაოვაელათავე: ლამერათმნა: შეუდოსა.

ამ მინაწერიდან ცხადად, სჩანს, რომ სერაპიონ ხურციძე, ზარზმის წინამძღვარი, და კათალიკოზი იოსებ მაჭუტაძე თანამედროვენი არიან, ხოლო [illegible] მართლწერა ასონ ა-ჩის ზედმეტი ხმარებით ცხად ჰყოფს, რომ მინაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-XV და უფრო მე-XVI საუკუნეს. სერაპიონ ხურციძე კარგათ ცნობილია ზარზმის ფრესკებიდან და მისივე წარწერებში, რომელთა მეცნიერული აღწერილობა მოგვცა ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინად ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა (Сборн. мат. для опис. пл. и мѣст. Кавк., вып. 35). სერაპიონი დახატულია ზარზმაში ბაგრატ მეფესთან ერთად. ბაგრატ (მის ფრესკას წარწერად აქვს: „მეფ˜თა მეფე ბაგრატ“) აძლევს მის წინაშე დახრილ ბერს მარჯვენა ხელით სიგელს, ხოლო მარცხენით ენქერს. ბერის ფრესკას წარწერა აქვს: „მ˜მა სერ˜პიონ“ და იქვე სიგელსა და ენქერს ზემოთ წარწერილია: „სიგ˜ლნი და ენქერი უბოძა მამ˜სა სერაპიონს“. ამ წარწერის და ფრესკათა დასათარიღებლად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ როგორც ზემოთ დავინახეთ, ხურციძეთა გვარეულობა იყო მემკვიდრე ჩორჩანელეთისა (ზემოთ, გვ. 7), მე-XVI საუკ. დასაწყისში შედგენილ მესხეთის თავადების სიაში ხურციძენი მართლაც სჩანან, მაგრამ 1356 -1443 წლებში შედგენილ სიაში კი ისინი ჯერ არ იხსენიებიან. შეიძლება ამ მოსაზრებით რამოდენადმე შესწორებულ იქმნას პატივცემულ ექ. თაყაიშვილის მიერ თავისს დროზე გამოთქმული აზრი შესახებ ზემოდ მოხსენებულ ბაგრატ მეფისა და სერაპიონ ხურციძის მე-XI საუკუნისათვის მიკუთვნებისა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ სერაპიონ ხერციძე იხსენიება კიდევ ზარზმის ერთს წარწერაში, სახელდობრ 1577 წ., მაგრამ როგორც მაწყვერელი მღვდელთ-მთავარი.

ქ. აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე მახარებლისასა ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა ყოვლს ქვეყანასა სახელ განთქმულისა აგარიანთა პირისა დამყოფელისა პატრონისა ფარსმანისითა. სულსა მისსა განუსვენეს და შეუნდნეს ღმერთმან, მღუდელთ მთავართ მთავრობასა ხურციძისა პატრონისა მაწყვერელისა სერაპიონისა, ქორონიკონსა სჲე (ექ. თაყაიშვილის ზემოდ დასახელებული შრომა, გვ. 22).

ამ წარწერის საბოლოოდ დასათარიღებლად, რადგან მისი მე-14 თუ 13 მოქცევისათვის—მაშასადამე 1577 თუ 1045 წ.—მიკუთვნებამ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, საჭიროა გარკვეულ იქმნას, შესაძლებელია თუ არა, რომ 1577 წელს ზარზმაში კიდევ ახალ შენობების აშენებისათვის ხელი მიეყოთ. ამ გარემოების საწინააღდეგოა თითქოს ერთი მოსაზრება, უკვე აღნიშნული ლიტერატურაში. სახელდობრ შემოქმედის ზარზმის აშენება მოთხრობილია ერთს სიგელში, რომელიც მოგვითხრობს ზარზმის დაცალიერებას და იქაურ სიწმიდეთა შემოქმედში გადატანას. სიგელს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და იკითხვის

შემდეგ ნაირად: „ნებითა და ჯერჩინებითა ღ~თისა ყ~ლისა მპყრობელისათა აწ უკუჱ მონამან შენმა გიორგის შვილმან პატრონმან გურიელმან ვახტანგ გიძღუენ შენ მთასა წ~დასა მთაბორს განბრწყინვებულსა ხატსა ღ~თაებისასა, ოდეს ცოდვათა ჩუენთა და უსჯულოებათათვის ჩუენთა შემცირდა ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩუენ ქრისტიანეთანი, მას ჟამსა შინა ოდეს პატიოსანი და დიდი სათაბაგო საქრისტიანო უსჯულთაგან და უღმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუნა, იწყო მოკლებად სჯულმა ჩუენმან და აღორძინებად სჯულმა მახმედისამან. მაშინ მას ჟამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა და ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორსა განბრწყინვებული აქ გურიას ჩამოასვენეს ვითარცა ექსორია ქმნილი... მას ჟამსა შ~ა აღვაშენეთ და შევამკეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ ხაძუალეს ჩუენსა წ~და ესე ხატი შენი მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩუენისა და ძმისა ჩუენისა გურიელისა მამიას გასამარჯვებელად და ძეთა და ასულთა მისთა სახსრად და აღსაზრდელად, გაგვიწყვია ჩუენდა სასაფლაოდ ოთხმოცი კვამლის კაცით აზნაურისშვილებითა“.... (Д. Бакрадзе, Археолог. пут. по Гур. и Адж., 130).

ამ საბუთს თან ჰქონია მინაწერი: „სჲ (**ასომთავრ.**). ზარზმის საყდარი რომ აღუშენებიათ, ეს ქორონიკონი ყოფილა“.

ამ მინაწერის მიხედვით შესაძლებელი იყო მიგვეღო, როგორც აქამდის ფიქრობდნენ, რომ ზარზმის საყდარი შემოქმედს აშენებული ყოფილიყო 1572 წ., რომელ დროსაც, მაშასადამე უნდა მიკუთვნებულიყო თვით საბუთში მოხსენებული ცნობა სამცხე-საათაბაგოში მაჰმადიანობის გავრცელების შესახებ. მაგრამ 1572 წ. კიდევ საკუთრივ სამცხეში მაჰმადიანობა არ იყო შემოსული, კერძოდ ოსმალთა ბატონობის დასაწყისი ათაბაგთა სამფლობელოში შეიძლება დათარიღდეს 1578 წლით, როდესაც დედისიმედი და შვილი მისი ყვარყვარე იძულებულნი გახდნენ ოსმალეთს დამორჩილებოდნენ. მაჰმადიანობის გავრცელება, ისე როგორც ოსმალთა უშუალო მართველობის დამყარება მოხდა სამცხეს უფრო გვიან —მე-XVII საუკუნეში. ამ მოსაზრებით ცხადია, რომ საბუთი არ უნდა ეკუთვნოდეს მე-XVI საუკუნეს და სიგელის მიმცემი ვახტანგ გურიელი უნდა იყოს ის პირი, რომელიც გურიელობაში შეუდგა მალაქია კათალიკოზს († 1639 წ.) და ერთი ქრონიკული ცნობის მიხედვით გარდაიცვალა 1640 წ. (თ. ჟორდ., ქრონიკ. II, 454).

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოდ მოხსენებული მინაწერი შემოქმედის ზარზმის 1572 წელს აშენების დროს უნდა იყოს რაიმე გაუგებრობაზე დამყარებული და ყოველს შემთხვევაში სინამდვილეს არ შეეფერება. ამის შემდეგ შეიძლება მოხსნილ იქმნას ერთი მოსაზრებათაგანი, რომელიც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭველ ყოფდა იოანე მახარებლის ეკლესიის აშენებას ზარზმას 1577 წ. იგი მე-14 მოქცევის 265 ქორონიკონს. ზარზმა ამ დროს კიდევ როგორც მონასტერი და სერაპიონ მაწყვერელსაც შეეძლო თავისი აღმაშენებლობითი ინიციატივისთვის იქ ასპარეზი მოეპოვა.

1577 წ., მაშასადამე, სერაპიონ ხურციძე უკვე მაწყვერლად არის, ხოლო იგივე სერაპიონ ზარზმის წინამძღვრად („მამად") იგულისხმება ფრესკის წარწერაში, სადაც ის იხსენიება ბაგრატ მეფესთან ერთად. ვინ უნდა იყოს ეს ბაგრატ მეფე? ამ საკითხის გასარკვევად საინტერესოა კიდევ ის გარემოება, რომ იმავე ზარზმის მხატვრობაში დაცულია ფრესკა აქამდის უცნობ პირის სვიმონ გურიელისა წარწერით: „ქრისთავთ ქრისთავი, მსახურთ უხუცესი, სეანთა ერისთავი სვიმონ გურიელი" (ე. თაყაიშვილის იგივე შრომა, გვ. 44). გურიელის ფრესკა ზარზმის მონასტერში, სამცხის ტერიტორიაზე, ფრიად უცნაურად ჩანს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას მე-XVI საუკუნეში, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ზოგიერთ, თუმცა რამოდენამდე პრობლემატიურ ხასიათის დასკვნამდის. ჩემის აზრით, ბაგრატ მეფე, სიგელის და ენქერის მბოძებელი მამა სერაპიონისთვის, უნდა იყოს აფხაზ-იმერეთის მეფე ბაგრატ მე-III, რომელიც 1535–1545 წლებში ფლობდა მთლად სამცხე-საათაბაგოს. სვიმონ გურიელსაც ალბად ამ დროში რაიმე დამოკიდებულობა ჰქონდა საათაბაგოს საქმეებთან და შეიძლება ის იყო მეფის მოადგილედ ახლად დაპყრობილ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ვახუშტის ქრონიკებში დაცულია ცნობა 1534 წ. მამია გურიელის სიკვდილის შესახებ. ეს მამია გურიელი 1533 წ. ტყვედ შეიპყრეს ჯიქეთს გალაშქრების დროს. იმავე ვახუშტის ცნობით, რომელიც შეიძლება გარიგების წიგნის ქრონიკიდან იყოს ამოღებული (იხ. ზემოთ, 19), 1564 წ. გარდაიცვალა როსტომ გურიელი, ხოლო ამ როსტომს „ქართ. ცხოვრების" შემდეგის ავტორის სიტყვით, „ეპყრა გურია წელსა 12" (ქართ. ცხოვ., მარ. დედოფ. ვარ., ე. თაყაიშ. გამოც. 925). როსტომი, მაშასადამე, გურიელად იჯდა 1552—1564 წ. მამიასა და როსტომს შორის კი, წინაღმდეგ ვახუშტის მიერ შედგენილ სქემისა, ჩანს ხარვეზი, რაც შეიძლება შევსებულ იქმნას სვიმონ გურიელის სახელით, თუ ზემოდ მოხსენებული მოსაზრება მომავალში გამართლდა. ამ გვარად სერაპიონის მოღვაწეობის დასაწყისი ზარზმის წინამძღვრის თანამდებობით შეიძლება მიეკუთვნოს იმ დროს, როდესაც ბაგრატ III ფლობდა სამცხე-საათაბაგოს, ხოლო 1575 წ. იგივე სერაპიონი უკვე მაწყვერლადაა.

სანას მონასტრის სულთა მატიანეში კათალიკოზი იოსებ მაჭუტაძე დასახელებულია სერაპიონ ზარზმის წინამძღვართან ერთად. თუ ამ გარემოებას წერილის თავში მე-XVI საუკუნის აფხაზეთის კათალიკოზებს შესახებ მოხსენებულ ცნობებს შევუფარდებთ, მივიღებთ, რომ კათალიკოზის იოსებ

მაჭუტაძის მღვდელმთავრობა უნდა ყოფილიყო მალაქია აბაშიძესა და მელქისედეკ ჩხეტიძეს შუა, ანუ დაახლოვებით 1540–1550 წლების ახლო ხან[illegible] თავად იგულისხმება, ისიცა უნდა ყოფილიყო აფხაზეთის კათალიკოსი და არა ქართლისა, რადგან ქართლის კათალიკოზების სია მე-XVI საუკუნეში ცნობილია და გარდა ამისა მაჭუტაძე ერთი წარჩინებულ გვარეულობათაგანი იყო სწორედ დასავლეთ საქართველოში (გურიაში). მართლაც მე-XVI საუკუნეში ქართლის კათალიკოზთა სია იმ საბუთების მიხედვით, რომელიც ეხლა ცნობილია (თ. ჟორდ. ქრონიკ., II, ს. კაკაბ. ისტორ. საბ. II, III), წარმოგვიდგება შემდეგ ნაირად. ამ საუკუნის დასაწყისში დოროთეოს, რომელიც კათალიკოზად დაადგინეს 1503 წ., 1511 წ. კათალიკოზად იხსენიება დიონისი, 1516 წ. დოროთეოსი, 1517–1531 წლებში კათალიკოზად იჯდა ბასილი, 1532 წ. იხსენიება მალაქია, 154[illegible] წ. კათალიკოზად ჩანს მეფის ძე მელქისედეკ, ამისი მოადგილე ყოფილა გერმანე (შემდეგი ქართლ. ცხოვრ.—ე. თაყაიშ., ქარ. ცხოვ. მარ. დედოფლ. ვარ, 914), რომელიც ჩანს 1546 წ. (ქრონ., II, 387). 1542 და 1552 წლებში კიდევ იხსენიება ნიკოლოზ, ამავე დროს 1549 და 1552 წ. იხსენიება მალაქია, 1552 წელსავე ზებედე და ბასილი, 1557–1560 წლებში დომენტი, 1561–1562 წლების ახლოს კათალიკოზად იჯდა მალაქია (ქრონიკ. თ. ჟორდ., II, 390, სიგელი ლევან მეფისა, რომელშიდაც გამოტოვებულია სახელი მეფის ძისა გიორგის, ხოლო გიორგი კი მოკლულ იქმნა 1561 წელს). 1562 წლიდან კი საკათალიკოზო ტახტზე ვხედავთ ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც გარდაიცვალა 1584 წელსა. მე-XVI საუკუნის საქართველოს კათალიკოზთა სიას შეუძლია აღძრას ზოგიერთი საგულისხმიერო საკითხი, მაგალითად, ჰქონდა თუ არა განსაზღვრულ დროებში ადგილი ორ კათალიკოზობას, და თუ ამას ადგილი ჰქონდა, რა მიზეზით იყო ის გამოწვეული. მაგრამ ყოველს შემოხვევაში ცხადია, რომ ისეთ კათალიკოზის სახელს ამ საუკუნეში ჩვენ ვერ ვპოულობთ ქართლის პატრიარქთა შორის, ის უნდა ყოფილიყო, როგორც მოხსენებული იყო, აფხაზეთის კათალიკოზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მე-XIII—XIV საუკუნის თმოგველების გენეალოგიისათვის.

თმოგველების გენეალოგიის საკითხის გარკვევისაკენ მიმართული ცდა ლიტერატურაში უკვე მოიპოვება (ს. კაკაბ.—ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?, მისივე—თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, კიდევ—წერ. და მასალ. საქართ. ისტორ., 50—60), მაგრამ საკითხის გადასინჯვა მაინც საჭიროა. ეხლა უკვე დანამდვილებით შეიძლება აღიარებულ იქმნას, რომ თმოგველები მხარგრძელებისაგან წარმომავლობენ. რაც შეეხება მე-XIII—XIV საუკუნის თმოგველთა გენეალოგიურ კითხვებს, აქ კიდევ საძიებელია ახალი ცნობები და მასალები.

თმოგველების გენეალოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თავის დროზედაც იყო ნაჩვენები (იხ. ზემოდ დასახელ. ნაწერები), ეგრეთ წოდებულ ვაჭნის ძეგლს, რომელიც დაბეჭდილი იყო თ. ჟორდანიას მიერ „შიო მღვ. ისტ. საბ." 30—49. ეს ძეგლი ბოძებულია ერისთავთ-ერისთავის მხარგრძელის მიერ ქართლის კათალიკოზის გიორგის დროს. ამ მხარგრძელს ყოლია რამოდენიმე შვილი, ერთი და შეიძლება უფროსი მათგანი იყო სარგისი, რომელსაც ეკუთვნის ძეგლის ერთი მინაწერთაგანი. ამ მინაწერში სხვათა შორის ვკითხულობთ: „იგივე ბ̃ბა---ჭაგრევ მტკიცედ გავჭმართეთ [მე] სარგის ძემან [სულ]კურთხე[უ]ლისა მამისა ჩემისა მკარგრძელისამან და დედამან ჩემმან ხათუთმან და ძმათა ჩემთა". აქედან სჩანს, რომ მკარგრძელის ცოლი ყოფილა ხათუთა. თ. ჟორდანია ამ ძეგლს მიაკუთვნებდა დაახლოვებით 1212—1227 წლებს, რომლის ახლო ხანებში, უკეთ 1218—1224 წლებში (ს. კაკაბ.—მე-XIII საუკ. ქართლის კათალიკოზნი), ქართლის საკათალიკოზო ტახტზე მართლაც იჯდა გიორგი. მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება ეწინააღმდეგება ძეგლის ასეთ დათარიღებას. ერთი რომ მე-XIII საუკუნის პირველ ნახევრის მხარგრძელნი ძალიან კარგათ არიან ცნობილნი და მათში არა სჩანს ერისთავთ-ერისთავი სახელით მხარგრძელი და ისიც მართლმადიდებელი და მეორე—ძეგლში მოხსენებულნი პირნი ცნობილნი არიან ჯვარის მონასტრის აღაპებშიც. სახელდობრ 5 დეკემბრის ქვეშ ამ აღაპებში (ნ. მარრის გამ., გვ. 23) ვკითხულობთ: „ამასვე დღესა წირვ̃ა და აღაპი სკნოჲ სარგისის ცოლისა თამარისი და მისისა დედისა ხათუთასსაჲ შ̃ნ დ̃ნ". ეჭვს გარეშეა, ეს პირნი იგივე არიან, რომელნიც იხსენიებიან ვაჭნის ძეგლის მინაწერში. ჯვარის მონასტრის აღაპები აგვსებენ ძეგლის ცნობას, სადაც სარგისის ცოლის სახელი არაა მოხსენებული — „ღ̃თი

ჩემ[ისა მეუღ]ლისაგან გა́ჭ[რი]სხდა და მი[ეც]ვა[ლა]“, — აღაპებით კი ამ ცოლის სახელი იყო თამარი.

როგორც ამ მინაწერის, ისე საზოგადოდ ძეგლის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ ჯვარის მონასტრის აღაპეში მოხსენებულნი პირნი მე-XIII საუკუნის დასასრულზე ადრინდელ დროს არ ეკუთვნიან. ეს გარემოებაც აგრეთვე იმისი დამამტკიცებელია, რომ ვაჭანის ძეგლი არ უნდა ეკუთვნოდეს მე-XIII საუკ. დასაწყისს, როგორც ეს აქამდის მიღებული იყო.

. საინტერესოა ამასთანავე აღინიშნოს, რომ ზემოდ მოხსენებული მინაწერი სარკისის ცოლის და დედის აღაპის შესახებ მიწერილი ყოფილა ხელნაწერში მეორე მინაწერზე (№ 93; ადრე, რომელშიდაც იხსენიებიან მაკარიძე სამადავლე, ჯვარის არქიმანდრიტი იოსებ, მოძღვარი გიორგი, ჭყონდიდელი გიორგი. ეს ცხადად სჩანს ამ მინაწერების იმ ფოტოგრაფიულ სურათიდან, რომელიც დაბეჭდილი აქვს ნ. მარრს თავისს გამოცემაში (სურათი მე-7). ხოლო მინაწერი არქიმ. იოსების და გიორგი ჭყონდიდელის მოხსენებით არ შეიძლება ეკუთვნოდეს, როგორც თავისს დროზე ნაჩვენები იყო (ს. კაკაბ. — წვრილი შტუდიები საქარ. ისტ. საკით. შეს. 5), 1370—1380-იან წლებზე ადრინდელ დროს. ამას თავისი მნიშვნელობა აქვს, რადგან მცხეთის ერთ ამდროინდელ სიგელიდან კარგად ცნობილია, რომ 1393 წ. საქართველოს საკათალიკოზო ტახტზე იჯდა გიორგი. ზემოდ ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ ვაჭანის ძეგლში მოხსენებული კათალ. გიორგი სხვა პირი უნდა იყოს. თუ ამასთანავე კიდევ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-XIII საუკუნის სიგრძეზე კათალიკოზების სახელები კარგათ ცნობილია, მაშინ ჩვენ მივალთ დასკვნამდის, რომ ვაჭანის ძეგლში მოხსენებულ გიორგი კათალიკოზის მღვდელმთავრობა უნდა ვეძებოთ მე-XIV საუკუნეში, მაგრამ არა უგვიანეს 1393 წლისა.

მე-XIII საუკუნეში თათრების ეპოქის მემატიანე თავისს ისტორიაში (ქ. ცხ-ბა II, 436) უკანასკნელ კათალიკოზად იხსენიებს აბრაამს (1295 წლ. ახლოს). აბრაამის მოადგილე ყოფილა ეფთიმე, როგორც ეს სჩანს სინას მონასტრის აღაპებიდან, სადაც ეს ორი კათალიკოზი ერთი მეორის შემდეგ არის მოხსენებული. „ს̃ლსა ქ̃რთლისა ქათალიკოზისა აბრჰმისა შ̃ნს ღნ:. ს̃ლსა ქართლისა ქათალიკოზისა ეფთმეოზისა შ̃ს ღ̃ნ:.“ ეფთიმე კათალიკოზი ცნობილია თათრების ბატონობის ეპოქის მემატიანედანაც. დიმიტრი თავდადებულის დროს, სწერია მატიანეში, „მოიწია მთა-წმიდით ვასილი მონაზონი, ძმა ეფთვემიოს კათალიკოზისა, საღმრთოთა წესითა აღსავსე და წინასწარ ცნობისა მადლითა განბრწყინვებული“ (ქ. ცხ-ბა, I, 418). მართლაც ეფთიმე კათალიკოზი იხსენიება გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში, რომელიც და-

ახლოვებით 1328—1335 წლებში უნდა იყოს შედგენილი. მაგრამ აქ დაისმის საკითხი – ეს ორი კათალიკოზი ეფთიმე — აბრაამის მოადგილე და ძეგლის დადებაში მოხსენებული — ერთი და იგივე პირია, თუ არა. ამ საკითხს შუქს ფენს ერთი ძველ ხელნაწერ სახარების მინაწერი მე-XIV საუკ. დასაწყისისა, რომელიც შეტანილი აქვს მოსე ჯანაშვილს თავისს 1893 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიაში. შემოკლებით ეს მინაწერი ასე იკითხება (გვ. 205—206): „ქ. ოდეს სანატრელმან პატრიაქმან ჩუენმან ექთიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა (?) საეფისკოპოზო და მიერითგან გარდამოვიდა წახურს, კაკ ელისენს და მოვლო საყდარნი.... ამან სანატრელმან ექთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა გკრიდე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისათჳს ეკკლესიისა.... ქ͡ნსა ფდ თუესა მაისსა იდ დასაბამითგანთა ხშიდ წელთა“ (=1310 წ.). ამ ნაირად 1310 წ. კათალიკოზი ეფთიმე, რომელიც მინაწერში განმეორებით სანატრელად იხსენიება, მიცვალებული ყოფილა. მაშასადამე გიორგი ბრწყ. ძეგლის დადებაში მოხსენებული კათალიკოზი ეფთიმე სხვა პირი უნდა იყოს, ვიდრე ამავე სახელის მატარებელი კათალიკოზი, მოადგილე აბრაამისა.

მე-XIV საუკუნის საქართველოს კათალიკოზთა სრული სიის აღდგენა ჯერ კიდევ თხოულობს ახალი მასალების დაგროვებას, მაგრამ რამდენადმე მაინც ამ საკითხის გარკვევა ეხლაც შესაძლებელია. ზემოდმოხსენებულ ორ ეფთიმე კათალიკოზის გარდა მე-XIV საუკუნეში ცნობილია კიდევ 1393 წლის მცხეთის სიგელის მიხედვით კათალიკოზი გიორგი (თ. ჟორდ. ქრონიკ., II, 200; ს. კაკაბ.—გენეალ. დიდის ალექს. მეფისა). გარდა ამისა ჩვენამდის მოაღწია მცხეთის ერთმა სიგელმა 1355 წლისა, რომლის თავი სამწუხაროდ დაკარგულია, მაგრამ სადაც აუცილებლად იქნებოდა მაშინდელ კათალიკოზის სახელი მოხსენებული (თ. ჟორდ., ქრონიკ., II, 85). ამ კათალიკოზის სახელი მოხსენებული უნდა იყოს „ქართლ. ცხოვრ.“ შედეგში, რომელიც, განსაკუთრებით თავისს ერთ-ერთ პირველ რედაქციით, ძლიერ დამოკიდებულია მცხეთის საკათალიკოზო გუჯრებში დაცულ მასალებიდან. მცხეთის გუჯრები შედეგის ავტორისათვის წარმოადგენდა ერთს მთავარ წყაროთაგანს. „ხანსა რაოდენსამე უკან, გკითხულობთ ამ შედეგში (მ. ჯანაშვილის „ნაშრომი“, 1, 34, შეად. ე. თაყაიშ.—ქართ. ცხოვ., მარ. დედოფ. ვარიანტი, 887), მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით, ქრისტეს აქათ ჩტნე. მას ჟამსა იჯდა კათალიკოზი ბასილი და იმეფა კეთილად ამან დავით მეფემა ხანს რაოდენსამე შინა მშვიდობით და მოკუდა და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე, ქრისტეს აქეთ ჩტნიბ და ამავე ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი ბასილივე და მოკუდა კათალიკოზი ბასილი და დაჯდა დორათეოზ და იმეფა კეთილად ამან ალექსანდრემ მშვიდობით და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა და დაჯდა მის წილად ძე მისი გიორგი ქრისტეს

აქათ ჩრტჳგ. ამა ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი გიორგი“... აქ მოხ[illegible] ცნობები, ეჭვს გარეშეა, ამოღებულია მცხეთის გუჯრებიდან. გარდა [illegible] სიგელისა აქ იგულისხმება ჩვენამდის მოღწეული ერთ ალექსანდრე მეფის მიერ 1362 წლის თარიღით ბოძებული სიგელი (ე. თაყაიშ.—საქართ. სიძველ. I, 244), რომელიც შესაძლებელია ნამდვილად უფრო გვიან დროს ეკუთვნოდეს, სახელდობრ მე-XVI საუკუნეს, როდესაც ცხოვრობდა ქართ. ცხ-ბის შედგენის ტექსტში ბასილთან ერთად დასახელებული კათალიკოზი დორათეოზ. ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, რომ ზემოდ მოხსენებული 1355 წლის სიგელი მცხეთისა მე-XVIII საუკუნის დასაწყისში სრულად იყო დაცული და მის თავში უნდა მოხსენებული ყოფილიყვნენ მეფე დავით და კათალიკოზი ბასილი.

ამისდა მიხედვით ჩვენ მივიღებთ შემდეგს სიას მცხეთის კათალიკოსებისას მე-XIV საუკუნეში: ეფთიმე 1310 წელზე უწინარეს, ეფთიმე 1330-იან წლებში, ბასილი 1355 წელს და საზოგადოდ ამ დროს ახლო ხანებში და მე-XIV საუკუნის დასასრულს (1393 წ.) გიორგი. შეიძლება კიდევ ეს სია შევსებულ იქმნას ნიკოლოზ კათალიკოზის სახელით, რომელიც იხსენიება გიორგი მეფის მიერ ბოძებულს ერთს სიგელში (ქრონიკ. II, 191—192). აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამ სიგელის დაბეჭდილს ტექსტში თარიღი შესასწორებელი უნდა იყოს, ნაცვლად ქორონიკონისა ჲე—ქორონიკონი ოე. ერთი რომ მხედრულში ამ დროს არ არსებობდა ასო ჲ-ს გამოსახულება და გარდა ამისა თარიღის ამ გვარი შესწორება მეფობის ინდიქტიონის მხრივ უდგება 1393 წლის სიგელს იმავე გიორგი მეფისას. მაშინ ჩვენ მივიღებდით 1387 წ. კიდევ კათალიკოზს ნიკოლოზს, თუმცა ჯერჯერობით მაინც, ახალი საბუთის აღმოჩენამდის, ეს მოსაზრება უმჯობესია საეჭვოდ დაიდოს. ამ ნაირად ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ მე-XIV საუკ. შუაში მჯდომ კათალიკოზის ვინაობა ჩვენ ვიცით. ეს იყო ბასილი, რომელიც შეიძლება იყო მოადგილე ეფთიმესი. ხოლო ორს ეფთიმე კათალიკოზს შორის კი სჩანს ხარვეზი. ვინაიდგან ვაჭანის ძეგლი დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს მე-XIV საუკ. 70-იან წლებისა, ამიტომ კათალიკოზი გიორგი, იქ მოხსენებული მღვდელთმთავრად, უნდა ყოფილიყო ორს ეფთიმეს შორის, ანუ დაახლოვებით 1310—1320 წლებში. ამ დროსვე მაშასადამე უნდა იყოს მიცემული ერისთავთ-ერისთავის მხარგრძელის მიერ ვაჭანის ძეგლი.

ამის შემდეგ ადვილად მისაღებია, რომ მხარგრძელის მამა სარგისი შეიძლება ყოფილიყო ცნობილი „ფილასოფოსი და რიტორი“, რომელიც უნდა დაბადებულიყო 1210 წლის ახლო ხანებში და დიდს მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში 1230-იან და 1240-იან წლებში (ს. კაკაბ.—ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგ. თმოგველი). უკანასკნელად სარგის თმოგველი იხსენიება მატიანეში 1262 წლის ახლოს (ქართ. ცხოვრ., I, 399). ეს სარგისი იყო შვილის-შვილი პირველ სარგის თმოგველისა, ზაქარია

და ივანე მხარგრძელების ბიძაშვილისა. პირველი სარგისი ცოცხალი ყოფილა 1205 წ., როდესაც ქართველებმა აიღეს კარი (ქარ. ცხოვ., I, 326), ხოლო [illegible] მხარგრძელის სპარსეთში გალაშქრებისას, რომელიც მოხდა უფრო გვიან, უკვე იხსენიება თაყიადინ თმოგველი (იქვე, 329). შესაძლებელია ეს თაყიადინ იყო ძე პირველ სარგისისა.

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ჩვენ მივიღებდით შემდეგს გენეალოგიას თმოგველებისას. სარგის პირველი, რომელსაც მიეცა თმოგვი 1189—1190 წლებში და რომელიც ცოცხალი იყო 1206 წელს. ამისი ძე თაყიადინ, ცოცხალია 1210—1211 წლებში. თაყიადინის ძე სარგის თმოგველი, „ფილასოფოსი და რიტორი“, იხსენიება ცოცხლად 1262 წელს. სარგისის ძე ერისთავთ-ერისთავი მხარგრძელი, ცოცხალია 1310 წლის ახლოს, როდესაც ის ადგენს ვაჴანის მონასტრის ტიპიკონს. მხარგრძელის ცოლი იყო ხათუთა, მათ ჰყავდათ რამოდენიმე შვილი, რომელთაგან მამის სამკვიდროს შეუდგა სარგისი. ამ სარგისის ცოლს ერქვა სახელად თამარი.

თმოგველთა გვარეულობის ამ გენეალოგიურ ცნობების განხილვის შემდეგ ზედმეტი არ იქნება გადაწყვეტა საკითხისა თმოგველების თმოგვიდან წასვლის დროის შესახებ. ამ საკითხს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასთან დაკავშირებულია მეორე საკითხი შესახებ „ვეფხის ტყაოსნის“ მთავარ დანართის შედგენის დროისა და საზოგადოდ ამ პოემის დიდ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემის გარკვევის შესაძლებლობა. მე-XIV—XVI საუკ. მესხეთის თავადების სიიდან (იხ. ზემოდ) სჩანს, რომ 1400 წლის ახლო ხანებში (1356—1443 წ.) თმოგველთა გვარეულობა ჯერ კიდევ თავის ადგილ-სამყოფელს იმყოფებოდა, ხოლო მე-XVI საუკუნის დასაწყისში ამ გვარს თმოგვი უკვე მიტოვებული ჰქონდა: „თმოგველნი საასთვლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა მალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს“. მართლაც ვანის ქვაბის მინაწერებიდან სჩანს, რომ მე-XIV საუკ. დასასრულს თმოგველნი კიდევ თმოგვს ბინადრობდნენ. ამ ქვაბის ერთს მინაწერში, რომელიც, როგორც დედნის განხილვიდან სჩანს, თარიღიან 1393 წლის მინაწერზე უფრო გვიანდელია, იხსენიება ჩაისერ თმოგველის ასული გულშარ. გულშარს ფიას და ვარძიას, მაშასადამე თმოგველთა სამფლობელოში. მამული ჰქონია (თ. ჟორდ., ისტორ. საბუთ. შიო-მღვ. მონასტრისა, 46—48).

თმოგვიდან წასვლის შემდეგ, როგორც უკვე თავისს დროზე ნაჩვენები იყო, თმოგველნი იწოდებოდნენ თმოგველ-უჯარმელებად და შემდეგ თმოგველ-უჯარმელ-ფავნელისშვილებად (ს. კაკაბ.—თმოგვ. გვარის ისტორიისათვის; წერ. და მასალ. საქ. ისტ., I, 76—79). პირველი პირი, რომელიც ცნობილია თმოგველ-უჯარმელის სახელწოდებით, არის თაყიადინი, ის იხსენიება უჯარის

მონასტრის აღაპებში (აკად. ნ. მარრის გამოც., 30) და კიდევ საეკლ. მუზ. № 193 ხელნაწერის მინაწერში. უკანასკნელი მინაწერი, გარჩეული ჩემ მიერ, საშუალებას გვაძლევს, პალეოგრაფიულ თვისებების მიხედვით, გამოვარკვიოთ თაყაიდინის ცხოვრების დრო. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ წინად შეცდომით თაყაიდინის ცხოვრების დროს, ჯვარის მონასტრის აღაპებში მოთავსებულ ცნობის მარტო თეორეტიულად გათვალისწინებისა გამო, მე-XIV საუკუნეს ვაკუთვნებდი. საეკლესიო მუზეუმის № 193 ხელნაწერის მინაწერი დაწერილია მე-XVI საუკ. პირველ ნახევრის ხელით და იკითხება შემდეგ ნაირად: „ქ. სლსა სულკურთხეულსა ფანასკერტელსა თაყასა შ̃ნს ღ̃ნ. მ̃თსა მეუღლესა მამქანს შ̃ნს ღ̃ნ. თმოგველ უჯარმელსა თაყედინ ყ̃ფლსა თეოდოლეს შ̃ნს ღ̃ნ. მ̃თსა მეუღლესა ესტანჯარ ყ̃ფლსა ნისიმეს შ̃ნს ღ̃ნ. მ̃თსა შვილსა როინს შ̃ნს ღ̃ნ. ღ̃ნ. მ̃თსა მეუღლეს თუხარს შ̃ნს ღ̃ნ ა̃ნ“.

ამასთანავე ერთად საინტერესოა აღინიშნოს, რომ კათალიკოზი ანტონ I ერთს თავისს თქმში 1783 წ. ფალენიშვილებზე სწერს: „ჩვენ დია კარგათ ვიცით, რომ თქვენ დიდის გუარისაგან ხართ გამოსულნი და ფავენისიდამ მანდ ერედვს გასულნი და დასახლებულნი და სასაფლავოდ როგორ მოგცემიათ ნიქოზის ეკკლესია და ან ნიქოზის ეკკლესიის ყმათ თქვენი რა ჴსდებიათ ან დიდის ლუარსაბ მეფის წიგნი გექნებათ ან იმის მამის და ან სვიმონ მეფისა. ამის ზევითი კი აღარავის იქნება და ან მეფეს სვიმონს აქათ მეფეებისა, ან განაჩენი გექნებათ ვისიმე და ან თქმი“... (ს. კაკაბ., წერილ. და მას. საქ. ისტ., 77).

შეთანხმება ყველა ამ ცნობებისა საშუალებას მოგვცემს ვიფიქროთ, რომ თმოგველნი მე-XVI საუკუნეში უკვე თმოგველ-უჯარმელებისა და ფავნელისშვილების სახელს ატარებდნენ, რომ ისინი უკვე 1500 წლის ახლო ხანებს, როგორც მესხეთის თავადების სიიდან სჩანს, თავისს პირვანდელ სამკვიდრებელს მოშორებულნი იყვნენ. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია მესხეთის თავადების სიაში ხმარებული გამოთქმა — „თმოგუელნი... შალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს“. ასეთი გამოთქმა იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ თმოგველნი ამ დროს ახალი წასულნი იყვნენ თმოგვიდან და მათი სამფლობელო შალიკაშვილთა გვარის ერთს ოჯახზე (ელისბარსა და იოთამზე) უნდა გადასულიყო. რადგანაც 1511 წ. ელისბარ და იოთამის დედა გიორგი მეფის ასული ქეთათონ ყოფილი ქრისტინე მოხუცებულად სჩანს (შეად. ზევით გვ. 8), ამიტომ ელისბარის და იოთამის თმოგველთა სამფლობელოში დამკვიდრება შეიძლება უფრო მე-XV საუკ. დასასრულს მიეკუთვნოს, ვიდრე მე-XVI საუკუნის დასაწყისს.

ზემოდ ნათქვამის მიხედვით თმოგველების თმოგვიდან წასვლა მე-XV საუკუნის დასასრულს ან 1500 წლის ახლო ხანს უნდა მომხდარიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აფხაზ-იმერეთის სამეფოს წესწყობილებისათვის მე-XV—XVI საუკუნეში.

აფხაზ-იმერეთის სამეფოს წესწყობილების შესახებ შესაძლებელია საინტერესო მასალების შეკრება უმთავრესად სიგელ-გუჯრებიდან. ამ ჟამად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ სამეფოს უმაღლეს ხელისუფალთა ვითარების გამორკვევაზე დასახელებულ ეპოქაში და მასთან ერთად სამეფოს უმაღლეს მართველობის სისტემის გარჩევაზე. უმაღლეს ხელისუფალთა (ანუ ეგრედ წოდებულ ვეზირების) სიის აღდგენა შესაძლებელი ხდება განსაკუთრებით ორი სიგელის საშუალებით. ერთი მათგანი ეკუთვნის მეფე ბაგრატს 1446 წ. (ს. კაკაბ.—ბაგრატ, რაჭა-არგვეთის მფლობელი მე-XV საუკ., იგივე სიგელი კიდევ დაბეჭდილი იყო „საქართვ. სიძვ." II, 13—14), და მეორე—მეფე ალექსანდრე II-ს 1501 წ. („საქ. სიძვ." II, 22—23). პირველს სიგელში მაღალნი ხელისუფალნი შემდეგ ნაირად არიან ჩამოთვლილნი: „...სხვანო დიდისა და ღთულ დამყარებულისა ტახტისა და გვირგვინისა მეფობისა განმამაგრებელნო, ერისთაუთ ერისთაო მანდატურთუხუცესო დადიანო და ამირსპასალარო ათაბაგო და სუანთა ერისთაო გურიელო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო სახლისა ჩუენისა დარბაისელნო, ამირეჯიბო, ერისთაო, ---ამი[რათ]ამირამო, ამილახორო, ციხისთაო, სახლთუხუცესო---] თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო მოლარეთ, მერიქიფენო, მოლარეთუხუცესო" და სხ.... (თქვენც დაუმტკიცეთო). ანალოგიურ ადგილს ალექსანდრე II-ის 1501 წლის სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენო თავადნო, დადიანო და გურიელო, სამცხის ათაბაგო, კარისა ჩვენისა ვეზირნო, მსახურთუხუცესო, ამირეჯიბო, ერისთავთა ერისთავო, ამილახორო, ამირათამირაო, მდივანო და სახლთუხუცესო თქვენც დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა მოხელენო, მეჯინიბეთ უხუცესო, მოლარეთ უხუცესო, ბოქაულთ უხუცესნო" და სხ. (თქვენც დაუმტკიცეთო). ამ ორი ციტატის ერთმანეთთან შედარებით ცხადად სჩანს, რომ აფხაზ-იმერეთის სახელმწიფოებრივ იერარქიაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ დადიანს, გურიელს და სამცხის ათაბაგს. ამათ მიჰყვებოდნენ დარბაისელნი ან ვეზირნი და შემდეგ მიდიოდნენ მოხელენი. დარბაისლებად ან ვეზირებად ამ ორი სიგელის ცნობათა ერთმანეთთან შედარებით იგულისხმებიან: მსახურთუხუცესი, ამირეჯიბი, ერისთავთერისთავი (ანუ ერისთავი), ამილახორი, ამირათამირა, ციხისთავი, მდივანი და სახლთუხუცესი. უმთავრესი განსხვავება ვეზირების ამ ორ სიას შორის (1446 და 1501 წ.) არის ის, რომ პირველ სიაში არ იხსენიება მდივა-

ნი, ხოლო მეორეში კიდევ ციხისთავი. ჯერჯერობით ძნელია თქმა, მართლა ირიცხებოდა თუ არა ვეზირთა ხიაში 1446 წ. მდივანი, ხოლო ციხისთავი [illegible] სავეზიროში აუცილებლათ უნდა მჯდარიყო მე-XVI საუკ. დასაწყისში [illegible] გან ის ვეზირად იხსენიება, როგორც ქვემოდ დავინახავთ, 1554 წელსაც. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების ნორმების შესასწავლად ფრიად საგულისხმიეროა, რომ მე-XIV საუკ. პირველ ნახევარში, როგორც ექვ. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნ „კარის გარიგებიდან“ სჩანს (ამ „კარის გარიგების“ ბოლოდროინდელი ნაწილი შედგენილი უნდა იყოს მე-XIV საუკ. პირველ ნახევარში, შეიძლება დასაწყისშიც), საქართველოს უზენაეს მთავრობას—სავაზიროს შეადგენდნენ: ჭყონდიდელი—მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი, მეჭურჭლეთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი. ათაბაგობა, როგორც ცნობილია, შემოღებულ იქმნა საქართველოში მე-XIII საუკუნის დასაწყისს, ხოლო მსახურთუხუცესი შეყვანილ იქმნა სავაზიროში რუსუდან მეფის მიერ. მე-XV საუკ. აფხაზ-იმერეთის სამეფომაც იცოდა ათაბაგ-ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობა, მაგრამ ამ დროს პირველი თანამდებობა უკვე განმტკიცებული იყო სამცხის მთავართა გვარში, ხოლო მეორე კი შეადგენდა მემკვიდრეობითი ხარისხს ოდიშის დადიანებისას.

აქ აღსანიშნავია, რომ იმერეთის მეფეთა სიგელებში ათაბაგ-ამირსპასალარის მოხსენება უნდა გულისხმობდეს სამცხის მფლობელ გვარეულობის არა მთავარ შტოს, არამედ ერთ-ერთ უმცროსს შტოს, რომელიც მე-XV საუკუნეში ემორჩილებოდა აფხაზ-იმერეთის სამეფოს. ცნობილია, რომ მე-XIV საუკ. დასაწყისს ბექა ჯაყელის სიკვდილის შემდეგ მესხეთი გაიყო მისმა სამმა შვილმა, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს სამს ახალს შტოს ჯაყელების გვარეულობისას (ს. კაკაბ.- სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა). ამ შტოების ერთიერთთან დამოკიდებულება და საზოგადოდ საერთო სურათი მესხეთის პოლიტიკურ მდგომარეობისა მე-XIV—XV საუკ. შეიძლება გარკვეულ იქმნას ცალკე ღონოგრაფიულ გამოკვლევაში. ამ ჟამად კი საკმაოა აღინიშნოს, რომ აფხაზ-იმერეთის მეფეთა მე-XV საუკუნის სიგელებში ხშირად იხსენიება პირველს რიგში, დადიან-გურიელთან ერთად, ათაბაგ-ამირსპასალარი სამცხისა, რაც უნდა უჩვენებდეს იმერეთის მეფეთა ძალა-უფლების გავრცელებას ამ დროს მესხეთის ერთ ნაწილზე.

ამ გვარად, შედარებით მე-XIV საუკ. დასაწყისის საქართველოს სავეზიროსთან, აფხაზ-იმერეთის სამეფოს სავეზირო მე-XV საუკუნეში წარმოადგენდა სხვა სურათს. ათაბაგ-ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი დადიანი და გურიელი ამ სავეზიროს გარედ არიან და, როგორც საკუთარ მემკვიდრეობითი სათავროთა მფლობელნი, მთავრობაში არ შედიან. სავეზიროს კი შეადგენენ ზეცოდ დასახელებულნი 8 თანამდებობის პირნი.

ამნაირ ცვლილების დროს უფრო დასახლოვებით გათვალისწინება შეიძლება შემდეგ ნაირად: 1408 წ. კონსტანტინე მეფის მიერ მიცემულ ცირდილაძეთა სიგელში მაღალ თანამდებობათა პირნი ამ გვარად არიან დასახელებულნი: „აწ ვინცა წყალობა და სიგელი ესე ჩუენგან ბოძებული კარისა ჩუენისა ვაზირთა ერისთავთ ერისთავთა, მანდატურთუხუცესთა დადიანთა, ათაბაგ ამირსპასალართა, სუანთ ერისთავთა გურიელთა, ქართლის ერისთავთა, დიდებულ აზნაურთა, ქალაქთა ჩუენთა ამირათ ამირათა, მეჭურჭლეთა და მეჭურჭლეთუხუცესთა, ციხისთავთა და უოველთავე ჩუენთა კელის მქონებელთა, დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ“ (საქ. სიძვ., III, 434—435). კონსტანტინე მეფეს ემორჩილებოდა მთელი საქართველო, მაგრამ ეს სიგელი, ბოძებული დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე, გამოხატავს უმთავრესად დასავლ. საქართველოსთან დაკავშირებულ ხელისუფლობის სურათს. ამ სიაში ჩვენ უკვე აღარ ვხედავთ მწიგნობართ-უხუცესს, მაგრამ აქ კიდევ იხსენიება მეჭურჭლეთუხუცესი, რომელი თანამდებობა უკვე არ ჩანს 1446 წლის აფხაზ-იმერეთის სამეფოში. ამ გარემოების გამო შეიძლება გამოთქმულ იქმნას ის მოსაზრება, რომ მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში (უკეთ 1446 წლიდან) არსებული სისტემა ვეზირებისა უნდა გარდაქმნილ და შემუშავებულ ყოფილიყო მე-XV საუკ. პირველ ნახევარში, უკეთ 1408 და 1446 წლებს შუა. ამ დროს შემუშავებული სისტემა სავაზიროსი არსებობდა მე-XVI საუკ. დასაწყისამდის (1501 წ.). შემდეგ კი ვეზირთა შემადგენლობა უნდა შეცვლილიყოს, რაც საკმაოდ გარკვევით არის გამოხატული 1554 წლის შერგილაძეთა სიგელში (თ. ჟორდ. ქრონიკ., II, 397—398). „....სხვანი კარისა ჩუენისა თავადნი, ვკითხულობთ, სხვათა შორის, ამ საყურადღებო სიგელში, ერისთავთა ერისთავი და ხუანთა ერისთავი, მანდატურთუხუცესი დადიანი, ამირსპასალარი გურიელი თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ; სხვანი კარისა ჩუენისა ვაზირნი, ამირათამირი, ამილახორი, ციხისთავი, კარისა ჩვენისა წარჩინებულნი თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანი კარისა ჩუენისა მეკელენი, მეაბჯრე, მეჯინიბენი და სხ.“.... ამ სიგელში ათაბაგი სრულიადაც არ იხსენიება, რაც შეეფერება 1545 წლის სოხოისტის ომის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, როდესაც იმერეთის სამეფო სახლმა საბოლოოდ დაკარგა გავლენა სამცხე-საათაბაგოზე. დადიანი კვლავ იხსენიება მანდატურთუხუცესად, ხოლო ამირსპასალარობა მიკუთვნებული აქვს გურიელს. ვეზირთა შორის მოხსენებულია ამირათ ამირა, ამილახორი და ციხისთავი. საგულისხმიეროა, რომ ამ სიაში არ არის მოხსენებული, მაგ., მსახურთუხუცესი, თუმცა, როგორც ზემოდ იყო გარკვეული, 1533—1545 წ. მსახურთუხუცესის ტიტულს ატარებდა სვიმონ გურიელი. ის გარემოება, რომ მსახურთუხუცესობა მიკუთვნებული ჰქონდა ამ დროს საგურიელოს სახლის პატრონს, გვიჩვენებს, რომ მსახურთუხუცესი უკვე არ მჯდარა სავეზიროში, არამედ გარდაქცეულა, როგორც მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი, საპატიო ხარისხად. ამიტომაც სავეზიროს შემადგენლობის შეცვლა უნდა მომხდარიყოს არა მხოლოდ მე-XVI საუკ. შუაში (შერგილაძეთა სიგელის მიცემის ახლო დროს), არამედ საზოგა-

დოდ მე-XVI საუკ. პირველ ნახევარში, ბაგრატ III-ის მეფობის დროს. 1564 წ. ამგვარად ნაცვლად 8 ვეზირისა მოხსენებულია მხოლოდ სამი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს სია არ უნდა იყოს სრული. მაგალ., აქ არ არის მოხსენებული სახლთუხუცესი, თუმცა ეს თანამდებობა თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა და მე-XVII საუკუნეში კი თითქმის ყველა თანამდებობაზე უფრო თვალსაჩინო იყო. შეიძლება სახლთუხუცესის გამოტოვებას 1554 წლის სიგელში შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს (მაგ., ამ თანამდებობის ამ დროს დროებით დაუკავებლად დატოვების გამო), მაგრამ უნდა ითქვას, რომ სახლთუხუცესი არ იხსენიება 1545 წლის გელათის წმ. გიორგის სიგელშიდაც (ქრონიკ. II, 340, საქართვ. სიძველ, I, 24, აღწერ. საკათალ. დიდი დავთარი, 68) და 1544 წ. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნების სიგელში (ს. კაკაბ.—სჯულმდ. ბაგრატ კურაპ., 8). ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა კიდევ ახალი მასალების მოპოვებას თხოულობს.

ვეზირების სამეფო მართველობის სისტემაში მისდევდნენ მეფის მოხელენი, რომელნიც ზემოდ მოხსენებულს სიგელებში ცალკე არიან ჩამოთვლილნი. მათი სია 1446 და 1501 წლების სიგელების მიხედვით გვეხატება შემდეგ ნაირად: მეჯინიბეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, გამგეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, მეაბჯრეთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ახოსლართუხუცესი. ესენი, როგორც მათი თანამდებობის სახელწოდებიდანაც სჩანს, ყოფილან, ასე ვთქვათ, უფროსი მოხელენი. ამათ მიჰყვებოდნენ: მოლარე, მერიქიფე, მეჯინიბე, მეღვინე, მესტუმრე, მზარეული, ბაზიერი, მემწყრე (?), მემსჭოვარე (?), მეჩანგე, მენადირე, მედაბდაბე, ხარკისა და დალის მკრეფელი, გოჭისა და ქათმის მკრეფელი, პურისა და ღვინის მკრეფელი, მეაბჯრე, მესტვირე, მექიფე, ახოსლარი, ბოქაული, მეძაღლე-მემწევრე. ბაგრატ მეფის სიგელი მე-XV საუკუნის დასაწყისისა (იხ. ზემოდ გვ. 3) ამ მოხელეთ კიდევ უმატებს შემდეგ თანამდებობათ: ფარეში, მესინე, მეულაყე-მეჯოგე, მეკულუხე-მეტაბილე, ხაბაზი, მეგოდრე, მეპურე, მეზვრე, მეჩხირე, მესაკლავე. ამავე სიგელში კიდევ ბოქაული და იასაული ერთი და იმავე რიგის მოხელეებად სჩანან. ამ სიების მიხედვით ჩვენ მივიღებთ, რომ მე-XV საუკუნეში და მე-XVI საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზ-იმერეთის სამეფოში მეფის მართველობის აპარატი და სამეფო კარი შეიცავდა სულ 9 უფროს მოხელეთა და 28—30 უმცროს მოხელეთა თანამდებობას. თავისთავად იგულისხმება, რომ განსაკუთრებით უმცროსი თანამდებობობანი უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო რამოდენიმე, ხშირად საკმაოდ მრავალრიცხოვან მოხელეებით.

როგორც ზემოდ დავინახეთ, ვეზირთა შემადგენლობამ მე-XVI საუკუნეში კლება იწყო: 1554 წ., ნაცვლად ამ საუკუნის დასაწყისშივე აღნიშნულ 8 ვეზირისა, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ 3 ვეზირს. ეს ცვლილება სამეფოს უმაღლეს მართველობაში აიხსნება, რასაკვირველია, იმ გარემოებით, რომ სწორედ მე-XVI

საუკუნეში სამეფოს ცენტრალურ მართველობის შესუსტება განსაკუთრებულის სისწრაფით იჩენდა თავს, სახელმწიფოებრიობა უკან იხევდა და ამას თან სდევდა მართველობის აპარატის განმარტივებაც. საფიქრებელია, რომ მოხელეთა შემადგენლობაშიაც ამიტომ მე-XVI საუკუნეში ცვლილება იქნებოდა შეტანილი. ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს, რომ მე-XVII საუკუნეში არსებულ საბუთების მიხედვით უკვე არ ჩანს გამგეთუხუცესის და ახოსალართუხუცესის თანამდებობა. დანარჩენი თანამდებობანი, როგორც საკუთრივ სამეფო კარისა, თითქმის ყველა არსებობდა შემდეგ დროებშიაც, გარდა შეიძლება ზოგიერთ უმნიშვნელო ხასიათის სახელოებისა. საინტერესოა, რომ ცნობა მართველობის აპარატის განმარტივების შესახებ—სახელმწიფოებრიობის უკან დახევის მიზეზით—აღნიშნული აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელიც ამბობს, რომ მაღალნი ხელისუფალნი იმერეთში არსებობდნენ მე-XVII საუკუნის პირველ ნახევრამდის და მას შემდეგ კი არაო. „ხოლო იმერეთს—ამბობს ვახუშტი თავისს „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“—მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისამდე იყუნენ წესნი ეგრეთვე (აქ იგულისხმებიან მაღალი ხელისუფალნი) და შემდგომად მისსა არღარა, არამედ მთავარნი თვისთვისით სპითა შეკრბიან და არცაღა კელისუფალნი მეფისანი არიანო“.

მარტო ხელისუფალნი არ განსაზღვრავდნენ აფხაზ-იმერეთის სახელმწიფო აპარატს. ფეოდალურ სახელმწიფოში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ თავადებს, რომელთა უფლებანი და საზოგადოდ ადგილი სახელმწიფოს კანონმდებლობასა და მართველობითი სისტემაში სხვა-და-სხვა დროს სხვა გვარი უნდა ყოფილიყო. მე-XV საუკუნის საბუთების გარჩევისას ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თავადებს დასავლ. საქართველოში, როგორც საფიქრებელია, განსაკუთრებული ადგილი ჰქონდათ მიკუთვნებული კერძოდ საკანონმდებლო სფეროში. ასე, მაგ., თამარ მეფის სასისხლო სიგელში 1433 წ. მოხსენებულია, რომ საბუთი ბოძებულია „ათაბაგთა და ამილახორთა და ერისთავთა და ამირეჯიბთა და თავადთა და მოსამსახურეთა კარისა ჩუენისათა“ თანადგომითა (საქ. სიძვ. II, 373, ს. კაკაბ.—უცნ. აფხ.-იმერ. მეფე თამარ II). ასევე, 1464 წლის კვიტაშვილის სასისხლო სიგელში, რომელიც მიცემულია გიორგი IX-ს მიერ, მოხსენებულია „იმერელი თავადნი“, როგორც დამსწრენი სისხლის სიგელის შედგენისა და მიცემისა. „შემოვიდეს შუა დადიანი ლიპარიტ და ძე მისი გურიელი მამია და სხუანი იმერელნი თავადნი და დარბაზის ერნი. ვქენით მოკითხული და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი“ და სხ. (საქ. სიძვ. III, 436). საყურადღებოა უკანასკნელი გამოთქმა—„იმერელნი თავადნი და დარბაზის ერნი“, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-XV—XVI საუკ. სასისხლო სიგელებში დარბაზთან შესმენისათვის საკმაოდ დიდი სისხლი იყო დანიშნული (ჩვეულებრივ ნახევარი სისხლი). დარბაზი ამისდა მიხედვით შეიძლება ყოფილიყო უმაღლესი საკანონმდებლო და იმავე დროს მართველობის

ორგანო, რომელიც დაკავშირებულად სჩანს თავადებთან. ყოველს შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ, რომ თავადები მართლაც მონაწილეობას დე[illegible] სა-კანონმდებლო ხასიათის აქტების შედგენაში და, თუ მივიღებთ [illegible] ფეოდალურ სახელმწიფოში საკანონმდებლო და მართველობითი ფუნქციების ერთმანეთში არევას, მაშასადამე მართველობაშიაც. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ საკითხის რამოდენადმე მაინც დეტალურად გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რისთვისაც ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ერთი საბუთით.

ბ-ნ ე. თაყაიშვილს 1891 წ. ხელში ჩავარდნია ერთი ფრიად საყურადღებო სიგელი, რომელიც მან დაბეჭდა იმავე წლის გაზ. „ივერიაში" № 213 და შემდეგ გადაბეჭდა „საქართვ. სიძველეთა" II ტ. გვ. 35—37. სიგელი დაწერილი ყოფილა ეტრატზე, რომელიც შესდგებოდა ორის ერთმანეთზე მიკერებულის ნაჭერისაგან. სიგრძე ორისავე ნაჭერისა ყოფილა 2 არშინი და 2 გოჯი, განი $5^{1}/_{2}$ გოჯი. პირველი ათი სტრიქონი სიგელისა ძლიერ გადასული ყოფილა და მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა გაირჩეოდა. აი ეს სიგელი ისე, როგორც დაიბეჭდა «ივერიაში»:

---ძისა და---სოლომონიან დავითიან ბაგრატოვან მეფისა ალექსანდრეს---
მრავალთა-- ლიხთამერთა და ლიხთიმერთა--- ორთავენ: ოქროსტახტზედ
მჯდომარისა: და ღმრთივ გვირგვინოსნისა:. და ყოვლისა ხმელეთისა
მპყრობელობითა მქონებელისა მეფისა ალექსანდრეს წინაშე: მოვიდეს ჩუ-
ენთა: დროულთა: კართა: ზედა: ერთგულნი და: დიდად. ერთგულად: ნამ-
სახურნი: თოფურიძენი: კაცი: ბერი: მერკელი: გიორგი: იოვანეს: (sic)
მას:. ჟამმსა: ოდეს: ერთი. ჯორის ცალისა; ადნე ზანდუკი:. ოქრო: და:
ვერცხლი: ცხენის. წყალმა წამართვა: და კაცი ბერი მომირჩინა და ჩუენ:
არა:. ვიცოდით და კაციბერმა მომართვი იმა: ერთგულობისათვის: გვი-
აჯნეს:. და [დავად]გინეთ: გამოიღეს სიგელი: და. ძველთაც წმიდა: აზ-
ნაურის: შვილნი: ყოფილეყნენ: (sic) ვქენით: მოკითხული: და ტახტისა
აზნაურისა შვილნი: გამოვიდნენ:. ვისმინეთ:. აჯა: თქვენი: მოვიკითხეთ:
ძველი: და ახალი:. თქვენისა გვარისა. ვითარაობა: და ერთობ: წმიდა: აზ-
ნაურის:. კაცნი: გამოვიდნენ. სამონასტრო: საყრითა: და: მისი შემავა-
ლითა გლეხებითა:. სამოსახლითა: საჯვარითა გარეთ: და შინითა: ბევრის:
ყმითა: სათიბითა. ტყითა: ველითა:. სათევზითა: ყოვლის:. ფერითა: წმი-
და აზნაური: კაცი გამოვიდა: მართლითა:. განაბჭობი:. სისხლი. გაუჩი-
ნეთ: თოფურიძეთა:. დიდისა:. და: მცირესა:. სამას: სამოცდა: ხუთი:
ათასი ძველ:. კირმანეული: დაგეურვებოდეს: სისხლი:. არა: ვინ:. კა-
დრებულა თუ:. ვისმენ: ეშმაკისა:. მანქანებითა თოფურიძისა: გუარისა:.
კაცი: მოკლას:. ექსსი: (sic) ასი:. ათასი: ძველი: კირმანეული: დაგე-
უროს სანახშირო და ცხრა: ასი: ათასი:. [თეთრი]:. და მას:. გარეთ: ათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხადილეჲ: გდეხი: თეთრი:. ჯორი:. ვეცხლის:. იარაღითა მეჯინიბეთა:.
თეთრი:. ქორი:. თეთრი:. მექებარი:. მისითა ბაზიარითა: დაგეურთს:.
სახლად: დაგესხას: დაგწვას: ალათვი: წაიღოს: ნახევარი:. სისხლი: დაგე
ვინც: ტოლი: გაგიუბატიოს: ნახევარი:. სისხლი დაგეურთს:. ვინც:. გვარისა:.
ქალი: დაგიგდოს:. ანუ:. სახლის: შვილი: მოგიკლას:. ნახევარი: სისხლი:
დაგეურთს:. ვინცა: გრძნეულობა: გითხრას: მართალი: გამოჩნდეს:. ნახევარი:
სისხლი: დაგეურთს:. ვინცა ექსთა: (sic) ასოთაგან: ერთი: დაგიმსოს:. ექსი:
ათასი: კირმანეული: დაგეურთს:. ოცი:. ათასი:. თეთრი:. უზღოს: ვინცა: ებილი:.
ამოგიგდოს: ნახევარი:. სისხლი:. დაგეურთს:. ვინცა:. მეხადილესა გი-
ცეს:. ანუ: მწეემსსა:. ნახევარი:. სისხლი:. დაგეურთს:. ვინცა: ბაზიარსა:
ანუ: მეთევზურსა: გიცეს:. ვითარცა:. შეგვანდეს: აგრე:. სამასი:. ათასი: კირ-
მანეული:. დაიურთს:. სხვა: ნაძარცვი:. ნაკოდი: გზასა ნაძარცვი:. ამა:.
სიგელსა:. და:. იადგარსა:. დახედოს:. მას მისითა:. წესითა:. დაგეურთს.
ვინცა:. ჯანასა:. დაგესხას:. და გიოხოს:. თუ: დაიკოდოს:. ნახევარი: სი-
სხლი:. დაგიურთს:. თუ მოკდეს:. სრული:. სისხლი:. დაგეურთს:. ამის-
ნი:. მოწამენი:. არიან:. თავად ღმერთი:. და კაცთაგან:. ასწალარი:. (sic)
ივანე:. ათაბაგი:. ერისთავთა:. ერისთავი:. მანდატურთა:. უხუცესი:. და-
დიანი:. სვანთა:. ერისთავი:. გურიელი:. ფარიჯანიანი: ელამერ ელამერი:.
ჭილაძე:. ამირეჯიბი:. ავჯამერ:. ციციშვილი დავით:. სხვანი:. ჩუენი:.
კარისა:. ვაზირნი: შიოშ:. ფალავანდის:. შვილი:. ფარნაოზ:. ფალავან-
დის:. შვილი:. ბაგრატ:. ბარათა: შვილი:. თაიმურაზ:. ლაშის:. შვილი:.
მამის:. მამა კუჭეიძე უმდგრძელი:. ჩხეტიძე:. გიორგი:. ჟრის: თავი:.
კახაბერი: ლომინაძე:. როსტომ:. ჩივჯავაძე:. ხაიოლანდრო დადაბე:.
ლომინი:. მიქელაძე:. ფახუედ ლაივიცხუძე. საყარ:. მაჭუტაძე:. დემეტრე:.
ბერიძე:. ლომინი:. მახაძე:. ჯოდერდი:. ჩლაჩაძე:. მოსაით:. ჯარადაი:.
ქორთოძე:. შამადავლა ლიპარტიანი:. ელ:. ბადურ გოშოძე:. ულამარ:.
ამუნასკირი:. არღუნაი:. შარვაშიძე:. ალთუმიშარ:. ამჩაბაძე:. თუმელდი:.
უუდუსაძე: აწე:. სხვანო:. კარისა ჩუენისა:. ვაზირნო:. და ხელისა: მქონე-
ბელნო: მესტვირეთა:. მენადირეთა:. უხუცესნო:. თქვენცა დაუმტკიცეთ:
ბრძანება: და: სიგელი:. ესე: აწე: ქრისთეს:. (sic) მიერ:. გურთხევით:. გურთ-
ხეულნო: ქართლისა: ქათალიკოზნო: და: ეპისკოპოზნო:. თქვენითა:. ჯვარითა:
თქვენითა: ომფორითა: თქვენცა: ასრე: დაუმტკიცეთ: ლისტიმერისა:. (sic)
ქათალიკოზნო: და: ეპისკოპოზნო:. თქვენცა:. ასრე:. დაუმტკიცეთ: ბრძანება:
და: სიგელი: სვიმონ მაწყვარელო: მარუედ ქუთათელო:.დავით:. ცხეთელო:
ელია. ჭყონდელო: (sic) ბართლომე:. ცაიშელ[ო]:. რომანოზ:. მოქველო:
გრიგოლეჲ. ბედიელო:. საბა:. ხობელო:. ეგდემოს: ცხეთელო: თევდორე:.
დრანდელო:. თქვენითა:. ჯვართა. თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ:. ბრძანება:.
და:. სიგელი: ესე: დაიწერა: ბრძანება: და: სიგელი:. ესე:. ქამსა: ალე-

ქსანდრე:. მეფეთმისასა:. ქორანიკონსა:. ცხრა:. ას:. სამ[illegible] თვესა: მაისსა:. აჩვიდმეტსა:. (sic) ხელითა:. მდივნისა:. [illegible] ამინ.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა დასახლოვებით მაინც დათარიღება ამ სიგელისა. ქორონიკონი 968, რასაკვირველია, წარმოადგენს სრულს გაუგებრობას და თხოულობს განმარტებას. სიგელი ბოძებულია ალექსანდრე მეფის მიერ. ის გარემოება, რომ სიგელში იხსენიება ციციშვილი როგორც გვარის სახელწოდება და ამასთანავე თვით საერთო საქმე ჩამოთვლილ გვარეულობათა უნდა გვიჩვენებდეს, რომ ეს ალექსანდრე უნდა იყოს ალექსანდრე II, რომელიც მეფობდა 1484—1510 წ. მართლაც ამ დროის ახლო ხანებში სჩანს ივანე ათაბაგი, როგორც წარმომადგენელი სამცხის ათაბაგთა სახლის ერთერთ შტოისა. ამ ათაბაგის მიერ მიცემულმა წიგნმა მცხეთის კათალიკოზის ბასილისადმი (კათალ. ბასილი სჩანს 1518—1531 წ.) ჩვენამდის მოაღწია (თ. ჟორდ., ქრონიკ. II, 346). როგორც ამ ივანესა და მანუჩარისაგან მიცემულ წიგნიდან სჩანს, ისინი გამოდევნილი ყოფილან თავის საბატონოდან. „იპრიანოს ღმერთმან და ჩუენი საბატონო მამული ჩუენვე დაგვიპყრათ და ჩუენვე დაგვიბრუნეს, როგორცა ძუელთაგან და პაპისა და მამისა ჩუენისა ჟამითგან მცხეთისა საყდრისა მამული ყოფილიყვნენ და ეპისკოპოზობ-ნი და მაწყუერელი თქუენგან საკურთხეველი ყოფილა და სხუანი სამცხისა ეპისკოპოზნი, ყოველნივე ისრე თქუენნი სამწყსონი იყუნენ“.... მანუჩარის და ივანეს გამოდევნა უნდა მომხდარიყო მზეჭაბუკ ათაბაგის დროს (1500—1516 წ.), როდესაც ჩვენ ვხედავთ ჯაყელების სახლის სხვა შტოების წარმომადგენლებსაც თავის საბატონოს გარეშე, როგორც, მაგალითად, 1520 წლის სიგელში მოხსენებულს ათაბაგის ყვარყვარეს ცოლსა ნესტან-დარეჯან ყოფილს ნინოს და მისს შვილებს თამთას, საზაფრელს და სალუკაზანს (თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 347, ს. კაკაბ.—ისტ. საბუთ. III, 51). ალექსანდრე მეფის მიერ ზემოდ მოტანილი სიგელის ბოძების დროს ივანე ათაბაგი თავისს საბატონოზე ყოფილა და, როგორც სჩანს, აფხაზ-იმერეთის მეფის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ასევე საყურადღებოა სვიმონ მაწყვერელის მოხსენება ამავე სიგელში. სვიმონი მაწყვერლად დასვეს იაღუბ-ყაენის მიერ აწყურის აღებისა და აწყვერის ღვთისმშობლის ხატის დატყვევების შემდეგ, რაც მოხდა 1485 წ. (შედეგი ქარ. ცხოვრებისა, ე. თაყაიშ. გამოც., მარ. დედოფ. ვარ., 900, თ. ჟორდ., ქრონიკ., II, 304). ეს სვიმონი ცოცხალი იყო მე-XVI საუკ. დასაწყისშიდაც და მაწყვერლობდა მზეჭაბუკ ათაბაგის დროს (თ. ჟორდ., ქრონიკ., II, 321, ს. კაკაბ.—ისტორ. საბ. II, 26). დანარჩენი ისტორიული პირთვნებანი, ალექსანდრე მეფის სიგელში მოხსენებულნი, ცნობილნი არ არიან, მაგრამ უკვე ზემოდ ნათქვამის მიხედვითაც ცხადია, თუ რომელ ეპოქას უნდა მიეკუთვნოს ზემოდ დასახელებულ სიგელის მიცემა. ამასთანავე, ვინაიდან ივანე ათაბაგი სი-

გეში მეპატრონეთ სჩანს, სიგელის ბოძება უფრო მე-XV საუკუნის დასასრულს უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე მე-XVI საუკუნის დასაწყისს, როდესაც ახალციხეში მზეჭაბუკ ათაბაგი დაჯდა და თავისს განმაერთებელ პოლიტიკას შეუდგა.

აღსანიშნავია კიდევ, რომ როგორც ქ. თაყაიშვილის აღწერილობიდან სჩანს, ეს სიგელი ხელის მიხედვით წარმოადგენდა არა თვით ასლს, არამედ მხოლოდ პირს, მე-XVII საუკუნეში გადაწერილს. თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ შეიძლება ერთი აზრი გამოითქვას თვით სიგელის თარიღის შესახებ. პალეოგრაფიული ხასიათის მიზეზებით მე-XVII საუკუნეში შესაძლებელი იყო თარიღის ნაწილი 68 (ჲჱ) წარმომდგარიყო ძველი თარიღის ოჱ შეცდომით წაკითხვიდან. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სიგელის თარიღი დედანში იყო როჱ, რომელიც შემდეგ შეცდომით გარდაწერილ იქმნა ცხრაას სამოცდარვად. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ სიგელის დათარიღება შეიძლება 178 ქორნიკონით (1490 წ.).

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ამ საყურადღებო სიგელის არსებითად განხილვაზე. ჩვენი საკითხისათვის ფრიად საინტერესოა ამ საბუთის უკანასკნელი ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია მთელი რიგი წარჩინებულ პირთა. ამ მხრივ ეს საბუთი ასეთ ძველი დროისთვის ჯერჯერობით ერთად ერთია ჩვენ საისტორიო ლიტერატურაში. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ აქ ათაბაგ-დადიან-გურიელთან ერთს ჯგუფში დასახელებული არიან ფარეჯანიანი, ჩილაძე, ამირეჯიბი, ციციშვილი. უკანასკნელ გვარის წარმომადგენელი არის ეჭვს გარეშეა ქართლიდან, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში და მე-XVI საუკუნის დასაწყისს ქართლის და იმერეთის სამეფოების ურთიერთობა ძლიერ დახლართულად სჩანს, რომ ამ დროს იმერეთის სამეფო სახლს ხშირად ემორჩილებოდა ქართლის ერთი ნაწილი, მაშინ ციციშვილის მოხსენება აფხაზ-იმერეთის სამეფოს წარჩინებულთა შორის შეიძლება არც თუ ფრიად უცნაურად სჩანდეს. საზოგადოდ ჩვენს სიგელში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ყოველ გვარიდან თითო წარმომადგენელია დასახელებული, რაც გვიჩვენებს, რომ ჩამოთვლილი პირნი არიან თავი-ბატონები სათანადო გვარეულობათა. გამონაკლისს წარმოადგენს ფალავანდიშვილის გვარეულობა, რომელთაგან ორია დასახელებული, მაგრამ შესაძლებელია, რომ ერთი ამ ფალავანდიშვილთაგანი იყოს წარმომადგენელი ქართლის ფალავანდიშვილთა გვარისა, ხოლო მეორე კი იმერეთისა. ცნობილია, რომ ფალავანდიშვილნი იმერეთში იყვნენ ერთი წარჩინებული გვართაგანი. ის გარემოება, რომ ათაბაგ-დადიან-გურიელთან დასახელებული არიან ფარეჯანიანი, ჩილაძე, ამირეჯიბი და ციციშვილი, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ამ გვარის წარმომადგენელთ ამ დროს განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ დასავლეთ საქართველოს წარჩინებულთა შორის. თუ რაში გამოიხატებოდა ეს განსაკუთრებული მათი მდგომარეობა, ამის შე-

სხებ შეიძლება სხვა-და-სხვა აზრის წამოყენება. ერთი მოსაზრება ქვემოთ არის გამოთქმული.

გადავიდეთ ეხლა წარჩინებულთა სიის დანარჩენ ნაწილის განხილვაზედ. ფრიად საინტერესოა ის გარემოება, რომ წარჩინებულნი აქ დასახელებულნი არიან ქვეყნობით: პირველად ჩამოთვლილი არიან საკუთრივ იმერეთის და ამასთან ერთად ქართლის წარჩინებულნი (შიომ ფალავანდიშვილიდან ლომინ მიქელაძემდის—სულ 11 პირი). ამათ მიყვებიან გურიის წარჩინებულნი (ლომინ მახაძემდის—სულ 4 პირი), შემდეგ ოდიშ-აფხაზეთისა (სულ 8 პირი). ის გარემოება, რომ წარჩინებულნი სიგელში დასახელებულნი არიან ქვეყნობით, ცხადი მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ამ სიას არა აქვს შემთხვევითი ხასიათი. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სიაში ჩამოთვლილი არიან თავი ბატონები სათანადო გვარეულობისა. აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს პირნი არიან მეფესთან მყოფ კრებულის წევრნი, უფლებებით აღჭურვილნი. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა გვიჩვენებდეს მათი მოხსენება სიგელში „გაზირებად“. შეიძლება ეს იყო სწორედ ის დარბაზი, რომელიც, როგორც მრავალ საბუთებიდან სჩანს, წარმოადგენდა მეფესთან არსებულ უმაღლეს ორგანოს. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ 1490 წ. ახლოს აფხაზ-იმერეთის სამეფოს დარბაზი შეიცავდა 11+4+8=23 პირს. ამ რიცხვს უნდა მიემატოს კიდევ ზემოდ დასახელებულნი ფარიჯანიანი, ჭილაძე, აბრეჯიბი და ციციშვილი, რომელნიც შესაძლებელია იყვნენ ხელმძღვანელნი დანარჩენ კრებულის მუშაობისა და როგორც ასეთნი პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ათაბაგს, დადიანს და გურიელს, იმათ, როგორც დიდ სამთავროთა მფლობელთ, როგორც სხვა საბუთებიდან სჩანს, განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ სამეფოს საერთო წესწყობილებაში. სულ ამ გვარად დარბაზის წევრთა რიცხვს მივიღებთ 27 კაცს, გარდა ათაბაგისა, დადიანისა და გურიელისა. მაგრამ აქ იბადება საკითხი, თავადების ყველა გვარეულობათა წარმომადგენელნი დებულობდენ მონაწილეობას ამ უმაღლეს დაწესებულებაში, რომელნიც შესაძლებელია დარბაზად იქმნეს მიღებული, თუ არა. ამ საკითხს არკვევს ცნობილი სასისხლო სიგელი, სვანთა მიერ მიცემული ალექსანდრე მეფის დროს (უკანასკნელად იხ. ს. კაკაბ. წერილი და მასალ. საქართ. ისტორ. I, 126—132). თარიღი ამ სიგელისა შესწორებას თხოულობს. მისი მიმცემი, ეჭვს გარეშეა, არის დასავლ. საქართველოს მეფე, დამწერი კიდევ არის ფალავანდ ფალავანდიშვილი, რომელიც სჩანს 1495 წ. ალექსანდრე II-ს დროს (ქრონიკ. II, 311). ამისდა მიხედვით შესაძლებელია, რომ სიგელის თარიღი რ კ ა მართლად წაკითხული არ იყოს და იყოს წარმომდგარი ქორონიკონის რჲა მეცდომით წაკითხვისაგან. ამ შემთხვევაში სვანეთის მიერ ჯაფარიძეებისადმი მიცემული სასისხლო სიგელი დაწერილი უნდა იყოს 1503 წ. ალექსანდრე II-ს დროს. საქმის გარჩევას დასწრებიან თვითონ მეფეთ მეფე პატრონი ალექსანდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომ[illegible] თავი გახაბერი, ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი. უფრო წინ კიდევ მეფეს განუცხადებია „ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო“. თუმცა ამ გვარად ჯაფარიძენი თავადები ყოფილან, მაგრამ მათს წარმომადგენელს ჩვენ ვერ ვხედავთ წარჩინებულთა ზემოდ მოხსენებულს 1490 წლის სიაში. თუ ეს გარემოება რაიმე შემთხვევითი მიზეზით არ აიხსნება, მაგალითად სვანების და ჯაფარიძეებს შორის გამწვავებულ ურთიერთობით (ეს გამწვავებული ურთიერთობა გაგრძელებულა 7 და კიდევ 12 წელიწადი, სულ 19 წელიწადი, ანუ 1484—1503 წლებში), მაშინ გამოდის, რომ თავადების ყველა გვარეულობათა წარმომადგენლები არ ყოფილან დარბაზში მოწვეულნი. ამ საკითხის გარკვევა საბოლოოდ ჯერ ჯერობით მაინც ძნელია.

ამ გვარად ჩვენ მივედით დასკვნამდის, რომ მე-XV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებობდა თავადების და საზოგადოდ წარჩინებულთა გვარეულობების წარმომადგენელთაგან შემდგარი დაწესებულება, რომელიც მეფეს გვერდს უდგა საკანონმდებლო და ქვეყნის მართველობის საქმეებში. კერძოდ მართველობის ფუნქციები უმთავრესად საეზიროს ხელში უნდა ყოფილიყო. საეზიროს შემადგენლობა მე-XV—XVI საუკუნის სიგრძეზე, მასში წარმოდგენილ თანამდებობების მხრივ, ცვალებადი იყო.

ჯერჯერობით ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ საკითხის ასეთ საერთო ხასიათის მოხაზულობით. მომავალში, იმედია, შესაძლებელი იქნება აფხაზ-იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურის უკეთ და უფრო დეტალურად გათვალისწინება.

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)